

რეფორმის პირველი ნაბიჯები **B2**




ბაღელები ცალკე მოდგმაა **B4**



"მიცუბიშის" წყალბადზე მომუშავე მაჩო **B6**


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 19 მაისი, 2005 წელი. №110 (970) | ფასი 50 თეთრი


## ეკონომიკა

### როგორ ვაწარმოოთ ეფექტური სარეკლამო კამპანია იაფად?



თუკი თქვენ ახალახან წამოიწყეთ ბიზნესი და საკუთარი საქმიანობის რეკლამირება ჯერ ვერ მოასწარით, ან კიდევ საამისოდ საჭირო თანხები ვერ მოიძიეთ, თუკი თქვენ, კარგა ხანია, მცირე მეწარმეობას ეწევით და საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია მხოლოდ ახლა გადაწყვიტეთ, მაშინ თამამად შემიძლია გითხრათ, რომ "თიბისი ბანკის", "მაგი სტილის", "რუსთავი 2"-ისა და "თიბისი TV"-ის ერთობლივმა აქციამ სულზე მოგისწროთ.

A6

## საზოგადოება

### ვენესუელის არმიაში ბელგიურ იარაღს რუსული შეცვლის



A5


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7


## ამინდი

| | 19/05 | 20 /05 | 21 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 20 | 26 |
| ქუთაისი | 27 | 27 | 31 |
| ბათუმი | 25 | 22 | 28 |
| სოხუმი | 26 | 26 | 28 |
| ფოთი | 27 | 25 | 30 |
| თელავი | 22 | 20 | 25 |
| ზუგდიდი | 29 | 29 | 32 |
| გორი | 21 | 20 | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8210 |
| ევრო | 2.2990 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3392 |
| რუბლი | 0.0650 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# შენიშვნები და იმედები

### ნატო-ს შტაბბინაში საქართველოს მიერ "საშინაო დავალების" შესრულებას განიხილავენ



*ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნები დაინტერესებულნი არიან, საქართველომ წარმატებით შეასრულოს IPAP-ის პროგრამა, - ასე ამხნევებდა იააპ დე ჰუპ სხეფერი ქართული დელეგაციის წევრებს.*

*ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასება შედგა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ მონაწილეობა მიიღეს ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების 26+1 ფორმატით გამართულ შეხვედრაში, სადაც ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმით (Individual Partnership Action Plan), საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა იქნა განხილული. ქართული მხარე ბრიუსელში გამართული შეხვედრებით კმაყოფილი დარჩა. "ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა," - ხაზი გაუსვა ირაკლი ოქრუაშვილმა.*

ნინო გომართელი

ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების 26+1 ფორმატით გამართული შეხვედრის და ნატო-ს გენერალურ მდივანთან პირისპირ საუბრის შემდეგ, მხარეებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებების გარდა, საუბარი საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებსაც შეეხო. გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის აუცილებლობაზე საკუთარი პოზიცია გამოხატა.

როგორც ირაკლი ოქრუაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ნატო-ს მხრიდან იყო გარკვეული შენიშვნები, რომელთა ნაწილი საქართველოს დელეგაციის წევრებმა გაიზიარეს, ნაწილი კი - არა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნარინჯისფერ რევოლუციას საწვავი შემოაკლდა

### კიევს ბენზინის დეფიციტი აღელვებს, რუსეთს კი - უკრაინაში დემოკრატიის

ნიკა თარაშვილი

*"ნარინჯისფერი რევოლუციის" წარმატებისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა (რასაკვირველია, სხვა აურაცხელ წინააღმდგობასთან ერთად) ნავთობპროდუქტების მიწოდებაში სერიოზული დეფიციტი გახდა. ეს ფაქტორი განსაკუთრებით შესამჩნევია ეკონომიკურ სფეროში. თუმცა, ბენზინის ნაკლებობა ვერც ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ქმნის კომფორტულ გარემოს და, მით უმეტეს, ხელს ვერ შეუწყობს რევოლუციური ლოზუნგებით მოსული ხელისუფლების პოპულარობის შენარჩუნებას.*

"ნარინჯისფერების" გარკვეულ მარცხზე ჯერჯერობით ფრთხილად, მაგრამ უკვე წერენ დასავლურ პრესაში. გუშინ "ვაშინგტონ პოსტ"-ში გამოქვეყნდა ანდერს ასლუნდის სტატია **"რევოლუციის ღალატი",**

გაგრძელება A5 გვერდზე



*ნარინჯისფერი რევოლუციისგან მოტანილი იმედების ასრულებას აგვიანდება.*

## "ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა - მთავრობის უპირველესი ამოცანა"

ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად, არასამთავრობო სექტორი სულ უფრო მეტად ითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმის დაჩქარებასა და, რეალური თვითმმართველობის ასამოქმედებლად, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას.

თანაც, არასამთავრობოები განსაკუთრებულ აქცენტს ევროსაბჭოს რეკომენდაციებზეც აკეთებენ და მიიჩნევენ, რომ მოახლოებული არჩევნების სამართლიანად გამართვას და დაგეგმილი რეფორმის წარმატებით განხორციელებას საქართველოსთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

გუშინ, "ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის" მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე აქცენტები სწორედ ამ საკითხებზე გაკეთდა.

(ცნობისთვის: ეს ასოციაცია 800-ზე მეტ ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოს აერთიანებს).

**"ადგილობრივი თვითმმართველობა არ ემსახურება მხოლოდ ფუნქციებისა და ამოცანების გადაცემასა და გადანაწილებას. რეალურად, თვითმმართველობა ეფუძნება ფინანსურად და ეკონომიკურად თვითშენახვის უნარის მქონე ქალაქებსა და დასახლებებს, მასზე ანგარიშვალდებულ და**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ლაკობა დაბრუნდა

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

*აფხაზეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა სტანისლავ ლაკობამ თანამდებობაზე დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ პოლიტიკოსის უახლოეს გარემოცვასთან დაახლოებულმა ინფორმირებულმა წყაროებმა განაცხადეს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ლაკობამ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის პოსტის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა. პრეზიდენტმა ბაგაფშმა ამ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. ლაკობა კი უკანასკნელ დრომდე გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებდა.*

აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ლაკობასა და პრეზიდენტ ბაგაფშს შორის მთელი რიგი საკითხების გამო შექმნილი სერიოზული უთანხმოება გახდა. პირველ რიგში, საუბარია საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბასა და საგარეო პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელის ბესლან ბუთბას იტალიაში, სამხრეთ ტიროლში მოგზაურობაზე. როგორც ცნობილია, ტიროლში აფხაზი ჩინოვნიკები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდნენ.

ლაკობასა და ბაგაფშს შორის მეორე სადავო საკითხი კი ის არის, რომ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი აფხაზეთის პრეზიდენტის საკადრო პოლიტიკით ძალზე უკმაყოფილოა.

აფხაზური დელეგაციის სამხრეთ ტიროლში ჩასვლას ბაგაფში და ლაკობა სხვადასხვაგვარად აფასებენ. ამ ფაქტის გამო, ლაკობამ პრესაში მკვეთრად უარყოფითი განწყობა გამოხატა. ამასთან, ბაგაფშმა აღნიშნა, რომ იტალიაში ვიზიტის შესახებ ინფორმირებული იყო და, უფრო მეტიც, ამის წინააღმდეგი სულაც არ ყოფილა. ლაკობა მიიჩნევს, რომ ვიზიტი დაიგეგმა იმისათვის, რათა აფხაზეთის დელეგაციას სამხრეთ ტიროლის ავტონომიური სტატუსის გამოცდილება გაეცნო.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთი მოლაპარაკებებისთვის მზად არის

რუსეთი 23 მაისს თბილისში სამხედრო საკითხზე მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის ჩატარებისთვის მზად არის. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტი იუწყება, ამის შესახებ საგარეო პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ განაცხადა. მისი თქმით, მოლაპარაკებებისას განიხილება პროექტი, რომელიც 2008 წლის განმავლობაში საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის დასრულებას ითვალისწინებს. "მხარეებს 2008 წლის დასაწყისამდე რუსული ბაზების გატანის შესახებ რაიმე შეთანხმებისთვის არ მიუღწევიათ," - აღნიშნა იაკოვენკომ.

*ინტერ-პრესი*

## ჯონ ტეფტი - საქართველოში აშშ-ს ახალი ელჩის კანდიდატურა

თეთრი სახლის პრესსამსახურის ინფორმაციით, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოში ამერიკის ახალი ელჩის თანამდებობაზე ჯონ ტეფტის კანდიდატურა წამოაყენა. მისი კანდიდატურა აშშ-ს სენატმა უნდა დაამტკიცოს.

ჯორჯ ბუშმა ასეთი გადაწყვეტილება საქართველოში აშშ-ს ამჟამინდელი ელჩის რიჩარდ მაილსის ელჩობის ვადის ამოწურვის გამო მიიღო.

პროფესიონალი დიპლომატი ტეფტი ამჟამად ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობს. მანამდე, ტეფტი ნაციონალური სამხედრო კოლეჯის ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა. 2000-2003 წლებში იგი ლიტვაში აშშ-ს ელჩი იყო.

1996-1999 წლებში ჯონ ტეფტი რუსეთში აშშ-ს საელჩოში "მეორე პირის" თანამდებობაზე მოღვაწეობდა. 1986-1989 წლებში მას იტალიაში აშშ-ს საელჩოში სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში მრჩევლის თანამდებობა ეკავა. სხვადასხვა დროს ტეფტი ბუდაპეშტსა და იერუსალიმში სხვადასხვა დიპლომატიურ თანამდებობებზე მუშაობდა.

ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობისას, იგი პასუხისმგებელი იყო რუსეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან და ბელარუსთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე. მას ასევე ექსპორტსა და რეგიონულ საკითხებზე კონტროლი ევალებოდა.

*ინტერ-პრესი*

## პარლამენტი კვლავ უპირისპირდება საგარეო საქმეთა სამინისტროს

ქართველი პარლამენტარები ეჭვობენ, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში საკმაოდ მოუწესრიგებელი ვითარებაა, რადგან ევროპის საბჭოში საქართველოს ელჩის გამოწვევასთან დაკავშირებით იგივე განმეორდა, რაც რამდენიმე კვირის წინ, პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტისას ევროკავშირში.

როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა განაცხადა, ეს, უბრალოდ, ეტიკეტის დარღვევაა.

ოპოზიციონერი დეპუტატების განცხადებითაც, ლანა ღოლობერიძის გამოწვევა ოფიციალურ ვითარებაში, მაშინ, როდესაც ვარშავაში ევროსაბჭოს სამიტი მიმდინარეობდა, ისეთივე შეცდომა იყო, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტისას ევროკავშირიდან საქართველოს ელჩის გამოწვევა.

*ინტერ-პრესი*

## კონტრაბანდა სამხრეთ ოსეთიდან

საჩხერელმა სამართალდამცველებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან მომავალი მიკროავტობუსი დააკავეს, რომელშიც 800 ლიტრი კონტრაბანდული სპირტი აღმოჩნდა. მძღოლი, რომლის ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ, ცხინვალის მკვიდრია. მას აღნიშნული ტვირთი ზნაურის რაიონიდან, საჩხერე-ჭიათურის გავლით, ზესტაფონში მიჰქონდა. როგორც საჩხერის რაიონის გამგებელი ზურაბ ცერცვაძე აცხადებს, საჩხერეში ცხინვალის რეგიონთან დამაკავშირებელი უამრავი შემოვლითი გზა არსებობს და, შესაბამისად, სამართალდამცველებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ კონტრაბანდასთან ბრძოლაში. აღნიშნულ ფაქტზე მოკვლევას ფინანსური პოლიცია აწარმოებს.

*ინტერ-პრესი*

## რუსი სამხედროები თავად ამბობენ აფხაზეთზე

აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების განთავსება შეუძლებელია. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვიქტორ ოზეროვმა განაცხადა. მისი თქმით, რუსეთის სამშვიდობო ძალები აფხაზეთში დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა გადაწყვეტილებით გაცემული მანდატის შესაბამისად იმყოფებოდნენ, აფხაზეთი კი საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ნაწილია. "თბილისთან შეუთანხმებლად აფხაზეთში ბაზების განთავსება საერთაშორისო ნორმების დარღვევა იქნებოდა," - აღნიშნა ოზეროვმა.

*ინტერ-პრესი*

## ყალბი პასპორტები ვერ გამოიყენეს

საქართველო-თურქეთის საზღვარზე, რეგიონული სამმართველო "აჭარის" სასაზღვრო-საემიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" მესაზღვრეებმა საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ისინი ყალბი პასპორტებით თურქეთის მიმართულებით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას ცდილობდნენ.დაკავებულთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*მედიანიუსი*

# შენიშვნები და იმედები



*ნატო-ს გენერალური მდივანი სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციას უშუალოდ სალომე ზურაბიშვილისგან იღებდა.*

პირველი გვერდიდან

**"გამოთქმული შენიშვნა ეხებოდა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში კადრების ხშირ ცვლას. ჩვენ გავნმარტეთ, რომ ეს ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული და უახლოეს მომავალში რადიკალური ცვლილებები აღარ იგეგმება,"** - აღნიშნა მან.

იმ ფონზე, რომ თავდაცვის დაგეგმარების სისტემა დასრულებული ჯერ არ არის, შენიშვნა გამოითქვა ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოებულ შესყიდვებთან დაკავშირებით. უცხოელმა ექსპერტებმა საქართველოს დელეგაციას სამოქალაქო კონტროლის გაძლიერებაც ურჩიეს.

**"ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ მჯერა, რომ 2006 წლის შემოდგომაზე საქართველო ნატო-ს წევრობის კანდიდატობისთვის მზად იქნება,"** - ოპტიმისტური მოსაზრება გამოთქვა ოქრუაშვილმა.

თავის მხრივ, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალანსი დაინტერესებულია საქართველოს მიერ ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის წარმატებით შესრულებაში, თუმცა, რათქმაუნდა ეს მოკლე დროში ვერ მოხდება. **"რამდენადაც ვიცი, თქვენს მინისტრს ნატო-ს ელჩებმა ამ მიმართულებით საინტერესო რჩევები მისცეს,"** - აღნიშნა მან.

ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა საქართველომ 2004 წლის ოქტომბერში მიიღო. მიმდინარე წლის მარტში, ალიანსის შესაბამისი სამსახურის ექსპერტთა ჯგუფი თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, რომლის დროსაც ექსპერტებმა IPAP -ის მიმდინარეობის პირველადი შეფასება განახორციელეს. აღნიშნულის საფუძველზე, შეფასების დოკუმენტის პროექტიც მომზადდა, რომელიც ნატო-ს წევრ ქვეყნებსა და საქართველოს წარედგინა.

აპრილში, თბილისში სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში რობერტ სიმონსი. იგი შეხვდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ბარამიძეს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს.

როგორც სიმონსმა ვიზიტის დასასრულს განაცხადა, მან ქართულ მხარეს ის შენიშვნები და რეკომენდაციები გააცნო, რომელიც ნატო-ს ხელმძღვანელობას საქართველოს მიერ ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის შესრულების პროცესებში გაუჩნდა. აღნიშნული რეკომენდაციები და შენიშვნები ჯერჯერობით დაფარულია და მათი გახმოვანება და პრესისთვის გაცნობა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

მიმდინარე და მომდევნო წლების განმავლობაში ნატო-ს მხარე საქართველოს მიერ IPAP-ით აღებული ვალდებულებების შესრულების კიდევ რამდენიმე შუალედურ შეფასებას განახორციელებს.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე საუბარი საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ძალების გაყვანასაც შეეხო.

**"რუსული ბაზების თაობაზე ნატო-ს პოზიცია არ შეცვლილა და არც შეიცვლება. 1999 წლის ეუთო-ს სტამბულის შეთანხმების თანახმად, ამ ბაზებმა საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვონ,"** - ხაზგასმით დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება იაპ დე ჰუპ სხეფერმა.

მისივე განცხადებით, გაყვანა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს, თუმცა ისიც მიუთითა, რომ საკითხის დეტალები, რა თქმა უნდა, მოლაპარაკებების გზით თბილისისა და მოსკოვის გადასაწყვეტია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ **"ბაზების გაყვანის საკითხის მოგვარება ორივე მხარის ინტერესებშია,"** და დაამატა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში უმნიშვნელოვანესი პრობლემა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული.

**"ახლა მთავარი საბოლოო შეთანხმების მიღწევაა,"** - დაასრულა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ინფორმაციით, ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე საუბარი საქართველოში არსებული კონფლიქტების მოწესრიგებასაც შეეხო.

**"საქართველოში არსებული კონფლიქტები არის ერთ-ერთი შემაფერხებელი წინაპირობა ქვეყნის ევროატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციისა და, ბუნებრივია, ნატო-ს წევრი სახელმწიფოები ამ თემას მტკივნეულად აღიქვამენ,"** - აღნიშნა მან.

ოქრუაშვილის ინფორმაციით, ინტერესი გამოიწვია საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროპის საბჭოში წარმოდგენილმა სამშვიდობო ინიციატივამ, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. ამასთან, ყურადღება გამახვილდა აფხაზეთის პრობლემაზეც და ქართულმა დელეგაციამ ხაზგასმით მიუთითა პრობლემის არსებობაში რუსეთის როლზე.

ერთი სიტყვით, ქართული დელეგაცია ბრიუსელიდან კმაყოფილი ბრუნდება.

# არც წინ, არც უკან

გიორგი ასანიძე

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესიდან მიიღო წერილი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი აპირებს, საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დახმარება გაუწიოს. მაისის ბოლოს ოკეანის გაღმიდან ჩამოვა კომისია, რომელიც საქართველოს პარლამენტის პრობლემებს შეისწავლის და ვაშინგტონში შესაბამის დასკვნას წარადგენს.

**"ვამაყობ, რომ საქართველოს პარლამენტი იმ ხუთ ქვეყანას შორის მოხვდა, რომელსაც ამერიკელები დახმარების ხელს გაუწვდიან,"** - აღნიშნა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ.

■ ■ ■

უკვე დიდი ხანია, პარლამენტის სხდომების დღის წესრიგში ფიგურირებს კანონპროექტი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. მთავრობის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრებს საიდუმლო ნორმატიული აქტების გამოცემის უფლება უნდა მიენიჭოთ, რასაც დეპუტატები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები კანონპროექტის ჩაგდებით იმუქრებიან.

**"თქვენს საკანონმდებლო ინიციატივას უკან გაიწვევთ, თუ ცოტა გავერთოთ პარლამენტის სხდომაზე?"** - ბიუროს ბოლო სხდომაზე "ალტერნატივის" წინაშე დააყენა მთავრობის საპარლამენტო მდივანი პარლამენტის თავმჯდომარემ.

დღის წესრიგის მიხედვით, დოკუმენტთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოს გუშინ უნდა მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ ასე არ მოხდა: მთავრობამ კანონპროექტი არც უკან გაიწვია და ვერც ის გაბედა, რომ მისი განხილვა მოეთხოვა. ბოლოს გადაწყდა, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეეცდება, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების პოზიციები დააახლოოს.

# "თელასი" და CENN სკოლებში დადიან

ელექტროენერგიის მოხმარების წესები და უსაფრთხოების საკითხები ადამიანებმა ბავშვობიდანვე უნდა აითვისონ. ამ შემთხვევაში, უკვე მოზრდილ ასაკში, ენერგოსტრუქტურებთან ურთიერთობა მათ აღარ გაუჭირდებათ და, შესაბამისად, პრობლემებიც ნაკლები ექნებათ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება "თელასი"-სა და არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი"-ს (CENN) ერთობლივი პროექტი, რომელიც თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ენერგეტიკის სფეროში მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად ხორციელდება.

პროექტი "საზოგადოება და ენერგეტიკა", რომელიც დედაქალაქის 6 უბნის (ვარკეთილი, ნაძალადევი, ნუცუბიძის დასახლება, ოქროსუბანი, დიდუბე და ავლაბარი) საშუალო სკოლებს მოიცავს, მოზარდთა შორის ელექტროენერგიის დაზოგვის, უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და საფასურის გადახდასთან მიმართებაში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

"თელასისა" და "კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის" წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ ფაკულტატურ გაკვეთილებზე სკოლის მოსწავლეები ეცნობიან საქართველოს ენერგოსისტემის შემადგენელ რგოლებს და მათ ფუნქციებს მომხმარებელთა ენერგოუზრუნველყოფაში. მოსწავლეები უსაფრთხოების ნორმების დაცვის ელემენტარულ პირობებსაც ეცნობიან.

გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად "თელასი" პროექტში მონაწილე ბავშვებისთვის ენერგოობიექტებზე სპეციალური ექსკურსიების მოწყობას გეგმავს.

"საზოგადოება და ენერგეტიკა" სასკოლო პროექტი" მაისის ბოლომდე გასტანს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მოსკოვში, საქართველოს საელჩოს წინ, პარტია "როდინას" რამდენიმე ახალგაზრდა აქტივისტმა გუშინ მორიგი ანტიქართული საპროტესტო აქცია გამართა, ლოზუნგით "ხელები შორს რუსეთის სამხედრო ბაზებისგან". აქციის მონაწილეები საელჩოსთან კვლავ გასაბერი ავზითა და ქართული ღვინით გამოცხადდნენ, თუმცა ამჯერად ავზში, თოჯინის ნაცვლად, სათამაშო იარაღი ჩააგდეს. რუსმა ახალგაზრდებმა ამ ჟესტით "ქართულ სიმბოლოში ამერიკული სიმბოლო ჩაახრჩეს". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის საბჭოში საქართველოს ელჩს ლანა ღოლობერიძეს გუშინდელი დღიდან უფლებამოსილება შეუწყდა. ლანა ღოლობერიძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური წერილით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპის საბჭოს გუშინწინ მიმართა. ლანა ღოროზერიძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ვარშავაში, ევროპის საბჭოს სამიტზე ახლდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ლანა ღოლობერიძის შემცვლელის ვინაობის დასახალებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ლანა ღოლობერიძე ევროსაბჭოში ელჩობიდან გამოიწვიეს. როგორც სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, ამის თაობაზე საგარეო უწყებიდან არაფერი გაგზავნილა, მეტიც, პრეზიდენტის განკარგულებით, ლანა ღოლობერიძეს ელჩობის ვადა, რომელიც მაისში ეწურებოდა, 1 ივლისამდე გაუგრძელდა. სამინისტრო დეზინფორმაციის გავრცელებაში მასმედიას ადანაშაულებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველი პარლამენტარებისგან შემდგარი რეზერვისტთა ბატალიონი 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმში მიიღებს მონაწილეობას. რეზერვისტთა N1 ბატალიონში, რომელიც თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირამდე მარშით გაივლის, შედიან კობა ბექაური, ალეკო შალამბერიძე, დავით კირკიტაძე, გოჩა კუპრავა, საქართველოს პრეზიდენტის ძმა დავით სააკაშვილი, სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ნამგალაური და გუბერნატორი გოჩა ხაჩიძე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ძებნის სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად უკრაინის ქალაქ ხმელნიცკის საგამოძიებო იზოლატორში დადგენილ იქნა მკვლელობისათვის ლანჩხუთის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 34 წლის დავით ებრალიძე, რომელიც უკრაინაში სასჯელს იხდიდა სიმონ მაისურაძის სახელითა და გვარით. ებრალიძემ 2001 წლის 17 აპრილს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში ურთიერთშელაპარაკებისას მოკლა ა. მურადაშვილი. მზადდება მასალები ებრალიძის საქართველოში ექსტრადაციისთვის. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზესტაფონის რაიონში დააკავეს ძარცვისა და ნარკომანიისათვის ძებნილი, 25 წლის ზურაბ კაპანაძე; გარდაბნის შს განყოფილების თანამშრომლებმა კი დააკავეს ძარცვისათვის ძებნილი, 18 წლის გიორგი ლიპატრელიანი. დაკავებულია, აგრეთვე, დეზერტირობისთვის ძებნილი, 26 წლის ბესიკ ოღიაშვილი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, მრავალჯერ ნასამართლევი, ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისთვის ძებნილი, 25 წლის გიორგი ედიშერაშვილი. დაკავებისას ედიშერაშვილისაგან ამოიღეს პისტოლეტი "მაკაროვი" მჭიდით და 8 ვაზნით. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს - გორში მცხოვრები, 20 წლის მერაბ ქავთარაძე, 22 წლის იმედა ქავთარაძე და 20 წლის ალექსანდრე ქოქოშვილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ისინი ცდილობდნენ, ტურბაზაში მოეპარათ იქვე დროებით მცხოვრები გელა მჭედლიძის, კობა უთნელიშვილის და ვლადიმერ ყავლაშვილის ავტომანქანები. საქმეს იძიებს გორის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ნარკომანიისათვის ძებნილი, 27 წლის ლექსო პაპავა. დაკავებულები არიან, აგრეთვე, ხულიგნობისათვის ძებნილები - 32 წლის პაატა და 25 წლის დავით მოლაშხიები. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სენაკში მცხოვრები, 24 წლის ნიკოლოზ კილასონია და 17 წლის ამირან კვერნაძე, რომლებმაც მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონში მცხოვრებ, 20 წლის დათა ნაროუშვილს დანის მუქარით გასტაცეს მობილური ტელეფონი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

## კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა გადარჩენის საქმეში პროფესიონალებისა და ფართო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად იღებს წინასწარ განაცხადებს

**ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეული უძრავი ძეგლების შესარჩევად, რომელთაც ესაჭიროებათ საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება**

**წინასწარი განაცხადის კითხვარი**

1. განმცხადებელი ორგანიზაციის დასახელება და სამუშაო პროფილი (არქიტექტურული, საინჟინრო, საზოგადოებრივი, სხვა).
2. ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, პროფესია, საკონტაქტო ინფორმაცია.
3. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სამუშაოები ან განხორციელებული პროექტები.
4. განმცხადებლის სახელი, გვარი, პროფესიული გამოცდილება და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია.
5. შემოთავაზებული ობიექტის სახეობა (ცალკე მდგომი ძეგლი, კომპლექსი, მონუმენტური მხატვრობის ძეგლი, სხვა).
6. ობიექტის დასახელება
7. ობიექტის ადგილმდებარეობა
8. ობიექტის ამჟამინდელი მდგომარეობა (დაზიანებების ჩამონათვალი)
9. ძეგლზე ***არსებული*** საპროექტო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

■ **არქიტექტურის ძეგლებისათვის**
■ სახელოვნებათმცოდნეო კვლევა
■ არქიტექტურულ-არქეოლოგიური კვლევა
■ საპროექტო დიკუმენტაცია
■ არქიტექტურულ-გეგმარებითი ნაწილი;
■ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
■ სამშენებლო გადაწყვეტები: კონსტრუქციები, ანგარიშები, ნაგებობის სეისმოლოგიური მაჩვენებლები და სხვ.
■ ხარჯთაღრიცხვა

■ **ფერწერის ძეგლებისათვის**
■ წინასწარი პროექტი
■ ძეგლის ვიზუალური შესწავლა
■ დასაბუთება
■ მხატვრობის მოკლე დახასიათება, მისი მდგომარეობის აღწერა, სრული ფართობი, სარესტავრაციო ფართობი
■ სამოქმედო გეგმა
■ სიტუაციის ამსახველი ფოტოდოკუმენტაცია
■ დამუშავებული პროექტი
■ წინასწარი კვლევა.
■ სრული ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაცია
■ შერჩეული საკონსერვაციო მასალები
■ ადრე ჩატარებული საკონსერვაციო სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია.

10. არქიტექტურულ ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოთა სავარაუდო ჩამონათვალი: (დროითი თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა: მიწის მოჭრა, ქვების გამოჩენა და თავდაპირველი ადგილის განსაზღვრა, აზომვა, საინჟინრო-კონსტრუქციული დოკუმენტაცია, პროექტის შედგენა, მუშაობისას დეტალების დაზუსტება, სხვა).

11. ფერწერის ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოთა სავარაუდო ჩამონათვალი: (ვიზუალური შესწავლა, კვლევა სათანადო სპეციალისტების მიერ, კონსერვაციის პროექტი, განხორციელების ეტაპები)

12. პროექტის შესრულების ვადები

13. ფიზიკური სამუშაოს ვადები

14. პროექტის (სარესტავრაციო სამუშაოთა ხელმძღვანელთა) შემსრულებელთა ჩამონათვალი

15. სამუშაოთა სავარაუდო ბიუჯეტი

16. თანამონაწილეობა (ადგილობრივი თემის, მონასტრის, ეპარქიის) თანხობრივი ან ფიზიკური შენატანი
■ მანიშნი აზრების მონტაჟი გზაზე
■ მუშა ძალა
■ პუბლიკაციის (ბროშურის) გამოცემა
■ სხვა

17. იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც განმცხადებლის მხრიდან უზრუნველყოფს ძეგლის გრძელვადიან მოვლა-პატრონობას:
■ სახურავის მცენარეებისგან გაწმენდა
■ ეზოს დასუფთავება
■ მიწისა და მცენარეებისაგან გაწმენდა
■ სხვა

18. ძეგლის დამთვალიერებელთა (მომლოცველთა, ტურისტთა, მაცხოვრებელთა) თვიური სავარაუდო რაოდენობა
■ 50
■ 100
■ მეტი (სავარაუდო ციფრი)

19. განმცხადებლის ხელმოწერა ----------------------------------------

20. თარიღი -------------------------------------------------------

შენიშვნა:
■ განაცხადს თან უნდა ახლდეს ძეგლის ამსახველი უახლესი ფოტო-მასალა
■ შემოსული განაცხადებიდან დადგინდება იმ ძეგლთა ჩამონათვალი, რომლებზეც ტენდერის მეშვეობით საპროექტო და სარესტავრაციო სამუშაოები დაფინანსდება

**კითხვარების მიღება წარმოებს 2005 წ. 1 ივნისის ჩათვლით, სამშაბათს და ხუთშაბათს 11 00 - 15 00 საათამდე.**

**მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, IV სართ., ოთახი 404. ინფორმაციისთვის დარეკეთ: 98-74-20, 99-85-21**



## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას ღილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.





### ვეგეტარიანელობის სასამართლო პროცესი

მოსამართლე: ქეთევან კორძაია
ადვოკატი: გაგა გორგონიძე
ვეგეტარიანელობა ეწინააღმდეგება ქართველი ერის ტრადიციებს. ის ხელოვნური, თავს მოხვეული მოვლენაა, რომელიც არაფრითაა გამართლებული და დასაბუთებული.

ადვოკატი: ანა კორძაია-სამადაშვილი:
ხორცის ჭამა არც ეთიკური თვალსაზრისითაა გამართლებული და არც ადამიანის სხეულის ნორმალური ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი. ხორცის ჭამა თავისთავად გულისხმობს ძალადობას, რაც ცივილიზებული ადამიანისთვის სრულიად მიუღებლად მიმაჩნია.

ვერდიქტი: ცხრა ხმით სამის წინააღმდეგ გაიმარჯვა პოზიციამ „ვეგეტარიანელობა მიუღებელია"

კითხვა: „მართებულია ვეგეტარიანელობა თუ არა"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.ნიკო | (არა) | 7.გიორგი | (არა) |
| 2.კობა ქურდაძე | (არა) | 8.ანდრია აბაშიძე | (დიახ) |
| 3.ნინო კობახიძე | (არა) | 9.პაატა ჩანქსელიანი | (არა) |
| 4.თეკლა დადეშქელიანი | (არა) | 10.ლალი ნემსაძე | (დიახ) |
| 5.ფიქრია ლომიძე | (არა) | 11.ცისანა მუხურაძე | (არა) |
| 6.დათო გორდონსკი | (არა) | 12.ვეგეტარიანელი | (დიახ) |


# ლაკობა დაბრუნდა

პირველი გვერდიდან

თუმცა, თავად აფხაზური დელეგაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სამხრეთ ტიროლში მხოლოდ და მხოლოდ იქაური ეკონომიკური განვითარების გამოცდილების გასაცნობად ჩავიდნენ. ლაკობა ასევე უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ იტალიაში ვიზიტით მყოფ ქართულ დელეგაციაში დევნილობაში აფხაზეთის ხელისუფლების ხელმძღვანელი ირაკლი ალასანიაც შედიოდა.

ბაგაფშ-ლაკობას კონფლიქტის მეორე მიზეზია უთანხმოება საკადრო პოლიტიკის საკითხებში. პირველ რიგში, ეს ეხება ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ვალერი არშბას დანიშვნას აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად. ლაკობას სხვა საკადრო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებითაც აქვს პრეტენზიები.

აღნიშნული კონფლიქტის ესკალაციას და, მით უმეტეს, ლაკობას (შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ლაკობა ბაგაფშის გუნდიდან ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად განიხილებოდა) თანამდებობიდან წასვლას შეეძლო, მმართველ კოალიციაში სერიოზული განხეთქილება გამოეწვია.

საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე და, თანაც, იმ პირობებში, როცა სამი უმსხვილესი პოლიტიკური ძალა - "აიტაირა", "ამცახარა" და "ერთიანი აფხაზეთი" გაერთიანებას ცდილობს, ლაკობას გადადგომა მმართველი ძალისთვის უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ამ ფაქტს გამოიყენებდა მომძლავრებული ოპოზიცია და ეს საპარლამენტო არჩევნების შედეგებზეც აუცილებლად აისახებოდა.

გასათვალისწინებელია თავად სტანისლავ ლაკობას გავლენის დონეც. ეს არის პოლიტიკოსი, რომელსაც თავის დროზე, "ამცახარა" არძინბას ალტერნატივად განიხილავდა და რომელიც ამ პოლიტიკურ მოძრაობაში ძალიან პოპულარული იყო. პრეზიდენტობისთვის ბრძოლას ლაკობა მხოლოდ იმ მიზეზით გამოაკლდა, რომ აფხაზური არ იცოდა, რაც პრეზიდენტობის ნებისმიერი კანდიდატისთვის აუცილებელია. "ამცახარამ" თავისი სიმპათიები ლაკობასა და პრეზიდენტ ბაგაფშის ამჟამინდელი დაპირისპირების დროსაც არ დამალა. სხვათა შორის, სწორედ "ამცახარას" მიერ იყო ორგანიზებული შეხვედრები ბაგაფშისა და ლაკობას მონაწილეობით და სწორედ ამ მოძრაობის დამსახურებაა მათი შერიგებაც.

სავსებით გასაგებია, რომ "ამცახარას", ლაკობასთან ერთად, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და წარმატების მიღწევა თამამად შეუძლია. სამთავრობო კოალიციის მსგავსი გახლეჩა, მით უმეტეს, მუშაობის დაწყებიდან, სულ რაღაც, სამიოდე თვეში, ხელისუფლების პოზიციებზე დამღუპველად იმოქმედებს.

ამჯერად, პრეზიდენტისა და აფხაზეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის შერიგება მოხერხდა. თუმცა, აღნიშნული კონფლიქტი აშკარად მიუთითებს იმ ფარულ დინებებზე, რაც აფხაზეთის მთავრობის შიგნით მიმდინარეობს და რაც სახელმწიფო მართვის ბევრ საკითხში პოზიციების შეუთანხმებლობაში გამოიხატება.

# "ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა - მთავრობის უპირველესი ამოცანა"

პირველი გვერდიდან

**პასუხისმგებელ ადგილობრივ თვიმმართველობასთან ერთად, რომელიც მოქალაქეების მიერ არის არჩეული და რომლის ავტონომიურობაც აღიარებულია კანონის და ცენტრალური ხელისუფლების მიერ,"** - განაცხადეს გუშინ ასოციაციის წარმომადგენლებმა.

გუშინვე ასოციაციამ გაავრცელა განცხადება და სახელმწიფო კომისიას, რომელიც ტერიტორიული მოწყობის რეფორმაზე მუშაობს, გააქტიურებისაკენ მოუწოდა. **"ჩვენ ვაცნობიერებთ დეცენტრალიზაციასა და საზოგადოებრივი ადმინისტრირების ეფექტურობის საქმეში სახელმწიფო კომისიის მნიშვნელობას. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ კომისიასთან და იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში იგი კონკრეტულ შედეგებს მიაღწევს. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტმა დროულად უნდა მიიღოს კანონი ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ, რომელიც ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა უკვე არაერთხელ განიხილეს და მოიწონეს. ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის კანონი სრულ შესაბამისობაში მოვა ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან... ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რეფორმას ჩვენ მოვიაზრებთ, როგორც საქართველოს მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას. ეს რეფორმა ეროვნულ ცნობიერებას უნდა ეფუძნებოდეს... მთავრობამ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების შეხედულებები და იდეები და, შეძლებისდაგვარად, ჩართოს ისინი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში,"** - ნათქვამია ამ დადგენილებაში.

*24 საათი*

# ნინო ბურჯანაძე რიჩარდ მაილსს მადლობას უხდის

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აშშ-ს ელჩს რიჩარდ მაილსს საქართველოში გაწეული მუშაობისათვის მადლობას უხდის.

მისი თქმით, იგი თანამშრომლობის აქტიური სურვილით გამოირჩეოდა და ეს თანამშრომლობა ყოველთვის კონსტრუქციული იყო.

"როდესაც ბატონი მაილსი საქართველოში ელჩად ინიშნებოდა, ამერიკის მხარე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ის იყო გამოცდილი დიპლომატი, რომელმაც კარგად იცოდა პოსტსაბჭოური სივრცის სპეციფიკა. მან თავისი მუშაობის დროს ეს კარგად გამოავლინა," - განაცხადა ბურჯანაძემ.

რაც შეეხება ახალ ელჩს, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მან მის შესახებ ბევრი არაფერი იცის, თუმცა იმ ინფორმაციით, რაც მას გააჩნია, ჯონ ტაფტს პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებთან მუშაობის ასევე კარგი გამოცდილება აქვს.

"ვისაც ამ სივრცესთან შეხება ჰქონდა, იგი უფრო მალე იგებს იმ პრობლემატიკას, რაც ჩვენ გვაწუხებს, ვიდრე ისინი, ვინც დასავლეთ ევროპაში მუშაობდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ ასეთი გამოცდილების ადამიანი შეარჩია. დარწმუნებული ვარ, მასთან კარგი თანამშრომლობა გვექნება, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს," - განაცხადა ბურჯანაძემ.

*მედიანიუსი*


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

დროის წამობრივი აღრიცხვა

აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

მხოლოდ 30თ.

8-10

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# "გამარჯვებაში ჩვენ ერთობა მოგვეხმარა"





ლევან ხერხეულიძის ფოტო

დალი კუპრავა

კოლეჯმა CAC-მ ჩაატარა ინტელექტუალური თამაშები. მონაწილეობდნენ 42-ე, მე-2, 53-ე სკოლები, სკოლა "ჯეჯილი", "იესემი" და კოლეჯი CAC. გუნდები ხუთი შაბათის განმავლობაში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვა 53-ე სკოლის გუნდმა "ტომაჰავკმა". გუნდში ცხრა მეათე და მეთერთმეტეკლასელი იყო.

**"ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო - მე დავრწმუნდი ჩემს ცოდნაში, დავძლიე ექსტრემალური სიტუაციის სტრესი და ეროვნული გამოცდები "საშიშად" აღარ მეჩვენება,"** - ლაშა ფანჩულიძე.

**"ეს ტურნირი ერთ-ერთი საუკეთესო მოვლენაა ჩემს ცხოვრებაში იმიტომ, რომ თერთმეტი წლის განმავლობაში დაგროვილი ცოდნის გამოყენების საშუალება მომეცა და საკმაოდ ნაყოფიერად გამომივიდა. მე გუნდის კაპიტანიც ვიყავი და მიხარია, რომ მეგობრების და სკოლის ნდობა გავამართლე. პასუხისმგებლობა დიდი იყო: პასუხის რამდენიმე ვარიანტიდან მე უნდა ამერჩია ერთადერთი!"** - დავით ჩოკოშვილი.

**"რაღაცას ძალიან რომ მოინდომებ და ამ სურვილის ასასრულებლად თავს არ დაზოგავ, შედეგიც შესაბამისია. ყველაფერზე მეტად, ის დაგვეხმარა, რომ ერთიანი გუნდი ვიყავით, ერთი ლიდერის, კაპიტნის "ქვეშ" გაერთიანებულები. ცოდნით ვარსკვლავებს ვწყვეტდით-მეთქი, ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ერთობით გავიმარჯვეთ. თავიდან ვაგებდით, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაგვიყრია,"** -ვახო ვახტანგიშვილი.

**"ისტორიის სფეროში შეკითხვებში შეცდომაც აღმოვაჩინეთ - ჯალალ ედ-დინის ლაშქრობა 1225 წელს იყო და არა 1125-ში, როგორც იქ იყო აღნიშნული, და ჩვენ დავამტკიცეთ ჩვენი ცოდნის სისწორე, ქულაც არ დავკარგეთ. თუ ამპარტავნობად არ ჩამითვლით, მე ძალიან მომეწონა როგორც გუნდის, ასევე ჩემი თამაში. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი კიდევ, ოღონდ, იგივე შემადგენლობით,"** - თათია სირაძე.

**"ერთმანეთს შეცდომებისთვის კი არ ვუბრაზდებოდით, ვამხნევებდით. სწორედ ეს დაგვეხმარა გამარჯვებაში. სკოლისგან მხარდაჭერას ვგრძნობდით და ჩვენი გამარჯვების გამო სიამაყეც ვიგრძენით,"** - მარიამ მურუსიძე.

**"ჩემთვის საამაყოა ინტელექტუალურ თამაშში გამარჯვება, სკოლაც ვასახელეთ და ძალიან მინდა, რომ ასეთი კონკურსები შემდეგშიც ჩატარდეს,"** - ანა კარტოზია.

**"სიძნელეების დაძლევაც ვისწავლე და ცოდნაც შევიძინე. საჩუქრად წიგნებიც მივიღეთ. ერთ ძალიან დაძაბულ თამაშზე ჩვენი სკოლის დირექტორი, ბატონი ზაალიც გვესწრებოდა, ერთიორად ვნერვიულობდით, რომ თავი არ მოგვჭროდა,"** - მიშა ტურაბელიძე.

**"კარგია, რომ სწავლას და ცოდნას ფასი ეძლევა. უფროსები მართლები არ არიან, ჩვენ "დაკარგულ თაობას" რომ გვეძახიან. როცა ნახევარფინალში გავიმარჯვეთ, ჩვენი კაპიტანი დათო ისე მომეხვია, კინაღამ ხერხემალში გადამტეხა და რამდენიმე დღე მხრები მტკიოდა. ყველა გუნდელი რაღაც განსაკუთრებულად შემიყვარდა, როგორც "ჩემიანი". ჩვენ უკვე ბევრი რამ გვაერთიანებს,"** - ანა რეხვიაშვილი.

**"გუნდის სახელი "ტომაჰავკი" ჩემი ვარიანტი იყო, ალბათ, "უკანასკნელი მოჰიკანის" ზეგავლენა იყო - ჩვენ წინ დიდი ბრძოლა გველოდა და დევიზიშეძახილი "ფრთხილად, ტომაჰავკი!" ჩვენს მოწინააღმდეგეებს ჩვენი სიძლიერის შესახებ აფრთხილებდა,"** - გიორგი დარჩიაშვილი.

"ტომაჰავკელები" კმაყოფილები არიან, უფრო გამოცდილებიც და დაბრძენებულებიც, ვიდრე იყვნენ, სულხან-საბას იგავი "ძალა ერთობისაც" გაითავისეს და დამსახურებულად ამაყებიც არიან, რატომაც არა - მათ გაიმარჯვეს.

**არქიტექტურის კონკურსი**

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24 მე-3 სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

**ტელ: 22-74-02, 96-86-58**
**ფაქსი: 95-99-97**
**ელ-ფოსტა archunion-geo@yahoo.com**




# ერთი მუზეუმის ისტორია და პრობლემები

თამარ დვალი

*გუშინ მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნებოდა. ამ დღესთან დაკავშირებით, თბილისის ყველა მუზეუმში დამთვალიერებელს უფასოდ შეეძლო შესვლა. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ეს დღე მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღნიშნა. ჯავახიშვილის 7 ნომერში მდებარე მუზეუმი 1987 წელს, ილია ჭავჭავაძის 150-ე წლისთავთან დაკავშირებით გაიხსნა. 1889-1901 წლებში ამ სახლში ილია ჭავჭავაძე თავის მეუღლესთან და დასთან - ელისაბედთან ერთად ცხოვრობდა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი წარმოადგენს კომპლექსს, რომლის შემადგენლობაშიც შედის: ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმი, შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმი და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი. ილიამ ამ სახლში 11 წელიწადი იცხოვრა. აქვე იყო მოთავსებული გაზეთ "ივერიას" რედაქცია და სტამბა. შენობის პირველ სართულზე რამდენიმე ოთახია, სადაც გამოფენილია ილიას ცხოვრების ამსახველი სურათები. აქ ოთახებს თავისი დასახელებები აქვს: "ილია ჭავჭავაძე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ", "ილია და აჭარა", "ჭავჭავაძის ევროპეიზმი", "ილია-წმინდანი" და ა.შ. აქვე ფუნქციონირებს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, სადაც უძვირფასესი წიგნებია მოთავსებული.

მემორიალური მუზეუმის დირექტორის მზია ნადირაძის თქმით, მათ მთავრობისგან ყურადღება ნამდვილად არ აკლიათ, თუმცა გარკვეული პრობლემებიც აქვთ. პირველ რიგში, მუზეუმის თანამშრომლები პირველ სართულზე გათბობის გაკეთებას ითხოვენ, რადგანაც ნესტიანი კედლები ექსპოზიციებს საფრთხეს უქმნის. რომ არა თავისი საქმის უზომო სიყვარული, 32 ადამიანისგან შემდგარი კოლექტივი მუშაობას ნამდვილად ვერ შეძლებდა. მეცნიერ-მუშაკის ხელფასი აქ 20 ლარიდან 60 ლარამდე მერყეობს.

**"ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი მერიის კულტურისა და მეცნიერების საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაშია. რამდენიმე წლის წინათ, აქ სარემონტო სამუშაოები ჩატარდა. ჩვენს ერთადერთ პრობლემად გათბობის საკითხი რჩება. ზამთარში მერიის სამსახური ნავთით გვამარაგებს, თუმცა ძალიან უხარისხო ნავთია და მისი მოხმარება გვიჭირს. ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად, გაჩნდა იმედი, რომ სახელფასო ფონდსაც გაგვიზრდიდნენ. როგორც გავიგეთ, ამ წელიწადში ეს არ მოხერხდება, მომავალ წელს ხელფასების ზრდა შტატების შემცირების ხარჯზე იგეგმება თურმე. 55-დან ამჟამად 32 თანამშრომელია დარჩენილი. უბრალოდ, წარმოუდგენელია, ამაზე ნაკლებმა როგორ უნდა გაართვას თავი ამდენ საქმეს. აქ საუბარია სამ შენობაზე,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორმა მზია ნადირაძემ.

აღსანიშნავია, რომ სხვა მუზეუმებისგან განსხვავებით, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში შესვლა ყოველთვის უფასოა. აქ შეგიძლიათ მიიღოთ ყველა საჭირო ინფორმაცია დიდი საზოგადო მოღვაწის შესახებ. მუზეუმის ხელმძღვანელობა ცდილობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ილიას მოსაზრებებით გამოეხმაუროს. აქ გაკეთებულია ნარინჯისფერი ოთახი, სადაც უკრაინასთან ილიას ურთიერთობაა გადმოცემული. მზია ნადირაძის თქმით, მათ მოიძიეს და გამოაქვეყნეს ილიას მოსაზრება ქალაქის თავის არჩევითობის შესახებ. **"ილია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ქალაქის თავის, ანუ, დღევანდელი გაგებით, მერის არჩევნები პირდაპირ უნდა მომხდარიყო. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: "ხალხმა უკეთ იცის, თუ ვინ უნდა იყოს მისი ხელმძღვანელი,"** - აღნიშნა ნადირაძემ.

ივანე ჯავახიშვილის 7 ნომერში მისულ ადამიანს სრული შესაძლებლობა ეძლევა, მეცხრამეტე საუკუნის საზოგადო მოღვაწეების ცხოვრებას გაეცნოს. აქ ხომ მეცხრამეტე საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოება და საქართველოში სტუმრად მყოფი უცხოელები იყრიდნენ თავს. სწორედ ამ სახლიდან იღებდა სათავეს მთელი რიგი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურული წამოწყებანი. ადრე ამ შენობის ფასადს თაღი ამშვენებდა, რაც იმის დასტური იყო, რომ ამ სახლში თავადი ცხოვრობდა.

# მომხმარებელთა უფლებებს სავაჭრო ობიექტების ადმინისტრაცია დაიცავს

*1 ივნისიდან ძალაში შედის ახალი კანონი, რომლის მიხედვით, ყოფილი სახელმწიფო ვეტლაბორატორიები სავაჭრო სტრუქტურაში შემავალ ობიექტებად იქცევიან, გასაღებულ ხორცსა და ხორცპროდუქტების საიმედოობაზე კი პასუხისმგებლობა მთლიანად ბაზრების, ბაზრობებისა და სუპერმარკეტების ადმინისტრაციას დაეკისრება.*

ირმა კახურაშვილი

2004 წლის ოქტომბერში დამტკიცებული ახალი კანონის თანახმად, ვეტერინარიის სახელმწიფო დეპარტამენტი მხოლოდ სავაჭრო ობიექტზე შეტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტის მაკონტროლებლის ფუნქციას დაიტოვებს. გარდა ამისა, გამკაცრდება სადამსჯელო სანქციებიც. მაგალითად, ვეტერინალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტზე შეუმოწმებელი რძისა და ხორცის პროდუქციის მოხვედრის შემთხვევაში, კანონდამრღვევი 1500-3000 ლარით დაჯარიმდება, ხოლო თუ მომხმარებლის ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება, საჯარიმო სანქციებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეცვლის. ეს კი, დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჯამბულ მაღლაკელიძის განცხადებით, ახალი კანონმდებლობა, უპირველესად, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. მარტივად რომ ვთქვათ, ის მოგებაზე მზრუნველ ბაზრისა და მაღაზიის დირექციას აიძულებს, ხორცპროდუქტის ხარისხზეც იზრუნოს. ამისათვის კი ნორმალურად აღჭურვილი ლაბორატორია და სერტიფიცირებული ვეტსპეციალისტია საჭირო.

ცხადია, საქართველოში არსებული ლაბორატორიების უმეტესობა თანამედროვე სტადარტებს არ შეესაბამება, ძირითადად, იმის გამო, რომ მათი მოწყობა საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება. შედარებით კეთილმოწყობილი ლაბორატორია "დეზერტირების" ბაზარშია, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებს არც ის აკმაყოფილებს. სხვა ვეტ-სანლაბორატორიებისგან ის მხოლოდ ახალი რემონტით გამოირჩევა.

"ხორცი ჯერ იქ მოწმდება, სადაც საქონელი იკვლება და ამას ადგილობრივი ვეტსამსახურის მიერ გაცემული "ფორმა N2" ადასტურებს. ხელმეორედ ხორცი ბაზარში მოწმდება, დამღა ედება და სარეალიზაციოდ გადის. თუ რაიმე დაავადება ვიეჭვეთ, ხორცს დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ცენტრში გადავგზავნით, სადაც მას 24-საათიანი გამოკვლევა ჩაუტარდება," - გვიხსნის "დეზერტირების" ბაზრის ვეტლაბორატორიის თნამშრომელი ნინო მოდებაძე.

ვეტექიმების აზრით, მათი სამუშაო პირობებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა არა მხოლოდ კანონმდებლობის შეცვლაზეა დამოკიდებული. "მთელი დღის განმავლობაში მოვაჭრეს კონტროლიორად ვერ დავუდგები, ვერ გადავამოწმებ, დახლქვეშიდან ის შეუმოწმებელ ღვიძლს ჰყიდის თუ გულს... ამიტომ, ბევრი რამ თავად მოვაჭრეზე, ბაზრის ადმინისტრაციის მონდომებასა და სანიტარულ ინსპექციაზეა დამოკიდებული," - აცხადებენ ისინი.

ჯამბულ მაღლაკელიძის განცხადებით, ის ობიექტები, რომლებიც საკუთარ ლაბორატორიას ვერ მოაწყობენ, ხორცპროდუქტით არ ივაჭრებენ.

# გაეროს ექსპერტები "თბილგაზის" გადასარჩენად

*გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები დღეს "თბილგაზს" საფუძვლიანად შეათვალიერებენ და საწარმოს სრული რეაბილიტაციისთვის რეკომენდაციებს შემოგვთავაზებენ. ექსპერტებს უცხოელი ბიზნესმენები და ბანკირებიც ჩამოჰყვნენ. "თბილგაზის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ისინი საწარმოს რეაბილიტაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელებაში დაეხმარებიან.*

ნანა ქადაგიშვილი

განვითარებისა და ინტეგრაციის ახლად შექმნილი ინსტიტუტისა და მერია-საკრებულოს ხელმძღვანელობამ გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის წარმომადგენლები და ექსპერტები გუშინ ჯერ მერიის შენობაში მიიწვია და სემინარი მოაწყო. ქართულმა მხარემ უცხოელებს თბილისის გაზმომარაგების პრობლემები გააცნო. დღეს კი, გაეროს კომისიის წარმომადგენლები საწარმოში არსებულ მდგომარეობას საკუთარი თვალით ნახავენ. **"დასავლეთის ექსპერტები, "თბილგაზის" მონახულების შემდეგ, საწარმოს რეაბილიტაციის რამდენიმე ვარიანტს შემოგვთავაზებენ. გამორიცხული არ არის, ფინანსური დახმარებაც გაგვიწიონ,"** - აცხადებს ქალაქის პრემიერი თემურ ქურხული.

უცხოელ ბიზნესმენებზე იმედს "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ქაჯაიაც ამყარებს. **"თბილგაზს" საწარმოს რეაბილიტაციის ორი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამა აქვს შემუშავებული. მოკლევადიანი გეგმა განსაკუთრებით მწვავე პრობლემების მოგვარებას ითვალისწინებს. რეაბილიტაციის გრძელვადიანი გეგმის განხორციელება კი დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და მისი დაფინანსება საკუთარი ძალებით შეუძლებელია. უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების გაცნობის შემდეგ, ჩვენს პროგრამაში ამ წინადადებებსაც გავითვალისწინებთ და პროგრამის შეჯერებულ ვარიანტს კომისიას წარვუდგენთ. თუკი პროგრამას მოიწონებენ, უცხოელი ბიზნესმენები, ალბათ, მის დაფინანსებაშიც დაგვეხმარებიან,"** - აცხადებს ქაჯაია.

საკრებულოს ინტეგრაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელი და უცხოელი ექსპერტების მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი ნინო მირიანაშვილი კი ეჭვობს, "თბილგაზის" ხელმძღვანელობას საწარმოს რეაბილიტაციის პროგრამა შემუშავებული ჰქონდეს. ასეთი პროგრამა რომ არსებობდეს, აქამდე გამოჩნდებოდაო, აცხადებს მირიანაშვილი და იმედებს მთლიანად უცხოელთა რეკომენდაციებზე ამყარებს. "გაეროს ევროკომისიის მიერ შემუშავებულ პროგრამას მეტი შედეგი ექნება," - გვარწმუნებს საკრებულოს ინტეგრაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის ხელმძღვანელი.

# ქართველი ქირურგები გადასანერგი ორგანოების ნაკლებობას უჩივიან

*გუშინ, ტრანსპლანტოლოგიაში მომუშავე კავკასიელმა და უცხოელმა სპეციალისტებმა ამ სფეროში არსებული გამოცდილება ერთმანეთს გაუზიარეს. სემინართა ციკლის ორგანიზატორი საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაცია იყო. სპეციალისტების ძირითად სასაუბრო თემას კი ტრანსპლანტაციის სამართლებრივი ნორმების ევროსტანდარტებთან მისადაგება, გარდაცვლილი ადამიანის ორგანოების გამოყენება, ორგანოთა გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანკის შექმნა წარმოადგენდა.*

ირმა კახურაშვილი

ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელ გია თომაძის განცხადებით, საქართველოს ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობა სრულად აქვს დახვეწილი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ არსებობს. პირველი პრობლემა გადასანერგი ორგანოების ნაკლებობაა, მეორე - მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება გვამური დონაციის მიმართ. ამიტომ, სასტუმრო "ვიპ-ვიქტორიაში" გამართული შეხვედრა არა მხოლოდ სპეციალისტებს შორის რეგიონული ურთიერთობების გამყარებით იყო მნიშვნელოვანი, არამედ საინფორმაციო თვალსაზრისითაც.

**"ტრანსპლანტოლოგიის სფეროში მსოფლიო 120 წელია მუშაობს და ცდილობს, მომსახურების ხარისხი და მასშტაბები გაზარდოს. ჩვენს ქვეყანაში ეს სისტემა ჯერ კიდევ დასახვეწია,"** - აცხადებს თომაძე.

ჯერჯერობით, ყველაზე ხშირად ქართველი მოქალაქეები თირკმელისა და რქოვანას გადანერგვის ოპერაციებს იკეთებენ. ორგანოგადანერგილ პაციენტთა სია 59 ადამიანს მოიცავს. აქედან, 33 ოპერაცია საქართველოშია გაკეთებული, დანარჩენი - საზღვარგარეთ. ოპერაციების უმეტესობა წარმატებულია.

რაც შეეხება ტრანსპლანტაციის სფეროში საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, ის პაციენტისა და მისი ნათესავების გაცხადებულ თანხმობაზეა დამყარებული. ორგანოთა გაყიდვა კანონით იკრძალება და 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. **"თუმცა, ყოველწლიურად მედიცინის სფეროში უამრავი ინოვაცია მკვიდრდება, ამიტომ აუცილებელია, პერიოდულად კანონმდებლობამაც გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადოს,"** - ამბობს ფრანგი სპეციალისტი ბერნანდ ლოტი. მისი თქმით, დღესაც არსებობს ორგანოთა გასაღების არალეგალური ბაზარი, რომელსაც თავისი მომხმარებლები ჰყავს. არც ისე დიდი ხნის წინ ეს ბაზარი ჩვენს მეზობლად, თურქეთში იყო.

ბერნანდ ლოტი საქართველოს ესპანეთის გამოცდილების გაზიარებას ურჩევს, სადაც ბოლო 10 წლის განმავლობაში საავადმყოფოებში ამოქმედდნენ სამსახურები, რომლებიც ავადმყოფთა ან გარდაცვლილთა ნათესავებს დონაციაზე ითანხმებდნენ. **"გამოდის, რომ კვლავ გვამური დონაციის პრობლემასთან მივედით. გარდაცვლილი ადამიანის ორგანოებს სხვისი სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია და მოსახლეობამ ეს უნდა გაითავისოს,"** - ამატებს გია თომაძე. მისი აზრით, თუ გვამური დონაცია პოპულარული გახდება, ქართველი სპეციალისტები ღვიძლის, გულისა და ფილტვის გადანერგვასაც შეძლებენ. ამას ხელს შეუწყობს ერთობლივი საინფორმაციო ბანკის ამოქმედებაც, სადაც პაციენტებისა და ორგანოების იმუნოლოგიური მაჩვენებლები იქნება მითითებული.

# ვენესუელის არმიაში ბელგიურ იარაღს რუსული შეცვლის



ურთიერთობები ვენესუელასთან, რის გამოც, რუსეთს აშშ ძალიან ხშირად კიცხავს ხოლმე, კიდევ უფრო გაღრმავდა. ბი-ბი-სი-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვმა კარაკასთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმად, ვენესუელის სამხედრო არსენალი 100 000 კალაშნიკოვის ტიპის ავტომატით გამდიდრდება. ამ რაოდენობის რუსული წარმოების იარაღის ფასი 50 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს. ამდენად, ვენესუელის არმიაში საკმაოდ მოძველებულ ბელგიური წარმოების იარაღს რუსული ჩაენაცვლება.

ოფიციალური ინფორმაციით, ვენესუელის არმიაში 80 000 სამხედრო პირი ირიცხება, თანაც ამ ციფრში არ შედის რეზერვისტთა დანაყოფები. მიმდინარე წლის აპრილში უგო ჩავესმა ერთ-ერთ გამოსვლაში მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის 200 000 კაცამდე გაზრდის გეგმებზე ისაუბრა.

AK-103 ტიპის ავტომატების პირველი პარტია, რომელთა საერთო რაოდენობა 28 000 ერთეულით განისაზღვრება, ვენესუელას მიმდინარე წლის ოქტომბერში მიეწოდება. იარაღის მეორე პარტიის მიწოდება კი 2006 წლის იანვარში იგეგმება. მზა იარაღის მიწოდების გარდა, მოსკოვი კარაკასს იარაღის ქარხნის აღჭურვაშიც დაეხმარება.

ამრიგად, აშშ-ს წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელშეკრულება მაინც გაფორმდა. ვენესუელის ხელისუფლება კი თავის გასამართლებლად აცხადებს, რომ რუსული იარაღით მისი დაინტერესება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ამავე სფეროში ესპანეთსა და ბრაზილიასთან თანამშრომლობა.

როგორც ცნობილია, აშშ-ს შეშფოთების მიზეზი ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის პოლიტიკაა. მას ლათინურ ამერიკაში დესტაბილიზაციის წყაროდ აღიქვამენ. აშშ-ს ხელისუფლება შიშობს, იარაღი მეზობელ კოლუმბიაში მემარცხენე აჯანყებულ ძალებს არ ჩაუვარდეთ ხელთ. როგორც ცნობილია, ბოგოტა სწორედ კოლუმბიელი ამბოხებულებისათვის თავშესაფრის მიცემის გამო კიცხავს ვენესუელის ხელისუფლებას. საპასუხოდ ჩავესი აცხადებს, რომ საზღვრებს გარეთ კონფლიქტის გავრცელებაში დამნაშავე მხოლოდ კოლუმბიის ხელისუფლების უუნარობაა.

ვაშინგტონ-კარაკასის ურთიერთობებს კიდევ უფრო ამწვავებს ის ფაქტი, რომ ვენესუელა, როგორც მსოფლიოში მეხუთე ადგილზე მყოფი ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყანა, აშშ-სთვის ენერგორესურსებით უზრუნველყოფის სფეროში უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. თუმცა, ამ სფეროში თანამშრომლობა აშშ-ზე ნაკლებად არც ვენესუელას სჭირდება, რადგან ენერგორესურსების ორი მესამედი მას სწორედ შეერთებულ შტატებში გააქვს.

დაბოლოს, სამხედრო სფეროში თანამშრომლობა ვენესუელასა და რუსეთს შორის მხოლოდ ავტომატური იარაღით დაინტერესებაში არაა. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში კარაკასმა ხელი მოაწერა შეთანხმებას 120 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 10 რუსული სამხედრო ვერტმფრენის შესყიდვის თაობაზე. ამ შემთხვევაშიც, გასამართლებელი საბუთი ვენესუელის მხრიდან კოლუმბიასთან საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა იყო.

# ნარინჯისფერ რევოლუციას საწვავი შემოაკლდა

პირველი გვერდიდან

სადაც ავტორი სინანულით აღნიშნავს: **"სამწუხაროდ, უკრაინის ახალი მთავრობა, რევოლუციის კიდევ ერთი ლიდერის იულია ტიმოშენკოს მეთაურობით, მოულოდნელად ისეთ ეკონომიკურ კურსს ირჩევს, რომელიც თავისი შინაარსით სოციალისტური და პოპულისტურია. ამის შედეგი სწრაფად გამოჩნდა: თუ შარშან უკრაინაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 12 პროცენტს შეადგენდა, წელს, პირველი ოთხი თვის მანძილზე იგი მკვეთრად შემცირდა და 5 პროცენტსლა აღწევს. ხოლო ინფლაცია 15 პროცენტამდე გაიზარდა. რატომ გაუარესდა ასე მკვეთრად სიტუაცია?"**

მიზეზი, რასაკვირველია, არაერთია (იგივე ნავთობპროდუქტების დეფიციტი). თუმცა, მთავარი, ალბათ, ის ფაქტორია, რომ უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლების განცხადებები მკვეთრად განსხვავდება "რევოლუციის" პერიოდის ლოზუნგებისგან. იუშენკოს მმართველობის ასი დღისადმი მიძღვნილ სტატიაში ინგლისურენოვანი "კიევ პოსტი" აღნიშნავდა, - **"მაშინ, როცა იუშენკო საზღვარგარეთ მაღალფარდოვან განცხადებებს აკეთებს, დანარჩენი ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, მის მითითებებს არ უსმენს".**

## დაპირისპირების კიდევ ერთი მიზეზი - საწვავი

გასულ თვეში ლატვიაში გამართულ ნატო-ს არაოფიციალურ სამიტზე ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუპ სხეფერმა ვიქტორ იუშენკოსა და უკრაინელ ხალხს ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით "ხატოვანი" დაპირება მისცა: **"თქვენ მანქანის საჭეს მართავთ, ხოლო ნატო ამ მანქანის საწვავით მომარაგებაზე იზრუნებს."** სხვათა შორის, მეტაფორა ფრიად ორაზროვანი გამოვიდა - დღეს უკრაინაში დიდი პრობლემებია ბენზინთან დაკავშირებით. ბოლო ხანებში ნავთობპროდუქტების მიწოდებამ უკრაინაში შესამჩნევად იკლო, რამაც კატასტროფულად გაზარდა საწვავზე ფასები. ბუნებრივია, "რევოლუციურმა" ლიდერებმა მომხდარში რუსი მიმწოდებლები დაადანაშაულეს.

თუმცა, აღმოჩნდა, რომ ჯერ-ჯერობით უკრაინელებს კიდევ კარგა ხანს მოუწევთ რუსული საწვავით (პირდაპირი მნიშვნელობით) მგზავრობა, რომლის დეფიციტი, მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, დღითიდღე მატულობს.

რიგითი უკრაინელი მომხმარებლისთვის ბენზინი ან საერთოდ არ არის, ან მას საათობით უწევს რიგში დგომა; და მაინც, შეზღუდული ოდენობით შესაძლებელია მისი შეძენა. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა იმპორტიორმა რუსულმა კომპანია "ლუკოილმა" ბენზინის შეზღუდული რაოდენობით გაყიდვა დაიწყო - ერთ მანქანაზე მხოლოდ და მხოლოდ ათი ლიტრი საწვავი.

მართალია, უკრაინის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს უმძიმესი კრიზისიდან თავდასაღწევად, მაგრამ ჯერჯერობით - უშედეგოდ. იულია ტიმოშენკოს მთავრობა ცდილობს, ნავთობპროდუქტების მიწოდების დივერსიფიკაციის საშუალებით დააღწიოს თავი კრიზისს, მაგრამ ყველა განხილული ვარიანტი (ყაზახეთიდან ნავთობის ექსპორტირება შავი ზღვით; სპარსეთის ყურის ნავთობბაზარზე გასვლა და ა.შ.) შორეულ პერსპექტივაში შეიძლება განხორციელდეს და უკრაინის დღევანდელ გაჭირვებას ვერ უშველის.

სხვათა შორის, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ნორვეგიიდანაც კი სცადა ნავთობმომარაგების უზრუნველყოფა. თუმცა, როგორც ჩანს, ესეც მხოლოდ სამომავლო თანამშრომლობის საკითხია.

როგორც ახლახან გახდა ცნობილი, კიევმა გადაწყვიტა, ქვეყანაში რუსეთის მიერ ბენზინის დეფიციტის ხელოვნურად შექმნას "ნავთობდარტყმითვე" უპასუხოს. უკრაინის ეკონომიკის სამინისტრომ პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოს მიმართა წინადადებით, გაზარდოს ტარიფი უკრაინის ტერიტორიაზე იმ რუსული ნავთობის ტრანზიტზე, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი.

სამინისტროს მთავარი არგუმენტი ის არის, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ნავთობის ტრანზიტის ფასი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპაში. ვინაიდან უკრაინა რუსეთისგან ნავთობს მსოფლიო ბაზრებზე არსებული ფასით ყიდულობს, უკრაინის ეკონომიკის სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ რუსეთისთვის შეღავათიანი ტარიფის შენარჩუნება მიზანშეწონილი არ არის.

ამჟამად 100 კმ-ზე 1 ტონა ნავთობის გატარების საფასური 73 ცენტს შეადგენს, რაც ორჯერ ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, სლოვაკეთში, - განუცხადეს ჟურნალისტებს უკრაინის ეკონომიკის სამინისტროში.

ბენზინის კრიზისთან დაკავშირებით ვიქტორ იუშენკომ დახმარება პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდრ კვასნევსკისაც სთხოვა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ივან პლაჩკოვის თქმით, უკრაინამ მოლდოვაში და ბალტიისპირეთში უკვე 70 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი შეიძინა, რამაც ბაზარზე სიტუაციის გამოსწორებას უნდა შეუწყოს ხელი.

## მოსკოვს უკრაინაში დემოკრატიის ბედი აღელვებს

ამასობაში რუსეთს, ნავთობპროდუქტების დეფიციტზე მეტად, მეზობელ ქვეყანაში დემოკრატიის დეფიციტი აწუხებს.

გუშინ ანალიტიკურმა სააგენტო "გაზეტა.რუ"-მ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო სათათბირო უკრაინაში "დემოკრატიის განსამტკიცებლად" სერიოზულად იწყებს მუშაობას.

ინფორმაციიდან, ერთი შეხედვით, სრულიად დაუჯერებელი რამ ხდება ცნობილი: რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს დსთ-ს კომიტეტი ამზადებს მიმართვას ევროსტრუქტურებისადმი - დაიცვან უკრაინის ოპოზიცია იუშენკოს რეჟიმის ზეწოლისგან.

იმას, რომ რუს კანონშემოქმედებს იუშენკო-ტიმოშენკოს მმართველობა გულზე არ ეხატებათ, ალბათ, არავისთვის განსაკუთრებული აღნიშვნა არ სჭირდება. თუმცა, ამჟამინდელი განცხადება "პოსტრევოლუციური" უკრაინის მიმართ რუსი დეპუტატების პირველი მწვავე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

მიმართვის ტექსტს მმართველი პარტიის "ედინაია როსიას" ინიციატივით ამზადებენ. მართალია, დოკუმენტი ჯერ არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მასში მოყვანილი ძირითადი დებულებების შესახებ წინასწარ გახდა ცნობილი - კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ "რეალური საფრთხე ექმნება წინა არჩევნებზე ამჟამინდელი ხელისუფლების ოპონენტების მხარდამჭერ უკრაინის მილიონობით მოქალაქის მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში".

**"რუსეთის პარლამენტის დეპუტატები განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავენ უკრაინაში იმ ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების დაპატიმრების ფაქტებს, რომლებიც ღიად დაუპირისპირდნენ უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკას,"** - ნათქვამია მიმართვის პროექტში.

ამას გარდა, რუს პარლამენტარებს არ მოსწონთ უკრაინის მთავრობის "გამორჩევითი რეპრივატიზაციის" კურსიც. მათი აზრით, ტიმოშენკოს მიერ შედგენილ საწარმოთა "შავ სიაში" ის კომპანიები შედიან, რომლებშიც რუსული კაპიტალია დაბანდებული. ამ კაპიტალთან კი რუსეთის მოქალაქეთა მრავალათასიანი არმიის მატერიალური ინტერესებია დაკავშირებული.

თუმცა, როგორც "გაზეტა.რუ" საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება, ამ დოკუმენტს, ამას წინათ საქართველოს მისამართით მიღებულ დადგენილებასთან შედარებით, სიმწვავე ბევრად აკლია.

საინტერესოა, რომ დაგეგმილ გადაწყვეტილებას რუსი დეპუტატები ასე ხსნიან: **"დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხები არ წარმოადგენს ეუთო-ს წევრი-ქვეყნის საშინაო საქმეს,"** - ცინიკურად აცხადებს პარტია "როდინა"-ს ლიდერი დმიტრი რაგოზინი.

ეს უკანასკნელი იმაზეც საუბრობს, თუ რა პრინციპით იხელმძღვანელებენ სათათბიროს ფრაქციები გადაწყვეტილებების მიღებისას. **"უკრაინაში 2006 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ ჩვენ უკრაინულ პარტიებზე უნდა ვიზრუნოთ. სათათბიროს ყველა ფრაქციას თავისი პარტნიორი ჰყავს უკრაინაში. რუსეთის ფედერაციის კომუნისტურ პარტიას - პეტრო სიმონენკოს კომუნისტები; "როდინას" - ალექსანდრ მოროზის სოციალისტები; "ედინაია როსია"-ს - ვიქტორ იანუკოვიჩის რეგიონების პარტია,"** - ამბობს რაგოზინი.

მისი თქმით, მართალია, მათ პარტნიორს - სოციალისტურ პარტიას არავინ ზღუდავს (პირიქით, ისინი სამთავრობო კოალიციაშიც არიან წარმოდგენილნი, ხოლო პარტიის ლიდერი ალექსანდრ მოროზი, სულაც, ვიცე-პრემიერია), მაგრამ "როდინა" აუცილებლად მიიჩნევს **"სოლიდარობის გამოცხადებას "ედინაია როსია"-სთვის, რომელიც თვლის, რომ "რეგიონების პარტიას" პრობლემები აქვს".**

**"უმჯობესი იქნებოდა, თუ პუტინის სათათბირო ხმას არ ამოიღებდა უკრაინაზე,** - განაცხადა ვიქტორ იუშენკოს მრჩეველმა, რუსეთის მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ლიდერმა ბორის ნემცოვმა, **- ეს იგივეა, რომ ჩრდილოეთი კორეა რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზრუნავდეს."** ნემცოვის თქმით, უკრაინის ოპოზიცია სრულიად თავისუფალია ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისგან; პირიქით, პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციები პერიოდულად პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებებსაც ბლოკავენ უმაღლეს რადაში.

ასე რომ, რუსი დეპუტატების დადგენილება უკრაინაში (ისევე, როგორც ევროპაში, რომლის მისამართითაც კეთდება ეს მიმართვა) სიცილის მეტს არაფერს გამოიწვევს.

სავარაუდოდ, დადგენილებას სახელმწიფო სათათბირო პარასკევს უყრის კენჭს.

# "საბა" - 2005

## ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის ნომინანტები

### საუკეთესო პროზაული კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | არჩილ ქიქოძე | "სოფელ ქვეყანა`, | "საარი" |
| 2 | ნუგზარ შატაიძე | "ნოემბრის წვიმა" | |
| 3 | ირმა მალაციძე | "ფატია" | "სიესტა" |

### საუკეთესო რომანი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა ბურჭულაძე | "სახარება ვირისა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ირაკლი სამსონაძე | "ყურთბალიში" | "არეტე" |
| 3 | აკა მორჩილაძე | "სანტა ესპერანსა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 4 | ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 5 | ბესო ხვედელიძე | "გაფრინდი ნელა" | "დიოგენე" |

### საუკეთესო პოეტური კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | რუსუდან კაიშაური | "ცოცხების გადაფრენა" | "კავკასიური სახლი" |
| 2 | ლელა სამნიაშვილი | "გველის წელიწადი" | "კავკასიური სახლი" |
| 3 | შოთა იათაშვილი | "ფანქარი ცაში" | "კავკასიური სახლი" |
| 4 | გიორგი ლობჟანიძე | "ბაბუაწვერების თაიგული" | "კავკასიური სახლი" |
| 5 | დათო მაღრაძე | SALVE | საარი |
| 6 | ანდრო ბუაჩიძე | "ელნათურები" | "მერანი" |

### საუკეთესო დებიუტი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ნესტან კვინიკაძე | "ისპაჰანის ბულბულები" | "არეტე" |
| 2 | გელა ჩქვანავა | "კოლორიტები" | "დიოგენე" |
| 3 | მარიანა ნანობაშვილი | "არიადნას გორგალი" | "მერანი" |

### საუკეთესო თარგმანი

| | ავტორი | სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | არისტოფანე | "კომედიები" | ლ. ბერძენიშვილი | "ლოგოს პრესი" |
| 2 | მარკ ტვენი | "ტომ სოიერის თავგადასავალი" | ა. ლეკიაშვილი | "არეტე" |
| 3 | დ.ჰ. ლორენსი | "ესეები თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის შესახებ" | თ. კოტრიკაძე | "კავკასიური სახლი" |
| 4 | ჯორჯ ორუელი | "1984" | დავით აკრიანი | "სიესტა" |
| 5 | გოლი თარაყი | "სახლი ზეცაში" | მზია ბურჯანაძე | "დიოგენე" |
| 6 | რუბენ გალიეგო | "თეთრით შავზე" | ნინო ბექიშვილი | "დიოგენე" |
| 7 | რჩეული თარგმანები | "ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა" | ჯ. აჯიაშვილი | |

### საუკეთესო პიესა

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი სამსონაძე | "ბებო მარიამი" | ალმანახი "დრამატურგია" |
| 2 | მანანა დოიაშვილი | "აქ, ამ სავანეში" | ალმანახი "დრამატურგია" |

### საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა შათირიშვილი | "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ნუგზარ მუზაშვილი | "ჩვენ და ისინი" | "მერანი" |
| 3 | გაგა ლომიძე | "წიგნები", | "კრიტერიუმი" |
| 4 | ეკა ცხადაძე | "წიგნები" | |




# სეული და ფხენიანი მოლაპარაკებებს აგრძელებენ

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ორდღიანმა დიალოგმა სასაზღვრო ქალაქ ქესონში შედეგი ვერ გამოიღო. ერთადერთი, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ, მოლაპარაკებათა კიდევ ერთი რაუნდის წამოწყებაა. სააგენტო "ფრანს პრესის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც სამხრეთ კორეის დელეგაციის მეთაურის რი ბონ-იოს სიტყვებს ეყრდნობა, მოლაპარაკებები დღეს გაგრძელდება. **"ამ ორი დღის განმავლობაში ჩვენ გულახდილად ვისაუბრეთ, მაგრამ - უშედეგოდ,"** - განაცხადა რი ბონ-იომ.

მოლაპარაკებები ჩიხში მას შემდეგ შევიდა, რაც ჩრდილოეთ კორეამ ექვსხმრივ შეხვედრაში მონაწილეობაზე კიდევ ერთხელ თქვა უარი.

აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები შიშობენ, რომ ჩრდილოეთ კორეა ატომურ იარაღს მიწისქვეშ უკვე მიმდინარე წლის ივნისში გამოცდის.

ფხენიანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ექვსმხრივი მოლაპარაკებები -ჩრდილოეთ კორეის, აშშ-ს, რუსეთის, ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის მონაწილეობით, 2003 წლის აგვისტოში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოლაპარაკებათა 3 რაუნდი გაიმართა, რეალურ შედეგებამდე მისვლა მხარეებმა ჯერჯერობით მაინც ვერ შეძლეს.

თუ აშშ ჩრდილოეთ კორეას გამალებულ შეიარაღებაში სდებს ბრალს, ოფიციალური ფხენიანი ვაშინგტონს მტრულ პოლიტიკაში ადანაშაულებს. ექსპერტები ექვსმხრივი მოლაპარაკებების ფორმატზე ჩრდილოეთ კორეის უარს საერთაშორისო საზოგადოების მიმართ შანტაჟად მიიჩნევენ. ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა საკმაოდ მყიფეა და ესაჭიროება უცხოური დახმარება, რის მოპოვებასაც ფხენიანი ბირთვული მუქარით ცდილობს. რამდენ ხანს გაგრძელდება ფხენიანის ხისტი პოლიტიკა, ჯერჯერობით, რთული სათქმელია. თუმცა, პრობლემის მოგვარებას ისევ ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკური უსუსურობა რომ შეუწყობს ხელს, ამის მტკიცედ სჯერა ზოგ ანალიტიკოსს.

**"ამერიკელებს ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკება გარკვეული პირობების შესრულებამდე არ სურთ, ხოლო თუ გავითვალისწინებთ უცხოური დახმარების საჭიროებას, ადრე თუ გვიან დათმობებზე წასვლა ფხენიანს მაინც მოუწევს,"** - აცხადებს რუსი ექსპერტი ანდრეი ნაკოვი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**რუსეთი-ესტონეთი.** რუსეთმა და ესტონეთმა გუშინ სახელმწიფო საზღვრის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. დოკუმენტი, დაახლოებით, 10 წლის განმავლობაში მზადდებოდა.

ხელშეკრულების გაფორმება მოსკოვში მოხდა. დოკუმენტს ხელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და მისმა ესტონელმა კოლეგამ ურმას პაეტმა მოაწერეს. ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთ-ესტონეთის საზღვრის მოხაზულობა ამ ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის გავლებულ ადმინისტრაციულ საზღვარს შეესაბამება. რუსეთ-ესტონეთის საზღვრის საერთო სიგრძე 460,6 კმ-ს შეადგენს, აქედან სახმელეთო საზღვარი 138 კილომეტრია. ესტონეთი ბალტიისპირეთის მეორე ქვეყანაა, რომელმაც რუსეთთან საზღვრის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ლიტვამ რუსეთთან ანალოგიური ხელშეკრულება 2003 წლის 12 აგვისტოს გააფორმა. **ინტერპრესი**

PSP პსპ
ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
იწვევს განაცხადის მიღებას ქსელში ფარმაცევტის ვაკანსიაზე

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
განათლება:
-უმაღლესი განათლება ფარმაცევტული განხრით;
-ფარმაცევტ-ორგანიზატორის სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.
გამოცდილება:
-ფარმაცევტულ სფეროში მუშაობის გამოცდილება;
-კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (სასურველია).
აუცილებელია:
-ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
-რუსული ენის თავისუფლად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
(თან იქონიეთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები) ან გამოაგზავნეთ თქვენი მონაცემები ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: vacancy@psp.ge

## სგსე-ს პრობლემებს უქმნიან

### ენერგოკომპანია სამართალდამცველებს აქტიურ მოქმედებებს სთხოვს

*სგსე-ს (საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია) მცხეთა-მთიანეთის ფილიალი სამართალდამცავების რეაგირებას ითხოვს. გუშინ, ფილიალის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა "24 საათს" საკმაოდ მწვავე პრესრელიზი მოაწოდა, სადაც საუბარი ფილიალში აღმოჩენილ დარღვევებსა და სამართალდამცველების მხრიდან ამ დარღვევებზე "წაყრუებას" ეხებოდა.*
*კერძოდ, როგორც ირკვევა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ურჩ გადამხდელებთან ბრძოლა ქვეყნის მთავარ ენერგოდისტრიბუტორს განსაკუთრებულად უჭირს, რადგან აქ არგადამხდელები, როგორც წესი, თავს არ ისჯიან და კომპანიის მიერ მათთვის "საჯარიმოდ" გამორთულ ტრანსფორმატორებს თვითნებურად რთავენ.*

მაია ურუშაძე

სგსე-ში ყურადღებას შემაშფოთებელ სტატისტიკაზე ამახვილებენ: 17 მაისს, საღამოს, ზაჰესის დასახლებაში თვითნებურად ჩართეს დავალიანების გამო გამორთული ტრანსფორმატორი. ტრანსფორმატორის თვითნებურ ჩართვას ადგილი ჰქონდა სოფ. დიღომშიც.

ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ რეგიონის პოლიციაში შესატანად ორივე უკანონო შემთხვევაზე მზადდება შესაბამისი განცხადებები. **"ენერგოკომპანია პოლიციას ყველა იმ შემთხვევის შესახებ აცნობებს, როცა ენერგოკომპანიის თანამშრომლებს წინააღმდეგობას გაუწევენ და არგადამხდელი ტრანსფორმატორების ჩაჭრის საშუალებას არ მისცემენ. ამჟამად რეგიონის პოლიციაში შესატანად მზადდება განცხადება წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზაჰესის დასახლებაში და გლდანში. ზაჰესში და გლდანში ენერგოკომპანიის თანამშრომლებს 16 არგადამხდელი ტრანსფორმატორის გამორთვის საშუალება არ მისცეს,"** - აცხადებენ სგსე-ს მცხეთა-მთიანეთის ფილიალში.

ბუნებრივია, ამგვარი წინააღმდეგობები ხელს უშლის რეგიონში ენერგოსექტორის კუთვნილი სახსრების ამოღების პროცესს, რის შედეგადაც, ოფიციალური სტატისტიკა არცთუ დამაიმედებელია: დავალიანების გამო, ზაჰესის დასახლებაში ამჟამად გამორთულია 6 ტრანსფორმატორი, რომელმაც 640 აბონენტი უნდა მოამარაგოს. კომპანიაში აცხადებენ, რომ აპრილის თვეში ამ ტრანსფორმატორებზე, საშუალოდ, ერთი აბონენტის მიერ 47 ლარის ღირებულების დენი დაიხარჯა. რაც შეეხება გლდანს, აქ დავალიანების გამო გამორთულია 8 ტრანსფორმატორი, რომლებიც 580 აბონენტს ემსახურება. სგსე-ს მონაცემებით, საშუალოდ თითოეული ამ აბონენტთაგანი აპრილის თვეში 38 ლარის ღირებულების დენს მოიხმარდა. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, გლდანისა და ზაჰესის აბონენტები უარს აცხადებენ მოხმარებული დენის საფასურის გადახდაზე და მათთვის ფიქსირებული გადასახადის დაწესებას მოითხოვენ.

ძნელი სათქმელია, რა მოგება უნდა ნახონ აბონენტებმა, თუ ისინი ფიქსირებულ გადასახადს გადაიხდიან. ფაქტი ფაქტად რჩება - ერთი კილოვატსაათი დენი ღირს ის, რაც ღირს, ხოლო ფიქსირებული გადასახადის შემოღება, რაზეც ენერგოკომპანიები აქამდე თავად იწყებდნენ ხოლმე საუბარს, ენერგოსექტორში აღრიცხვიანობას, მოწესრიგების ნაცვლად, სულ არევს - ხელს შეუწყობს ენერგოკომპანიის წარმომადგენელთა და მომხმარებელთა შორის კორუფციული გარიგებების გაზრდას და ალბათობა იმისა, რომ ენერგოკომპანიები დახარჯული დენის ეკვივალენტურ თანხას შეაგროვებენ, კიდევ უფრო დაიკლებს. ამასთან, შეუძლებელია, ფიქსირებული გადასახადი სამართლიანი იყოს, რადგან ერთი და იგივე ტიპის ელექტროხელსაწყოებს მოსახლეობის ნაწილი დღე-ღამის განმავლობაში შეუსვენებლად ხმარობს, ნაწილს კი მათი გამოყენება შედარებით იშვიათად სჭირდება. ფიქსირებული გადასახადის არსებობის შემთხვევაში, მოხმარებული დენის საფასურად, მოსახლეობის ეს ორივე ნაწილი ერთსა და იგივე თანხას გადაიხდიდა.

**"ენერგოკომპანიის პოზიცია გადახდაზე ცალსახაა: ჩვენ ფიქსირებულ გადასახადს არ ვცნობთ - ტრანსფორმატორზე მოხმარებული დენის საფასური სრულად უნდა იქნეს გადახდილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაირთვება გამორთული ტრანსფორმატორები,"** - აცხადებს სგსე-ს მცხეთა-მთიანეთის ფილიალის ხელმძღვანელი ირაკლი ელაშვილი. მისი თქმით, სამწუხაროა, რომ მოსახლეობა გადახდის აუცილებლობას ბოლომდე ვერ აცნობიერებს და საბოტაჟს მიმართავს, რაც ხშირად გზების გადაკეტვაში, ენერგოკომპანიის ოფისების ბლოკირებაში გამოიხატება.

ეს იმ დროს, როცა ამერიკული "პი-ეი კონსალტინგის" მიერ მართული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია არგადამხდელ ფიდერებს აღარ ზღუდავს - ის შეზღუდვებს მხოლოდ არგადამხდელი ტრანსფორმატორების მიმართ ახორციელებს.

ამასთან, გრძელდება ტრანსფორმატორებზე კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება, რაც ტრანსფორმატორებზე მოხმარებული დენისა და გადახდილი თანხების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სადაც სულ 44 ათასი აბონენტია, უკვე დამონტაჟებულია კომუნალური მრიცხველების 70 პროცენტი. მიუხედავად ამისა, როგორც სგსე-ს მცხეთა-მთიანეთის ფილიალში აცხადებენ, ტრანფორმატორების გათიშვის გამო ხშირია ენერგოკომპანიის თანამშრომლების სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც. **"სამწუხაროდ, ადგილობრივი სამართალდამცავი სტრუქტურები არაეფექტურად რეაგირებენ მსგავს ფაქტებზე, ამიტომ ენერგოკომპანია იძულებულია, რეგიონის პოლიციას მიმართოს,"** - აკონკრეტებენ კომპანიის წარმომადგენლები და დასძენენ, რომ **"სგსე-ს მცხეთა-მთიანეთის ფილიალი დავალიანების გამო გამორთული ტრანსფორმატორების თვითნებური ჩართვის ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაზე სამართალდამცავ სტრუქტურებში შესაბამის განცხადებებს ყოველთვის შეიტანს და, მსგავსი უკანონო ფაქტების მოკვლევის პროცესში, აქტიურად ითანამშრომლებს პოლიციასთან."**

## ბიზნესმენებმა საგადასახადოს შენიშვნები წარუდგინეს

გუშინ ბიზნესმენთა ფედერაციაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ზაზა ქობულაშვილსა და ბიზნესმენებს შორის გამართულ შეხვედრაზე საგადასახადო კოდექსი განიხილეს. ბიზნესმენებს ახალი კოდექსის მიმართ გარკვეული შენიშვნები გააჩნიათ და საგადასახადო დეპარტამენტს ამ პრობლემის მოგვარებას სთხოვენ.

ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, ახალ საგადასახადო კოდექსში ბიზნესმენებს ყველაზე მეტად ადმინისტრაციული ბიუროკრატიისა და ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების პრობლემა აღელვებთ, რის წინაშეც, ძირითადად, ექსპორტიორები დგანან.

**"ბიზნესის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული შენიშვნა შესაძლებელია იმის სერიოზული საფუძველი გახდეს, რომ მთავრობა საკანონმდებლო ცვლილებებით პარლამენტის წინაშე წარდგეს, რათა კოდექსი დაიხვეწოს,"** - განაცხადა ისაკაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების ხელმძღვანელებსა და ბიზნესმენებს შორის მსგავსი შეხვედრები რეგულარულად ტარდება. გიორგი ისაკაძის აზრით, ასეთი შეხვედრები მთავრობის წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს, ბიზნესის დამაბრკოლებელ პრობლემებზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ.

მორიგი შეხვედრა საბაჟო დეპარტამენტსა და ბიზნესმენებს შორის ფედერაციაში 20 მაისს იგეგმება.

*24 საათი*

## ენერგოსექტორის წევრთა რიცხვი მატულობს

გუშინ საბითუმო ბაზარმა ახალი წევრები მიიღო. ამიერიდან, საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის შემადგენლობას სამი კომპანია - ს/ს "ვარციხე 2005", შპს "ღორეშა" და შპს "რუსთავმშენი 2000" შეემატა.

"ვარციხე 2005" "ვარციხეჰესის" პრივატიზების შემდეგ ჰიდროელექტროსადგურის აქტივებს ფლობს და დენს აწარმოებს.

"ღორეშა" ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშაში, მდინარე კვადროურასა და მის მარჯვენა შენაკად ჩომათისხევზე მდებარე 145-კილოვატიანი სეზონური "ღორეშაჰესის" მფლობელია.

რაც შეეხება "რუსთავმშენი 2000"-ს, ის ბაზრის წევრობიდან 2004 წელს, ანუ მას შემდეგ გაირიცხა, რაც სემეკმა ელ.ენერგიის განაწილების მცირე ლიცენზიანტებს ლიცენზიები გააუქმა. თუმცა, სასამართლომ სემეკ-ის გადაწყვეტილება ბათილად ცნო და, შესაბამისად, "რუსთავმშენი 2000"-ს განაწილების ლიცენზია ავტომატურად აღუდგა.

გუშინვე, ბაზრის ახალმა 15-კაციანმა აღმასრულებელმა საბჭომ ახალი თავმჯდომარე აირჩია. ეს თანამდებობა "ენგურჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ ბაბუხადიას ხვდა წილად. ბაბუხარდია სესბ-ის აღმასრულებელ საბჭოს ერთი წლის მანძილზე უხელმძღვანელებს, ერთი წლის შემდეგ კი, ბაზრის წევრთა საერთო კრებაზე, საბჭოს შემადგენლობის ხელახალი არჩევნები ჩატარდება.

ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს ახალ თავმჯდომარეს "AES-თელასის" კომერციულ მენეჯერად მუშაობის გამოცდილება აქვს. მისი განცხადებით, ახლა ბაზრის უმთავრეს პრიორიტეტად საქართველოს ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმებისა და პრივატიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ასევე, დარგის ფინანსური და ტექნიკური მდგრადობის უზრუნველყოფა და ეფექტური მენეჯმენტის დამკვიდრება გახდება.

*24 საათი*

## ზურაბ ნოღაიდელი: "აეროპორტის მშენებლობის გაჭიანურება სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის"

### დეპუტატი შოთა გვენეტაძე პარლამენტარებისთვის დოკუმენტების დამალვაზე საუბრობს

*თბილისის აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს გუშინ, მთავრობის სხდომის დაწყების წინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გამოეხმაურა და საკმაოდ კატეგორიულად განაცხადა: "კონტრაქტი კონსორციუმთან, რომელშიც შედის ამერიკული კომპანია "ეი ენდ ჯეი", ლუქსემბურგის კომპანია "ჯი-თი-ეს" და თურქული კომპანია "ჩელები", უკვე გაფორმებულია და მშენებლობა ერთ წელიწადში დამთავრდება."*

თამარ ივანიძე

ასეთი გახლდათ სამშაბათს საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ინიცირებული განხილვის გაგრძელება, რომელზეც ოპოზიციამ ხელისუფლება ტენდერის არაობიექტურად ჩატარებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ გამარჯვებულ კონსორციუმს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლობირებს. როგორც ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, აეროპორტის მშენებლობა სწრაფად უნდა დაიწყოს და პროცესის გაჭიანურება ქვეყნის ინტერესებში არ შედის. მთავრობა მზად არის, ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტს დამატებითი ინფორმაცია წარუდგინოს.

**"ტენდერში გამარჯვებულ კონსორციუმს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" 10 წლის ვადით მართვის უფლებით გადაეცემა. კონსორციუმი მშენებლობა-რეკონსტრუქციისათვის გაღებულ 62 მლნ აშშ დოლარს 10 წლის განმავლობაში აეროპორტის საფრენი ბილიკის მომსახურებიდან, შიდა მომსახურებიდან, აეროპორტის შიდა ტერიტორიის გაქირავებიდან, Duty free -დან მიღებული შემოსავლებიდან ამოიღებს. კონსორციუმი ამ შემოსავლების 10 პროცენტს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხავს,"** - დეტალურად განმარტა პრემიერმა.

მანამ, სანამ პრემიერი მთავრობის სხდომაზე აეროპორტის ტენდერის შესახებ საუბრობდა, დეპუტატი შოთა გვენეტაძე თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში გამართულ დისკუსიას ვაკხანალიად და ოპოზიციის დემაგოგიურ დემარშად მოიხსენიებდა. ამის საფუძველი განხილვის დღეს დეპუტატებისთვის მინისტრის მიერ პარლამენტში შემოტანილი ძირითადი მასალების მიუწოდებლობა, გნებავთ, დამალვა გახლდათ.

როგორც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გვენეტაძემ განაცხადა, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა თბილისის აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული ტენდერის შესახებ პარლამენტს 25-გვერდიანი მასალა წარუდგინა, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში გუშინ მხოლოდ ერთგვერდიანი ინფორმაცია დარიგდა, რამაც დამატებითი კითხვები წარმოშვა.

**"ეს იყო გაერთიანებული ოპოზიციის დემაგოგიური დემარში და სრული ვაკხანალია,"** - განაცხადა გვენეტაძემ.

ოპოზიციის დაცვა, მოულოდნელად, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძემ იკისრა. როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, გუშინ პარლამენტში ვაკხანალია არ ყოფილა და ადგილი ჰქონდა ნორმალურ პროტესტს, რომელიც ნებისმიერ პარლამენტში შეიძლება გამოიხატოს.

**"მოგვწონს თუ არა ოპოზიციის გამოსვლები, ამას მნიშვნელობა არ აქვს. პარლამენტი ის ორგანოა, სადაც განსხვავებული აზრი უნდა ისმოდეს. ჩვენვე ნუ დავაკნინებთ პარლამენტის როლს,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, პარლამენტმა თბილისის აეროპორტის მშენებლობის საკითხი უკვე სამუშაო პროცესში გადაიტანა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხის შესწავლა სთხოვა.

თუმცა კომენტარი იმასთან დაკავშიებით, თუ როგორ მოხდა, რომ ეკონომიკის მინისტრის მიერ შემოტანილი 25 ფურცლიდან დეპუტატებს მხოლოდ ერთი - უსათაურო და აბსოლუტურად გაუგებარი დოკუმენტი დაურიგდა, გუშინ პარლამენტის სხდომაზე არ გაკეთებულა. ცხადია, ეს დამატებით კითხვებს აღნიშნულ პრივატიზაციასთან დაკავშირებით მართლაც აღძრავს.

"24 საათისთვის" გუშინ პარლამენტში შემოსული მასალები ხელმისაწვდომი გახდა. მასში, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დამასაბუთებელი არგუმენტაცია იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის უმთავრესი ის გახლდათ, რომ გამარჯვებული კონსორციუმის კონკურენტი კომპანია "ტაკომი" ინვესტიციების განხორციელების პირობად სახელმწიფო გარანტიის მიღებას ასახელებდა. ამას გარდა, მასალებში, რომელიც, ძირითადად, იურიდიული დოკუმენტაციისგან შედგებოდა, მოყვანილი იყო ის არგუმენტები, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ვერსიით, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლად იქცა.

ცხადია, ამ საკითხის განხილვა საპარლამენტო კომიტეტში კიდევ ერთხელ შედგება, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, პრემიერის განცხადებით ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. როგორც ამბობენ, უახლოეს დღეებში მშენებლობის დაწყების პრეზენტაციას საზეიმოდ თავად საქართველოს პრეზიდენტი გახსნის.

## როგორ ვაწარმოოთ ეფექტური სარეკლამო კამპანია იაფად?

*თუკი თქვენ ახალახან წამოიწყეთ ბიზნესი და საკუთარი საქმიანობის რეკლამირება ჯერ ვერ მოასწარით, ან კიდევ საამისოდ საჭირო თანხები ვერ მოიძიეთ, თუკი თქვენ, კარგა ხანია, მცირე მეწარმეობას ეწევით და საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია მხოლოდ ახლა გადაწყვიტეთ, მაშინ თამამად შემიძლია გითხრათ, რომ "თიბისი ბანკის", "მაგი სტილის", "რუსთავი 2"-ისა და "თიბისი TV"-ის ერთობლივმა აქციამ სულზე მოგისწროთ.*



"თიბისი ბანკის", "მაგი სტილის", "რუსთავი 2"-სა და "თიბისი TV"-ის ერთობლივმა აქცია.

ეთერ მამულაშვილი

რა შეიძლება აერთიანებდეს ამ ოთხ წარმატებულ კომპანიას ქართულ ბაზარზე? დღემდე ბევრი არაფერი. აი, გუშინდელი დღიდან კი მათ აკისრიათ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი მისია - მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა, უფრო ზუსტად, მათი პროდუქციის პოპულარიზაცია.

ყველაფერი კი თავიდან ასე დაიწყო: არცთუ დიდი ხნის წინ, ერთ-ერთი წარმატებული ქართველი ბიზნესმენი ირაკლი ჩიქოვანი (სარეკლამო კომპანია "მაგი სტილის" დირექტორი) მეორე არანაკლებ წარმატებულ კოლეგას პაატა ლაძაძეს ("თიბისი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი) ესტუმრა და საკუთარი იდეის შესახებ მოკლედ მოუთხრო. ამ უკანასკნელს გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ რამდენიმე წუთი დასჭირდა. მერე რამდენიმე პარტნიორი ამ იდეის რევოლუციურობაში დაარწმუნეს, იმაში, თუ რას მოუტანდა ის თითოეულ მათგანს და თავად მეწარმეებს. საბოლოო ჯამში, ერთ რამეზე შეთანხმდნენ და ეს გუშინ იურიდიულადაც გააფორმეს.

გუშინ "თიბისი ბანკის" სათავო ოფისში, თავად ამ ბანკმა, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა, სარეკლამო კომპანია "მაგი სტილმა" და სტუდია "თიბისი TV"-მ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რაც, პირველ რიგში, ქართული კომპანიებისათვის შეღავათიანი პირობებით სარეკლამო მომსახურებას ითვალისწინებს.

ამ პროექტით, ყველაზე მეტად, მცირე და საშუალო ზომის კომპანიები იხეირებენ, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო, სარეკლამო კამპანია ვერა და ვერ ააწყვეს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მათგანს უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა, სრულფასოვანი და ეფექტური სარეკლამო კამპანია განახორციელოს, და ეს ყველაფერი უპრეცედენტო შეღავათებით.

დავიწყოთ იქიდან, რომ კომპანია, რომელიც გადაწყვეტს, სარეკლამო კამპანიის საწარმოებლად ბანკიდან კრედიტი აიღოს, ვურჩევთ, "თიბისი ბანკს" მიაკითხოს, რადგან ამ შემთხვევაში, მას 15-დან 50 ათასამდე მოცულობის სესხი ნულოვანი საპროცენტო განაკვეთით ეძლევა. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ კლიენტი სესხის ვადის გასვლის შემდეგ აბრუნებს მხოლოდ ძირითად თანხას და არც ერთ თეთრ სარგებელს.

თუმცა, ბანკში მისვლამდე, თავდაპირველად, თქვენ კომპანია "მაგი სტილში" მოგიწევთ შევლა, სადაც სარეკლამო კამპანიასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კონსულტაციას პროფესიონალები გაგიწევენ - რაც მთავარია, ეს ყველაფერი უფასოდ. მას შედეგ, რაც საბოლოოდ გაირკვევა, თუ რა ტიპის რეკლამა სჭირდება თქვენს კომპანიას, "მაგი სტილთან", საჭიროების შემთხვევაში, "თიბისი TV"-სთან ერთად დგება სარეკლამო კამპანიის ბიუჯეტი (ნებისმიერი სახის რეკლამის დამზადებას, გარდა სატელევიზიო რეკლამისა, უზრუნველყოფს "მაგი სტილი". ამ უკანასკნელის დამზადებას კი სტუდია "თიბისი TV" საკუთარ თავზე იღებს). თუმცა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ორივე შემთხვევაში მაღალი ხარისხი და მნიშვნელოვანი ფასდაკლება თქვენს კომპანიას გარანტირებული აქვს.

ახლა, როცა თქვენ უკვე სწორად დაგეგმილი სარეკლამო კამპანია და შესაბამისი რეკლამაც გაგაჩნიათ, ტელეკომპანია "რუსთავი 2", როგორც ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილე, მის საეთერო დროში განთავსებაზე იზრუნებს. თანაც, როგორც ტელეკომპანიის სარეკლამო სამსახურის უფროსმა ლევან ჩერქეზიშვილმა "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა, ეს ჯერ არგაგონილი ფასდაკლებით მოხდება.

ეს უპრეცედენტო პროექტი პილოტურია და საწყის ეტაპზე ის მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში, ზუსტად 18 სექტემბრამდე გაგრძელდება. რა იქნება მერე, ამას ეს მომდევნო ოთხი თვე და მისი შედეგების ანალიზი აჩვენებს. პროექტის მონაწილე კომპანიებს იმედი აქვთ, რომ მსგავსი ან, იქნებ, ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით ეს აქცია, რომლის მიზანი ნებისმიერ შემთხვევაში ქართული კომპანიების საქმიანობის მხარდაჭერა იქნება, მომავალშიც გაგრძელდება.

## რომან გოცირიძე დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სისტემას უჭერს მხარს

*გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ეროვნული ბანკის 2004 წლის საანგარიშო გამოსვლისას რომან გოცირიძემ კომერციული ბანკების მხრიდან საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზეც ისაუბრა.*

საბანკო სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფასა და მეანაბრეთა ინტერესების დაცვას ითვალისწინებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომლის მოწყობის საკანონმდებლო მოდელს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ) პარლამენტს ოქტომბერში წარუდგენს. როგორც გუშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ განაცხადა, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მეანაბრისთვის ანაბარზე განთავსებული კუთვნილი თანხის გასტუმრებას ითვალისწინებს. **"ამ სისტემის დანერგვით ბანკების მიმართ ნდობა და, შესაბამისად, ბანკში ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი დეპოზიტების მოცულობა გაიზრდება,"** - აღნიშნა გოცირიძემ.

სისტემის მოწყობისა და დეპოზიტების დაცვის ფონდის დაფინანსების ოპტიმალურ მოდელზე ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების წარმომადგენლები უცხოელ ექსპერტებთან ერთად, უკვე რამდენიმე თვეა, მუშაობენ. გოცირიძის ინფორმაციით, გასული წლის შემოდგომაზე, გერმანიის აღმშენებლობის საკრედიტო დაწესებულების (KFW) მოწვევით, საერთაშორისო დეპოზიტების დაზღვევის სისტემის სპეციალისტი დირკ კუპაი საქართველოს სტუმრობდა. KFW სისტემის ჩამოყალიბებისთვის 3,5 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს.

გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე რომან გოცირიძემ კომერციული ბანკების მხრიდან საპროცენტო განაკვეთების შემცირების საკითხზეც ისაუბრა. გოცირიძის აზრით, საპროცენტო განაკვეთების შემცირებისთვის რეალური პირობები არსებობს.

**"ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებელია, თუმცა ეს დამოკიდებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე. კერძოდ, კომერციული ბანკები გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს იმ შემთხვევაში შეამცირებენ, თუკი მათი ხარჯებიც შემცირდება. ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ეს რეალურად შესაძლებელია, რადგან კომერციული ბანკები ნაკლებ საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებს იხდიან, ეს კი მათი ხარჯების შემცირების სტიმულია,"** - განაცხადა გუშინ გოცირიძემ. მისივე თქმით, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ამჟამად, საქართველოს საბანკო სექტორში მიმდინარე კაპიტალის ზრდაც უწყობს ხელს.

**"უცხოური საფინანსო ინსტიტუტები საქართველოს საბანკო სექტორში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, რაც საპროცენტო განაკვეთების შემცირებისთვის მნიშვნელოვანია,"** - აღნიშნავდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

გუშინ რომან გოცირიძეს არ დაუსახელებია კონკრეტული ვადები, თუ როდის გახდება შესაძლებელი კომერციული ბანკების მხრიდან სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

*24 საათი*

## კომპენსაციები - სტიქიით დაზარალებულებისთვის

საქართველოს მთავრობას სტიქიის შედეგად ღია ცის ქვეშ დარჩენილი 240 ოჯახისთვის, კომპენსაციის სახით, 1,5 მილიონი ლარი აქვს გათვალისწინებული.

როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიის რეგიონულ საკითხთა დეპარტამენტის უფროსმა ჯამბულ ბაკურაძემ განაცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოები სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში უახლოეს მომავალში დაიწყება.

მისი თქმით, ონისა და ცაგერის რაიონებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის უკვე გამოიყო, შესაბამისად, 100 და 150 ათასი ლარი. გრძელდება მოსახლეობის საკვებით და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფა. შესაბამის დახმარებას, ორი ვერტმფრენის მეშვეობით, ლენტეხის რაიონის მოსახლეობა დღესაც მიიღებს.

ფინანსური და მატერიალური კომპენსაციებია გათვალისწინებული, ასევე, 1991 წელს მიწისძვრით დაზარალებული, რაჭასა და იმერეთში მცხოვრები 126 ოჯახისთვის.

ფინანსთა მინისტრის ვალერი ჩეჩელაშვილის ინფორმაციით, სულ, სტიქიით მიყენებული ზარალის საკომპენსაციოდ მთავრობა 40 მლნ. ლარს გამოყოფს. აქედან, 35 მლნ. ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდება, ხოლო 5 მლნ. ლარი მოსახლეობაზე გადანაწილდება. ჩეჩელაშვილის თქმით, გამორიცხული არ არის, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობას 5 მლნ. დოლარით მსოფლიო ბანკიც დაეხმაროს. აქედან, ქართული მხარე 2 მილიონს - გრანტის, ხოლო 3 მილიონს - 40-წლიანი კრედიტის სახით მიიღებს.

*24 საათი*

# "ინფორმატორის ანონიმურობა გარანტირებულია"

**"ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გამოსვლისას თავისუფლების მოედანზე ნასროლი "რგდ 5"-ის ტიპის ხელყუმბარა საფრთხეს უქმნიდა როგორც საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტებს, ასევე - იმ ადამიანებს, რომლებიც ამ დროს თავისუფლების მოედანზე იმყოფებოდნენ",** - აცხადებს საქართველოში აშშ-ს ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი ბრაიან პარმენი. მისი ეს განცხადება ეწინააღმდეგება ინციდენტის შემდგომ გაკეთებულ კომენტარებს, რომელთა მიხედვითაც, ტრიბუნის პერიმეტრი, სადაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები იმყოფებოდნენ, ასევე, ამ ტრიბუნის უახლოესი მიმდებარე ტერიტორია საიმედოდ იყო დაცული ქართული და ამერიკული სპეცსამსახურების მიერ და, შესაბამისად, პრეზიდენტებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ.

გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლის განმარტებით, პირველადი კვალიფიციური შემოწმებებით დგინდება, რომ თავისუფლების მოედანზე დაგდებული ხელყუმბარა საბრძოლო იყო და მოქმედებაში მხოლოდ იმის გამო არ მოვიდა, რომ დაცემის შედეგად კაფსულ-დეტონატორი დაუზიანდა. მისივე თქმით, პირველადი შემოწმების შედეგების მიხედვითვე, საბრძოლო მოქმედების ხელყუმბარამ, უბრალოდ, არ იმუშავა კაპსულა-დეტონატორში რბილი დარტყმის გამო; რბილი დარტყმა წარმოიქმნა ზამბარის მომყვანი მექანიზმის ნელი მოქმედებით.

**"აღნიშნული ნივთის შესწავლა ქართველი და ამერიკელი ექსპერტების მიერ მკაცრ პირობებში მიმდინარეობს. ფაქტის გამოძიებას აშშ-ს ფედერალური ბიურო აწარმოებს, რომელიც ინფორმაციას აშშ-ს საიდუმლო სამსახურს, დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურსა და სხვა უწყებებს უზიარებს.**

**ამერიკული მხარე კმაყოფილია საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომელთა ერთგულებით, თანამშრომლობის ხარისხით და დარწმუნებულია, რომ ორმხრივი თანამშრომლობით გამოძიების მაღალი ხარისხის მიღწევას შეძლებენ.**

**ნივთი ლაბორატორიულად შეისწავლეს ქართველმაც და ამერიკელმა ექსპერტებმაც; ერთობლივი დასკვნები მალე გახდება ცნობილი. ქართველი და ამერიკელი სამართალდამცავები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აქტიურად თანამშრომლობენ, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოახერხონ დამნაშავის დაკავება",** - აცხადებს საქართველოში აშშ-ს ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელი.

ფედერალური გამოძიების ბიურო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველა იმ პირს, ვინც ხელყუმბარა დაინახა, ან აქვს ინფორმაცია იმ ადამიანის შესახებ, ვინც ის ისროლა, დაუკავშირდნენ საქართველოს სამთავრობო უწყებებს.

**"ინფორმაციისათვის, რომელიც დამნაშავის დაკავებასა და ბრალეულობის დადგენაში დაგვეხმარება, დაწესებულია ჯილდო - 20 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, თუ გაქვთ ამ ღონისძიების ამსახველი საშინაო ვიდეოკამერით ან ფოტოაპარატით გადაღებული და დაფიქსირებული კადრები, გთხოვთ, ისინი შესაბამის უწყებებს მიაწოდოთ. ინფორმატორის ანონიმურობა გარანტირებულია",** - ასეთია შსს-სა და გამოძიების ფედერალური ბიუროს თხოვნა.

*24 საათი*

# ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროკურატურის რეფორმა დასასრულს უახლოვდება

**"პროექტის შედეგები ძალზე საიმედოა ქართული სამართლის სისტემის მომავლისათვის, რომლის სიჯანსაღეც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული საზოგადოებისათვის",** - ასეთი შეფასება მიეცა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ "პროკურატურის რეფორმის პროექტს", რომელიც გუშინ გენერალურ პროკურატურაში საორგანიზაციო კომიტეტმა წარმოადგინა. პროექტის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებიც გაეცნენ. "პროკურატურის რეფორმის პროექტის" განხორციელება 2004 წლის მარტში დაიწყო და მიმდინარე წლის აგვისტოში დასრულდება. ევროგაერთიანების მიერ დაფინანსებულ პროექტს ბრიტანეთის საბჭო ახორციელებს. ამ პროექტის ფარგლებში პროკურორების ეთიკის კოდექსის პროექტი შემუშავდა და გენერალურ პროკურატურას 95 კომპიუტერი და პერიფერიული ტექნიკა (პრინტერები, ფაქსები და სხვა) გადაეცა. ამჟამად გენერალური პროკურატურის ოფისებში ტექნიკის დამონტაჟება მიმდინარეობს. კანცელარიის, კადრებისა და სტატისტიკის დეპარტამენტებისათვის საცდელი კომპიუტერული პროგრამები შემუშავდა; მომზადებულია პროკურატურის ვებგვერდი, რომელიც 2005 წლის ივნისში ამოქმედდება. გარდა ამისა, პროკურატურის სისტემის რეორგანიზაციის ფარგლებში 664 პროკურორს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ტრეინინგი ჩაუტარდა, ხოლო პროკურატურის 140-მა თანამშრომელმა კომპიუტერის შემსწავლელი კურსები უკვე გაიარა.

*24 საათი*

# სომეხი სამართალდამცველები მანქანების გატაცებაზე უკეთ საქონლის გატაცებას იძიებენ

*სომხეთის საინფორმაციო საშუალებების მხრიდან საქართველოს გენერალური პროკურორის სიტყვაძუნწობაზე ჩივილი ქართველ ჟურნალისტებს ნამდვილად ვერ გააკვირვებს. როგორც ირკვევა, სომხეთში ვიზიტისას ზურაბ ადეიშვილისგან ჟურნალისტები, ძირითადად, რამდენიმე სიტყვას ისმენდნენ - "გამოძიების დასრულებამდე კომენტარს ვერ გავაკეთებ". ერთადერთი თემა, რომელზეც გენერალურმა პროკურორმა ვრცლად საუბარი ისურვა, საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ გააქტიურებული ბრძოლა და ამ ბრძოლის შედეგები გახლდათ.*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის ერევანში ვიზიტი პირველი ოფიციალური შეხვედრა იყო ორი ქვეყნის მთავარ სამართალდამცველ სტრუქტურათა ხელმძღვანელებს შორის და განსახილველი საკითხებიც მრავალფეროვანი გახლდათ, საქართველოს გენერალურ პროკურორის პრესკონფერენციაზე სომეხი ჟურნალისტები, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტისას თავისუფლების მოედანზე აღმოჩენილი ხელყუმბარით ინტერესდებოდნენ. ადეიშვილის მხრიდან კომენტარზე უარის თქმის შემდეგ ამ თემაზე საუბარი არ შეწყვეტილა და ამას გარკვეული მიზეზიც ჰქონდა. როგორც ცნობილია, აზერბაიჯანის ელჩმა საქართველოში რამდენიმე დღის წინ განაცხადა თავისუფლების მოედანზე აღმოჩენილი ხელყუმბარის სომხური წარმომავლობის შესახებ. აზერბაიჯანის ელჩის თქმით, მან ეს ინფორმაცია ამერიკის ელჩთან რიჩარდ მაილსთან იმ შეხვედრისას მიიღო, რომელსაც სხვა ქვეყნების დიპწარმომადგენლობათა ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. ეს ინფორმაცია ერევანში საქართველოს გენერალური პროკურორის პრესკონფერენციისას კატეგორიულად უარყო სომხეთის ელჩმა საქართველოში, რომელიც, ასევე, ესწრებოდა რიჩარდ მაილსთან შეხვედრას. მისი თქმით, იქ მსგავსი არაფერი თქმულა.

რაც შეეხება ორი ქვეყნის გენერალური პროკურორების შეხვედრისას განხილულ სხვა საკითხებს, როგორც ცნობილია, ქართველი და სომეხი სამართალდამცველების ყველაზე სერიოზულ ერთობლივ პრობლემას საქართველოში გატაცებული ავტომანქანების სომხეთში რეალიზაცია წარმოადგენს. მართალია, ორი ქვეყნის სამართალდამცველი ორგანოები ამ საკითხზე, უკვე რამდენიმე წელია, მუშაობენ, რეალური შედეგები მაინც არ ჩანს. ამას მოწმობს სომხეთისა და საქართველოს გენერალური პროკურორების ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებაც. სომხეთის გენერალური პროკურორის აგნევ ოვსეპანიანის თქმით, სომხეთში მიმდინარე გამოძიებით დგინდება, რომ დღემდე საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთში შეტანილი და გაყიდული მანქანების დიდი ნაწილი მოპარულია. ამ საქმით კი, ძირითადად, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები პირები არიან დაკავებულნი.

გატაცებული ავტომანქანების პრობლემისგან განსხვავებით, სომხეთის გენერალური პროკურორის თქმით, ადვილად ხდება საქონლის გატაცების ფაქტების გამოძიება. თურმე, ხუთი თვის განმავლობაში სომხურმა მხარემ საქართველოდან გამოსაძიებლად მიიღო ორი სისხლის სამართლის საქმე; ორივე საქონლის ქურდობას ეხებოდა და მათგან ერთი უკვე გამოიძიებულიცაა და საქართველოში გადმოგზავნილიც.

დაბოლოს, სომეხი ჟურნალისტების შეკითხვას - ეკისრებათ თუ არა პასუხისმგებლობა იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სომხურ ისტორიულ ძეგლებს შეურაცხყოფენ - ზურაბ ადეიშვილმა უპასუხა, რომ საქართველოს სამართალდამცველი ორგანოები ამ მიმართულებით მუშაობენ.

**"საერთო ჯამში, საქართველოს გენერალური პროკურორი საკმაოდ სიტყვაძუნწი აღმოჩნდა",** - ასეთი გახლდათ ზურაბ ადეიშვილის ვიზიტზე სომხური საინფორმაციო საშუალებების მიერ გაკეთებული რეზიუმე.

*24 საათი*

# დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

## სააქციო საზოგადოება "თბილბიზნესბანკი"-ს პარტნიორებს

ჩვენ ჩავატარეთ სს "თბილბიზნესბანკი"-ს თანდართული ბალანსის, მოგება-ზარალის უწყისის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგების აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ბანკის ხელმძღვანელობას. ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორული შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ ჩვენი აზრი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ დასაბუთდეს, არსებობს თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე არსებითი ხასიათის უზუსტობა. აუდიტი მოიცავს ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე. აუდიტი აგრეთვე ითვალისწინებს გამოყენებული საბუღალტრო პრინციპებისა და მმართველობის მიერ გაკეთებული მნიშვნელოვანი შეფასებების დადგენას, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი საკმაო საფუძველს იძლევა დასკვნისათვის.

ჩვენი აზრით, იმ შესწორებების გარდა, რომლებიც შესაძლებელია აღიარებულ იქნეს როგორც აუცილებელი, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, უტყუარია და ყველა არსებით ასპექტში ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

*მურმან ცარციძე*

**სს კომერციული ბანკი "თბილბიზნესბანკი"**
ფინანსური ანგარიშგება
2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ბალანსი
2003 და 2004 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფულადი ერთეული: ათასი ლარი

| აქტივები | 2003 წ. | 2004 წ. |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 159,6 | 449,5 |
| ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე | 88,3 | 120,7 |
| ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში | 861,7 | 741,8 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | - | - |
| მთლიანი სესხები | 6688,9 | 5514,8 |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (242,7) | (329,5) |
| წმინდა სესხები | 6446,2 | 5185,3 |
| დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 273,2 | 673,8 |
| ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 40,2 | 40,2 |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 937,1 | 1523,4 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 97,4 | - |
| სხვა აქტივები | 29,9 | 421,0 |
| სულ აქტივები | 8933,5 | 9155,7 |
| ვალდებულებები მიმდინარე დეპოზიტები | 568,3 | 1133,7 |
| მოთხოვნამდე დეპოზიტები | 23,3 | 90,2 |
| ვადიანი დეპოზიტები | 1152,5 | 1145,0 |
| დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 13,8 | 39,3 |
| სხვა ვალდებულებები | 230,6 | 48,4 |
| სულ ვალდებულებები | 1988,6 | 2456,6 |
| საკუთარი კაპიტალი საწესდებო კაპიტალი | 5883,0 | 6273,3 |
| საერთო რეზერვები | 102,0 | 102,0 |
| გაუნაწილებელი მოგება | 959,9 | 323,7 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 6944,9 | 6699,1 |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | 8933,5 | 9155,7 |

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეთანხმებულია ბანკის დირექტორთან, დამოწმებულია მათ მიერ 2005 წლის 8 აპრილს გამოქვეყნებისათვის და ხელმოწერილია ბანკის დირექტორატის სახელით:

**თ. ჩოჩია**
**ბანკის გენერალური დირექტორი**
**მ. მათურელი**
**მთავარი ბუღალტერი**

**სს კომერციული ბანკი "თბილბიზნესბანკი"**
**ფინანსური ანგარიშგება 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**
**მოგებისა და ზარალის შესახებ წლიური ანგარიშგება, რომელიც მთავრდება 2004 წლის 31 დეკემბერს**
**ფულადი ერთეული: ათასი ლარი**
**(ხარჯების კლასიფიკაციის ილუსტრირება ფუნქციების მიხედვით)**

| მუხლების დასახელება | 2003 წ. | 2004 წ. |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავლები** | | |
| საპროცენტო შემოსავალი ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 17,7 | 11,6 |
| საპროცენტო შემოსავალი იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 1032,8 | 1044,1 |
| საპროცენტო და დისკონტური შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან | 284,8 | - |
| სხვა საპროცენტო შემოსავალი | 8,3 | 31,6 |
| სულ საპროცენტო შემოსავალი | 1343,6 | 1087,2 |
| **საპროცენტო ხარჯები** | | |
| დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | (115,0) | (153,5) |
| სხვა ნასესხებ საშუალებებზე გადახდილი პროცენტები | - | - |
| სულ საპროცენტო ხარჯები | (115,0) | (153,5) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 1228,6 | 933,7 |
| საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 98,9 | 136,2 |
| საკომისიო და სხვა ხარჯები გაწეული მომსახურების მიხედვით | (52,9) | (55,0) |
| წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 46,0 | 81,2 |
| მიღებული დივიდენდები | - | 4,0 |
| მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 0,2 | - |
| მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (13,7) | (157,4) |
| მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან | 24,8 | 6,0 |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 78,9 | 5,6 |
| სულ არასაპროცენტო შემოსავლები | 136,2 | (60,7) |
| სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | (1,8) | (28,2) |
| ადმინისტრაციული პერსონალის შენახვის ხარჯები | (149,8) | (189,0) |
| ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯები | - | (2,0) |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | (55,8) | (92,0) |
| სხვა არასაპროცენტო ხარჯები | (99,5) | (319,3) |
| სულ არასაპროცენტო ხარჯები | (306,9) | (630,5) |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | (170,7) | (691,2) |
| **წმინდა მოგება** | 1057,9 | 242,5 |
| სესხების შესაძლო დანაკარგების დაფარვის რეზერვი | (142,2) | (28,0) |
| ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | - | - |
| მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | (142,2) | (28,0) |
| **საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე** | 1200,1 | 214,5 |
| **მოგების გადასახადი** | (240,2) | 13,6 |
| საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი) დაბეგვრის შემდეგ | 959,9 | 228,1 |

თანდართული ახსნა-განმარტებები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

*თ. ჩოჩია*
*ბანკის გენერალური დირექტორი*
*მ. მათურელი*
*მთავარი ბუღალტერი*

**A-LS ბანკის აქციონერთა სია**
**ინფორმაცია "თბილბიზნესბანკი"-ს 1% და მეტი ოდენობით წილის მფლობელი აქციონერების შესახებ**

| N | რეზიდენტი აქციონერები | კერძო სახელმწიფო / არასამთავრობო / საერთაშორისო | განაღდებული წილი |
|---|---|---|---|
| 1 | მეგრელიშვილი შალვა | კერძო | 2.36% |
| 2 | საყვარელიძე თამარი | კერძო | 2.62% |
| 3 | ჯიჯიაშვილი გივი | კერძო | 2.79% |
| 4 | ხახუტაშვილი ლამარა | კერძო | 2.48% |
| 5 | ნიჟარაძე დავითი | კერძო | 2.33% |
| 6 | წერეთელი თინათინი | კერძო | 2.12% |
| 7 | დავრიშვილი გულფარი | კერძო | 1.93% |
| 8 | წერეთელი რევაზი | კერძო | 3.88% |
| 9 | დოლიძე ანზორი | კერძო | 1.61% |
| 10 | კობახიძე თინა | კერძო | 6.46% |
| 11 | ზოდელავა ლევანი | კერძო | 12.49% |
| 12 | ხიდაშელი ამირანი | კერძო | 3.47% |
| 13 | ხიდაშელი ავთანდილი | კერძო | 3.47% |
| 14 | ანთელავა მაია | კერძო | 2.23% |
| 15 | ფერაძე ნატალია | კერძო | 2.34% |
| 16 | მებუკე დავითი | კერძო | 2.47% |
| 17 | ყანჩაველი რუსუდანი | კერძო | 3.01% |
| 18 | კერესელიძე რუსუდანი | კერძო | 1.57% |
| 19 | ყამბარაშვილი შალვა | კერძო | 2.07% |
| 20 | ქუთათელაძე ოფელია | კერძო | 2.23% |
| 21 | შაქარაშვილი მარგარიტა | კერძო | 1.59% |
| 22 | ჭყონია მაია | კერძო | 2.20% |
| 23 | მუხაძე თამარი | კერძო | 1.59% |
| 24 | ჩანტლაძე ნინო | კერძო | 1.59% |
| 25 | ჯიქია მარინე | კერძო | 1.59% |
| 26 | მახმუდიანი ზადინა | კერძო | 1.59% |
| 27 | ცხოვრებაშვილი ნინა | კერძო | 1.59% |
| 28 | ბაქრაძე ქეთევანი | კერძო | 1.83% |
| 29 | შპს "წყალკანალი" | სახელმწიფო | 3.20% |
| 30 | კეთილმოწყობის სამმართველო | სახელმწიფო | 2.94% |
| 31 | თბილისის მერიის საწარმო შპს კაპ.მშენ.სამმ. | სახელმწიფო | 2.81% |
| 32 | სს "ინჟმშენი" | კერძო | 5.97% |
| 33 | ს/სკბ თბილბიზნესბანკის მიერ გამოშვებული გაუნაღდებელი აქციები | | |
| | სულ | | 92.42% |

## მოკლედ

### ფულის გათეთრების პრობლემასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენცია თბილისში

ფულის გათეთრებისა და დაზღვევის სისტემა, მისი ტიპოლოგია და ხარვეზები, ოფშორული კომპანიები, ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება - ეს ის საკითხებია, რომლებზეც გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" გენერალური პროკურატურის, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზატორობით გახსნილ საერთაშორისო კონფერენციაზე მსჯელობდნენ. ფულის გათეთრების საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სამდღიან კონფერენციაში მონაწილეობას მსოფლიო ბანკის, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის გარდა, მონაწილეობას მიღებენ, აშშ-ს ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის, უკრაინის, თურქეთის, ლატვიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.

საქართველოს მხარეს წარმოადგენენ - გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, გენერალურ პროკურატურასთან არსებული ფულის გათეთრების სამართლებრივი დევნის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ვაჟა ჯანყარაშვილი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი არჩილ ცერცვაძე და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გეგუჩაძე.

"საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ჯანსაღი რეჟიმის შესაქმნელად, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა დადებითად შეაფასეს და ასეთი მაღალი დონის კონფერენციის სწორედ თბილისში ჩატარება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს აღიარებას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური სტრუქტურების სრულფასოვან წევრად", - აცხადებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ გეგუჩაძე.

*24 საათი*

### ხოდორკოვსკის განაჩენს ხვალ გამოუტანენ

მოსკოვის მეშჩანის სასამართლო მიხეილ ხოდორკოვსკის და პლატონ ლებედევს განაჩენს დღეს გამოუტანს. განსასჯელების ინტერესების დამცველები, თითქმის, დარწმუნებულები არიან, რომ სასამართლო ამ პროცედურას სპეციალურად აჭიანურებს, რათა საზოგადოებამ და მასმედიამ პროცესის მიმართ ინტერესი დაკარგონ.

შეგახსენებთ, რომ თაღლითობის, გადასახადების გადახდისგან თავის არიდებისა და სხვისი ქონების დატაცების ბრალდებებით დაკავებული ხოდორკოვსკი და ლებედევი თავს დამნაშავედ დღემდე არ ცნობენ.

სასამართლომ კი ორივე მათგანი ბრალდების, პრაქტიკულად, ყველა პუნქტში დამნაშავედ ცნო. გუშინ მეშჩანის სასამართლომ მათი ბრალის დამამტკიცებელი საბუთები წარმოადგინა.


# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი

საკონტაქტო ტელეფონი

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ბაქანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს [illegible]



# განცხადება

GTZ-ის პროექტი "საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის და მეღვინეობის მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა " აწყობს ღვინის სადეგუსტაციო სემინარს 30.05-დან 01.06-ის ჩათვლით. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს მეღვინე-ტექნოლოგის ან მომიჯნავე სპეციალობაში და/ან აქვს პროფესიით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი.

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნონ CV ქართულ ენაზე, 2005 წლის 25 მაისამდე შემდეგ მისამართზე:

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტელ\ფაქსი: 92 07 95,**
**ტელ: 33 43 27, afc_georgien@dsl.ge**
**0123, თბილისი, საქართველო,**

**1**

იურიდიული ოფისი **„გაპი"** და გაზეთი **"24 საათი"**

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, აჯსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (ღრმაღელე);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „ელექტროდეპო");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ნინო ცუცქირიძე**

საგადასახადო კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იურიდიულმა პირმა (ორგანიზაციამ) უნდა ვაწარმოოთ საქონლის მოძრაობის და აღრიცხვის ჟურნალი. გთხოვთ, გაგვიმარტოთ, სავაჭრო საწარმომ, კერძოდ კვების ობიექტმა, რომლის თვიურად ბრუნვა 3000 ლარს არ აღემატება, როგორ უნდა ვაწარმოოთ შესყიდული (შემოტანილი) საქონლის აღრიცხვა - რაოდენობრივად (საცალო), თუ თანხობრივად დღის ბოლოს სალაროს აპარატის მაჩვენებლის მიხედვით.

ქალბატონო ნინო,

2005 წლის 16 თებერვლის ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის - "ინსტრუქცია საქონლის აღრიცხვისა და მოძრაობის ჟურნალის ფორმის განსაზღვრისა და მისი წარმოების წესის თაობაზე" 1-ლი მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქონლის აღრიცხვისა და მოძრაობის ჟურნალი სავალდებულოა იქონიონ აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელმა იმ პირებმა, რომლებიც ახორციელებენ საქონლის წარმოებას (ნედლეულისა და გასული საქონლის აღრიცხვისათვის) ან გათავისუფლებულებიი არიან გადასახადებისაგან. ამავე ინსტრუქციის და მისი დანართების მიხედვით, ჟურნალში შეიტანება შემდეგი მონაცემები: 1. საქონლის მიღება-გასვლის ოპერაციის რიგითი ნომერი ქრონოლოგიურად, 2. საქონლის შემოსავლის და გასავლის თარიღი, 3. დოკუმენტაციის დასახელება (დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც ხდება საქონლის მიღება-გასვლა), 4. მიღებული-გასული საქონლის დასახელება, 5. ზომითი ერთეული (საქონლის ერთი ან რამდენიმე ზომითი მახასიათებელი-ცალი, კ.გ., ლიტრი, ტონა, კუბური მეტრი, გრძივი მეტრი, კოლოფი და ა.შ.), 6. რაოდენობა (საქონლის რაოდენობა შესაბამის ზომით ერთეულებში- მაგ. 35 ცალი, 278 ლიტრი და ა.შ.), 7. ერთეულის ფასი დ.ღ.გ.-ს გარეშე, 8. საერთო ღირებულება, 9. შენიშვნა.

**ავთანდილ სვანიძე**

რომ გადამერჩინა ოზურგეთის რაიონი ეკონომიკური და ფიზიკური ნგრევისაგან, მივმართე მაშინდელ საქართველოს მმართველს და ვთხოვე, ეს წერილი არ ჩავარდნოდა ხელში მას, ვიზედაც იყო დაწერილი. პირიქით, დააწერეს დამნაშავეს გასარკვევად და ჭეშმარიტების დასადგენად. დამიწყეს დევნა და ძლივს გადავრჩი. მეკუთვნის თუ არა კომპენსაცია მოყენებული ტრამვისათვის. პრივატიზაციის შედეგად ეკუთვნოდა ჩემს ოჯახს ოთხმოცდაათი ათასი დოლარი. მოგვცეს 90 ვაუჩერი. მინდა, ვუჩივლო დამნაშავეს ევრო საბჭოში. გთხოვთ, გამაგებინოთ, როგორ მოვიქცე, რა არის ამისათვის საჭირო.

ბატონო ავთანდილ,

1950 წლის "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია" ეხება მხოლოდ შემდეგ საკითხებს: ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულებას, სიცოცხლის უფლებას, წამების აკრძალვას, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვას, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არავითარი სასჯელი კანონის გარეშე, პირადი და საოჯახო ცხოვრების პატივისცემის უფლებას, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, ქორწინების უფლებას, უფლებას ეფექტურ ზომაზე, დისკრიმინაციის აკრძალვას, გადახვევა საგანგებო სიტუაციის დროს, უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვას, უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვას, უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ლიმიტირებას. ამავე კონვენციის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ, ფიზიკურ პირთა ჯგუფმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ მიმართ დარღვეულ იქნა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს მიერ ამ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებები. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საქმე მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება ამოიწურება, და ამასთან, ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული. სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ საქმეებს, თუკი იგი არის ანონიმური, ან არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას, სასამართლო გამოაცხადებს მიუღებლად ინდივიდუალურ განაცხადს, თუკი მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად არასაფუძვლიანია ან ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

ამრიგად, აღნიშნული სასამართლო იხილავს მხოლოდ კონვეციით დაცული უფლებების დარღვევის საქმეებს. თქვენ შეგიძლიათ, მიმართოთ უფლების დასაცავად საქართველოს საერთო იურისდიქციის სასამართლოს.

**გურამი ეპიტაშვილი**

ყოფილ მეუღლესთან ვარ განქორწინებული 1996 წლის იანვარში სასამართლოთი. არ ამიღია განქორწინების მოწმობა. შვილები არ გვყოლია. ვის მივმართო განქორწინებაზე და მაინტერესებს ბინა ეკუთვნის თუ არა ყოფილ მეუღლეს. (ბინა მიღებულია მშობლების მიერ და პრივატიზირებულია ჩემზე).

**ბატონო გურამ,**

ძველი საქორწინო-საოჯახო კოდექსის თანახმად საჭირო იყო აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (ყოფილ მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩამწერ ორგანოში). ვინაიდან არ მოახდინეთ აღნიშნული ფაქტის რეგისტრაცია, საჭიროა ხელახალი განქორწინება. ახალი სამოქალაქო კოდექსის 1124-ე მუხლის მიხედვით: "1. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განქორწინება დაიშვება იმ მეუღლეთა ურთიერთთანხმობით, რომელთაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ.

2. განცხადებაში განქორწინების შესახებ მეუღლეები მოვალენი არიან დაადასტურონ არა მარტო ურთიერთთანხმობა, არამედ ისიც, რომ მათ არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები.

3. განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის დაუსწრებლად, თუ მას საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში და თუ მისი სახელით წარმოდგენილია სათანადოდ დამოწმებული განცხადება განქორწინებაზე მისი თანხმობის დასადასტურებლად.

4. განქორწინება ხდება მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში, გარდა 1110-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან."

1126-ე მუხლის თანახმად:

"თუ მეუღლეთა შორის არის დავა, ან მეუღლეებს ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო."

ამრიგად, თუ თქვენი საქმე კვლავ სასამართლოს განსახილველი იქნება, მაშინ მისი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში უნდა დაარეგისტრიროთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში, რადგან განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება ჩაითვალოს იურიდიულად ძალაში შესულად. რაც შეეხება ბინას, რადგან იგი თქვენს სახელზეა რეგისტრირებული, წარმოადგენს თქვენს საკუთრებას და განქორწინების შემდეგაც დარჩება თქვენს საკუთრებაში.

**შოთა ჩლაიძე**

მოგმართავთ კონსულტაციისათვის ბინის გაქირავებასთან დაკავშირებით. წინა კოდექსით ვიხდიდით ქონების გადაცემის გადასახადს და ყველაფერი უფრო მარტივად იყო. ამჟამად ბინა მივაქირავე საელჩოს-თანამშრომლის საცხოვრებლად და ვიცი, რომ ვიხდი საშემოსავლო გადასახადს, რადგან ვიბეგრები საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 მარტის ნომერ 44 დადგენილებით დამტკიცებული ნომერ 1 დანართის შესაბამისად. მეკუთვნის თუ არა სოციალური გადასახადის გადახდა, რომელსაც კოდექსით იხდიან მხოლოდ მეწარმეები და დამქირავებლები? გთხოვთ, განმიმარტოთ, რა გადასახადის გადახდა მეკუთვნის და როგორ?

ბატონო შოთა,

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადის სახეებია: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დ.ღ.გ.-ის გადასახადი, აქციზი, სოციალური გადასახადი, ქონების გადასახადი, სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად:

მუხლი 169. გადასახადის გადამხდელი

1. მოგების გადასახადის გადამხდელია:

ა) საქართველოს საწარმო;

ბ) უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

2. ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნი მოგების გადასახადს გადაიხდიან ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად.

3. თუ უცხოური პირი არ არის ფიზიკური პირი, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და არ დაასაბუთებს თავის თანამფლობელობას ამ კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით, ამ კარის მიზნებიდან გამომდინარე, იგი განიხილება როგორც საქართველოს საწარმო.

220ე მუხლის და 221-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

მუხლი 220. გადასახადის გადამხდელი

1. დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში - დღგ) გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად.

2. პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე.

3. არარეზიდენტი, რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, დღგ-ის გადამხდელად ითვლება ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას ამ კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 221. სავალდებულო რეგისტრაცია

1. პირი ვალდებულია გატარდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაში, თუ:

ა) ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს; მან ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის;

ბ) ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს, იგი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

253-ე მუხლის მიხედვით:

მუხლი 253. აქციზის გადამხდელი

1. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;

ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;

გ) ახორციელებს შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტს.

2. დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

266-ე მუხლის მიხედვით:

მუხლი 266. გადასახადის გადამხდელი

სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

ა) დამქირავებელი;

ბ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოში გაწეულ მომსახურებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში გადამხდელად არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს;

გ) მეწარმე ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები (ამ კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად), რომლებიც საქართველოში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას.

271-ე, 272-ე და 273-ე მუხლების მიხედვით:

მუხლი 271. გადასახადის გადამხდელი

ქონების გადასახადის გადამხდელია პირი (აგრეთვე ლიზინგით საგნის მფლობელი პირი), რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

ა) საკუთრებაში აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი;

ბ) კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება მიწის ფაქტობრივი ფლობა ან მიწით სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა).

მუხლი 272. დაბეგვრის ობიექტი

1. საქართველოს საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდებანი და არამატერიალური აქტივები.

2. უცხოური საწარმოსათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე რიცხული ქონება.

3. ორგანიზაციებისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. ფიზიკური პირისათვის ქონების, გარდა მიწისა, გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

ა) უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

ბ) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება;

გ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილები (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი);

დ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები.

5. საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) საკუთრებაში არსებული მიწა;

ბ) კოდექსით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა

მუხლი 273. გადასახადის განაკვეთები

1. ამ კოდექსის 272-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

2. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ქონების ღირებულების (გამოიანგარიშება ამ კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული აქტივების ღირებულებისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ამორტიზაციის ნორმების გათვალისწინებით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

3. ამ კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტზე გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

ა) კალენდარული წლის განმავლობაში 40 000 ლარიდან 60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;

ბ) კალენდარული წლის განმავლობაში 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტისა და არა უმეტეს 0,4 პროცენტისა;

გ) კალენდარული წლის განმავლობაში 100 000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტისა და არა უმეტეს 0,8 პროცენტისა.

ხოლო მიწის ნაკვეთებზე და ავტომობილებზე (იახტებზე, თვითმფრინავებზე, შვეულმფრენებზე) გადასახადის ოდენობა დიფერენცირებულია მათი სახეობების მიხედვით.

277-ე მუხლის მიხედვით:

მუხლი 277. გადასახადის გადამხდელი

სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადამხდელად ითვლებიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიებით, კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესით და ასეთი საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვას ან/და ლიცენზირებას.

ამრიგად, თქვენ საშემოსავლო გადასახადის გარდა გეკუთვნით ქონების გადასახადის გადახდა როგორც ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების შემთხვევებშია.

**ლალი ძებისაშვილი**

ვარ შემდგომი (მეორე) კრედიტორი. მოვალის კუთვნილი ფაბრიკა გავიდა მეორე იძულებით აუქციონზე. ამ დროს მესამე პირმა სასამართლოში წარადგინა ცნობა ტექ.აღრიცხვის სამსახურიდან, რომ ფაბრიკა მისი კუთვნილებაა და სასამართლომ დააკმაყოფილა მისი სარჩელი. მან ამის საფუძველზე ფაბრიკა გაატარა საჯარო რეესტრში, როგორც თავის კუთვნილება. მოვალეს ფაბრიკა საჯარო რეესტრში არ ჰქონდა გატარებული. რადგან ვარ მეორე კრედიტორი, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ არაფერი გამიგია და შესაბამისად საშუალება არ მქონდა მისი გასაჩივრების. პირველმა კრედიტორმა რატომ არ გაასაჩივრა, არ ვიცი, შეიძლება, ის დააკმაყოფილეს. მე შევიტანე საჩივარი პროკურატურაში., სადაც წარვადგინე მტკიცებულებები, რომ ფაბრიკა წლების განმავლობაში მოვალის კუთვნილება იყო და მოვითხოვდი ტექ.აღრიცხვის უფროსის დასჯას და ჭეშმარიტების დადგენას. პროკურატურამ გამოიტანა სოლომონის გადაწყვეტილება: ტექ.აღრიცვის სამსახურის უფროსის წინააღმდეგ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, საქმე გადასცა სასამართლოს, მაგრამ იმ მოტივით, რომ... მან გასცა ურთიერთგამომრიცხავი ცნობები? როგორ მოვიქცე? ფაბრიკა ისევ მესამე პირს დარჩა.

ქალბატონო ლალი,

თუ თქვენს მოვალეს არ ეკუთვნოდა ფაბრიკა, რაც დასტურდება საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერით, მაშინ მასზე ვერ მოხდებოდა აღსრულების მიქცევა. თუ თქვენ თავიდან მოითხოვეთ ინფორმაცია საჯარო რეესტრში ფაბრიკის შესახებ, კერძოდ, მისი მესაკუთრის დასადგენად და საჯარო რეესტრმა გასცა ცრუ ინფორმაცია, მაშინ საჯარო რეესტრში ცრუ ინფორმაციის გამცემი პირი და სახელმწიფო სოლიდალურად პასუხისმგებელნი არიან თქვენს წინაშე, სამოქალაქო კოდექსის 1005ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 1005. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის**

1. თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა,თუ დაზარალებული განზრახან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

**ლალი დვალი**

1988წ. ჩვენი სახლთმფლობელობის თანამესაკუთრეთა საერთო საკუთრების 1303 კვ.მ. (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთზე კომბინატ "ელბრუსის" ხელმძღვანელობამ ჩვენი სახლების ნაწილი დაგვინგრია, რათა ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და თავისი თანამშრომლებისათვის აეშენებინა საცხ.კორპუსი. ამოიღო მიწა, ჩაასხა ბეტონო და მშენებლობა შეაჩერა, რაც დღემდე არ განახლებულა. ტერიტორია გადაქცეულია ნაგავსაყრელად. ზარალიც არ აუნაზღაურებიათ. 2004 წელს მივმართეთ საჯარო რეესტრს განცხადებით, სადაც მოვითხოვეთ ჩვენი მიწის (საკადასტრო რუკა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) დამადასტურებელი საბუთი, რაზედაც დადებითი პასუხი დღემდე ვერ მივიღეთ. გთხოვთ, განგვიმარტოთ: 1. გვაქვს თუ არა უფლება ჩვენი მიწის დაკანონების, როდესაც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც თანამესაკუთრეთა საერთო საკუთრება. 2. არქიტექტურული სამსახურის კომპენტეციაში შედის თუ არა, კომბინატ "ელბრუსს" შეუწყვიტოს უფლებამოსილება 16 წლის მანძილზე მშენებლობის შეუსრულებლობისათვის, როდესაც ორგანიზაცია "ელბრუსი" ფაქტიურად არც არსებობს. გთხოვთ, სრულყოფილად პასუხს და მუხლების მითითებას.

ქალბატონო ლალი,

სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 311. საჯარო რეესტრის დანიშნულება**

1. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები.საჯარო რეესტრში შეიძლება ასევე რეგისტრირებული იყოს მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები.

2. რეესტრის ორგანიზაციის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით.

თქვენ სრული უფლება გაქვთ მიიღოთ მონაცემები აღნიშნული მიწის ნაკვეთის ირგვლივ. საჯარო რეესტრი, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად ვალდებულია, გასცეს ინფორმაცია არა უმეტეს ათი დღის ვადაში. როგორც თქვენ აღნიშნავთ, მითითებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახლთმფლობელობის საერთო საკუთრებას, ეს კი ნიშნავს, რომ მას არავითარი დამტკიცება აღარ სჭირდება. თუ Yთქვენ გულისხმობთ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს შორის დანაწილებას, ამის სრული უფლება გაქვთ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე და 964-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 963. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას**

საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

**მუხლი 964. საზიარო უფლების გაუქმება საგნის გაყიდვით**

1. თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლება გაუქმდება საზიარო საგნის, დაგირავებული ნივთის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვითა და ამონაგების განაწილებით. მიწის ნაკვეთის შემთხვევაში გამოიყენება აუქციონზე უძრავი ქონების იძულებით გაყიდვის წესები. თუ დაუშვებელია საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეებს შორის.

2. თუ საგანი არ გაიყიდება, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი აუქციონი; ამასთან, მან უნდა გაიღოს ხარჯები, თუ განმეორებითი ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ამრიგად მიწის ნაკვეთის ინდივიდუალურად დაკანონებისათვის საჭიროა ნოტარიულად დამოწმებული გარიგება მისი შემდგომი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუ "ელბრუსი" წარმოადგენდა იურიდიულ პირს, მისი გაუქმების უფლება ექნებოდა მის დამფუძნებელს, სასამართლოს, მისი გაკოტრებისას. სხვას არავის აქვს უფლება გააუქმოს იურიდიული პირი.

**ჭიჭინაძე**

ბინაში, რომლის პრივატიზაცია არის ჩემ სახელზე, ჩავწერე ჩემი შვილი (ექვსი წლის), სახლმმართველობაში მომთხოვეს ხუთი ლარი ჩაწერის, მაინტერსებს, რამდენად სამართლიანია მოთხოვნა.

პატივცემულო მოქალაქე,

საქართველოს კანონის "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 6. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ან დაბრუნების წესი**

1. სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება ეროვნული ვალუტით ბანკებში, დადგენილი ფორმის ქვითრის გაცემით.

ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად რეგისტრაციისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობაა:

დ) საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის რეგისტრაციისათვის, მოწმობის გაცემის ჩათვლით 1 ლარი.

ხოლო მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით:

**მუხლი 5. შეღავათები სახელმწიფო ბაჟში**

4. საქართველოს მოსახლეობის რეგისტრაციის, მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

"დ) 16 წლამდე ასაკის პირები - 50 პროცენტით.

**მიგინეიშვილი**

მაინტერსებს ერთი რამ-გაყინული პენსია ნოემბრის პენსიონერებს დაურიგდათ, მაგრამ დეკემბრის თვეზე არაფერს ამბობენ. ადამიანი, რომელიც გარდაიცვალა და ვერ მოესწრო პენსიის აღებას, ეკუთვნის თუ არა-ძველი დეკემბრის პენსია. ვინც ცოცხალია მათ გაუორმაგდათ პენსია, ვინც გარდაიცვალა ის ვერც გაორმაგებულს მოესწრო და კუთვნილი დეკემბრისაც სახელმწიფოს დარჩა.

პატივცემულო მოქალაქე,

სამოქალაქო კოდექსის 1328-ე და 1424-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 1328. სამკვიდრო ქონება**

1. სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი),ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

2. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ - ამ ქონების ღირებულება

**მუხლი 1424. სამკვიდროს მიღების ვადა**

სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სამკვიდრო ქონებაში შედის არა მარტო მატერიალური ქონება, არამედ არამატერიალური ქონებაც (ეს შეიძლება იყოს უფლებები ანდა მოთხოვნები, მოცემულ შემთხვევაში პენსიის მიღების უფლება). ხოლო სამკვიდრო იხსნება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან. სამკვიდრო ქონების მიღების უფლება კი აქვს კანონით ან ანდერძით მემკვიდრეებს. პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები არიან: მეუღლე, მშობლები, შვილები. ესენი თანაბრად ღებულობენ სამკვიდრო ქონებას. ამრიგად, გარდაცვლილის მიუღებელი პენსიის მიღების უფლება აქვს მის მემკვიდრეებს.

**რევაზ დუმბაძე**

1954-56 წლებში ვიყავი სამხედრო სავალდებულო სამსახურში, ამ პერიოდში დაავადდი და სამხედრო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით^ ვადამდე გამანთავისუფლეს, როგორც უვარგისი. ამჟამად ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი სამედიცინო საექიმო ექსპერტიზის კომისიის დასკვნის მიხედვით. მაქვს 28 ლარი პენსია. ვარ ვეტერანი შეიარაღებული ძალების. გთხოვთ, მიპასუხოთ და ამიხსნათ: - რატომ არ მეძლევა მაღალი პენსია, როცა სავალდებულო სამხედრო სამსახურში მივიღე დაავადება, რა შუაშია "გავლა ან მოვალეობის შესრულება", სამხედრო სამსახური ხომ მოქალაქის მოვალეობის შესრულებაა.

- რა შეღავათები ვრცელდება ასეთ კატეგორიის პენსიონერებზე და ვის მივმართო?

ბატონო რევაზ,

საქართველოს კანონის "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" მე-10 მუხლის თანახმად:

მუხლი 10. შეიარაღებული ძალების ვეტერანები

შეიარაღებული ძალების ვეტერანებს მიეკუთვნებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგანი ჯარების, სახელმწიფო უშიშროების ჯარების, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაჯილდოვებული არიან ორდენებითა და მედლებით ან საუწყებო წარჩინების ნიშნებით და აქვთ წელთა ნამსახურობისათვის პენსიის უფლება, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, აგრეთვე ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდნენ სამხედრო სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

ხოლო მე-17 მუხლის მიხედვით:

მუხლი 17. შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა

შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, ხოლო ამ კატეგორიის ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

1. პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2. შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

3. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების უზრუნველყოფა ერთდროული გასასვლელი ფულადი დახმარებით შემდეგი ოდენობით: 15 კალენდარული წლის და ნაკლები ნამსახურობისათვის - 6 თვის, 15-დან 20 წლამდე - 8 თვის, 20-დან 25 წლამდე - 10 თვის და 25 და მეტი კალენდარული წლის ნამსახურობისათვის - 12 თვის თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების;

4. სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადის ჩათვლა უწყვეტ შრომით სტაჟში, რომელიც საჭიროა სოციალური დაზღვევის გათვალისწინებული დახმარების მისაღებად, აგრეთვე წელთა ნამსახურების გათვალისწინებით ერთდროული მატერიალური წახალისებისათვის, თუ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღიდან სამუშაოზე მოწყობამდე ან ყველა სახის სასწავლებელში შესვლის დღემდე არ გასულა ექვს თვეზე მეტი;

5. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

6. იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორისს პირების სათბობით პირველ რიგში უზრუნველყოფა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

7. დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიერო ბინის მიუცემლად;

8. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების ცხოვრება და ჩაწერა საქართველოს ნებისმიერ რაიონსა და ქალაქში, გარდა იმ ქალაქებისა და რაიონებისა, რომელთა ნუსხა დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრა კაბინეტის მიერ;

9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვეტერანებისა და მათთან მცხოვრები შრომისუუნარო ოჯახის წევრების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებოკომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, ნაზი, თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი , კოლექტიური ანტენა) ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

შეღავათები საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდაზე უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალური საცხოვრებელი ფონდების, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდაზე - პირების მათი საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად, ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განისაზღვრება: ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 125 კვტ სთ-ით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 75 კვტ სთ-ით თვეში;

10. პენსიაზე გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების უფასო მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც პენსიაზე გასვლამდე იყვნენ მიმაგრებული; სამედიცინო დახმარება სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სახელმწიფო ხარჯზე;

11. კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება (ძვირფასი ლითონის პროთეზის გარდა) სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზებით და საპროთეზო -ორთოპედიული ნაკეთობით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

12. ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ სანატორიუმსა და დასავენებელ სახლში ინტენსიური მკურნალობისათვის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

13. სამედიცინო დასკვნის საფეძველზე წელიწადში ერთხელ დადგენილი წესის მიხედვით ვეტერანების უზრუნველყოფა სანატორრიუმის, დასვენების სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით; არამომუშავე ვეტერანებს საგზურით უზრუნველყოფენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას

14. მათთვის ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი და წელიწადში ერთხელ ერთი თვის დამატებითი უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება;

15. ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო ანაზღაურება ქალაქში - საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობისათის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით;

16. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების და მათი ოჯახების წევრების ახალ საცხოვრებელ ადგილას გაყვანა და ბარგის გატანა იმ სამხედრო ნაწილის მიერ, სადაც ის მსახურობდა;

17. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) გენერლებისა და უფროსი ოფიცრების სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის წელიწადში ერთხელ რკინიგზის, საავტომობილო სახელმწიფო ტრანსპორტით ორივე მიმართულებით უფასოდ მგზარობა სახელმწიფო ხარჯზე. მგზავრობისა და გადაზიდვის დოკუმენტებს აფორმებენ შესაბამისი სამხედრო კომისარიატები.

თქვენ საკითხის გასარკვევად შეგიძლიათ მიმართოთ ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტს.

რეფორმის პირველი ნაბიჯები



B2

ირანული ჩანახატები



B3

ნაქალაქევი ბავშვები წიგნების ფასმა დააფრთხო



B8

ნომრის სტუმარი

# არ ვამბობ, რომ სახელმწიფო სამსახურიდან წავედი

*დავით მუმლაძე ახლა, თითქოს, არსად ჩანს. აქამდე კი ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა მოვლენის აქტიური მონაწილე იყო. როგორც ტრადიციულად ხდება, ასეთ საჯარო და აქტიურ ადამიანებზე საზოგადოებაში კარგს იშვიათად ამბობენ ხოლმე, მაგრამ დღეს ის სახელმწიფო სამსახურს ჩამოცილებულია და ბევრი ძველი და ზოგიც ახალი შეკითხვით მივმართეთ.*

*მისი ბიოგრაფია ასე გამოიყურება: პროფესიით იურისტია. 1992 წელს შს სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსად დაინიშნა, მერე - უშიშროების სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი იყო. ამ თანამდებობაზე მან ბევრი მინისტრი გამოიცვალა. შემდეგ პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსად გადაიყვანეს. როგორც თავად ამბობს, უნიკალურ პერიოდში მოუწია მუშაობა - კონსტიტუციის მიღების შემდეგ ახალ საკანონმდებლო აქტებს ქმნიდნენ. იყო სისხლის სამართლის და საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიების წევრი, 1996-1997 წლებში რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების მომზადების კომისიის წევრი, პირველი იუსტიციის საბჭოს მდივანი, შემოსავლების მინისტრის პირველი მოადგილე. ამ სამინისტროდან წამოვიდა და მაშინდელი ხელისუფლების ოპოზიციაში ჩადგა. მერე ხდება ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი, ანუ უსახური ჯიხურების, უკანონო მშენებლობების და ბენზინგასამართი სადგურების რისხვა. მერე იყო ნოემბრის ისტორიული არჩევნები, რევოლუცია და გუბერნატორობა. ცოტა ხანს შს მინისტრის მოადგილედაც გადაიყვანეს. დათო მუმლაძე ამჟამად დაცვის კერძო სამსახურების ასოციაციის პრეზიდენტია.*

მაია ჭალაგანიძე

- ჩემი მშობლები მეაბრეშუმე-აგრონომები იყვნენ და იმერეთის სოფლებში მეაბრეშუმეობის მონიტორინგს ეწეოდნენ. ასე რომ, თითო ოჯახში, წელიწადში, მინიმუმ, 50-ჯერ უწევდათ ჩასვლა. სათაო ოფისი კი ჩვენს სახლთან იყო და იმ თანამშრომლების ხელში გავიზარდე.

წინასაარჩევნოდ სოფელ საზანოში ჩავედი და საგანგებოდ ვიკითხე, ეს ბჟოლის (თუთის) ხეები ვინ დარგო-მეთქი? ხანშიშესულმა კაცმა მითხრა, შენ არ გეცოდინება, აქ ერთი კარგი კაცი იყო, მუმლაძე, იმან დარგოო... შვილი ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, აღარ დამჭირვებია ბევრი ლაპარაკი.

დედაჩემი თავის დროზე ჩემი კონკურენტის, შევარდნაძის ფავორიტის, ბორია სარალიძის მშობლიურ სოფელ ფუთში იყო მეაბრეშუმე-აგრონომი. დედას იქ ხშირად დავყავდი, ღამეებიც მაქვს გათენებული. სარალიძეს შევპირდი, შენსავე სოფელში მოგიგებ-მეთქი და მან არათუ ვერ მომიგო, კატასტროფულად წააგო. ჩემს სოფელში, ბოსლევში მოქკავშირმა 11 ხმა მიიღო, სარალიძემ - 57, მე, დაახლოებით, 814. მის სოფელ ფუთში, სადაც 1500 ამომრჩეველია, 700 ხმით მოვუგე. ეს არის მშრალი სტატისტიკა, შევარდნაძის დროს ვინ გამაყალბებინებდა?!

**- გუბერნატორობისას ხალხს უყვარდით? გაამართლეთ მათი იმედები?**

- ეს არ იყო პერსონის მიმართ სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ იქიდან წამოსული ვარ, იქ მყავს ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და დღესაც ინტენსიური კავშირი მაქვს რეგიონთან. ამას წინათ ძალიან საინტერესო შეხვედრა მქონდა ქუთაისლებთან და მათ სინანული გამოთქვეს თავისი პასიურობის გამო. თუმცა, ვფიქრობ, რომ ძალიან კარგადაც მოიქცნენ. არ შეიძლება იმ ხროვას ვინმე ნორმალური დაპირისპირებოდა.

**- თქვენი გადადგომის მოთხოვნით გამართულ შიმშილობას გულისხმობთ?**

- ეს იყო სამი ცნობილი უსაქმური ლოთი, რომელთაც კრიმინალები, სამსახურიდან გათავისუფლებულები და არდანიშნულები პირდაპირ აძლევდნენ ფულს, დღეში 20 ლარს. ეს ადამიანები ქუთაისს არ წარმოადგენდნენ.

**- ფაქტია, ამის შემდეგ დატოვეთ თანამდებობდა...**

- ამგვარი წინაალმდეგობები, იმ ჩაჭაობებული ხალხისგან პოსტშევარდნაძის პერიოდში მოსალოდნელი იყო. პირველი დარტყმა ყოველთვის მძიმეა.

**- და მას პრეზიდენტის ერთგული თანამებრძოლები იღებენ, არა? ახლა როგორი ურთიერთობები გაქვთ სააკაშვილთან?**

- ძალიან კარგი. რა თქმა უნდა, ყოველდღიური შეხვედრები არ გვაქვს. სხვათა შორის, გუბერნატორობის დროსაც ვცდილობდი, არ შემეწუხებინა და თავად მომეგვარებინა პრობლემები.

**- პრეზიდენტის რწმუნებულის ამორფული და უუფლებო სტატუსის მიუხედავად?**

- გეთანხმებით, სამართლებრივი სტატუსით და ბევრი სხვა რამით ეს არის საკმაოდ ამორფული ინსტიტუტი და ეს გამომდინარეობს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობიდან, რომელსაც აფხაზეთისა და ოსეთის გამო პრობლემები აქვს, მაგრამ გუბერნატორის სამართლებრივი ბედი დროზე უნდა გადაწყდეს. დღეს გუბერნატორს ყველაფრის უფლება აქვს და თან - არ აქვს, აქვს ყველაფრის ვალდებულება და თან - არა. ძალიან ნათლად უნდა იყოს გარკვეული, ვინ რაზე აგებს პასუხს, საიდან სადამდე ვრცელდება მისი უფლებამოსილება და სხვა. როგორც ვიცი, პარლამენტი ამ საკითხებზე მუშაობს.

იცით, რა ვითარება იყო იმერეთში? რაც შევარდნაძეა ხელისუფლების სათავეში, იმდენივე ხანს იყო შაშიაშვილი გუბერნატორი. ასეთი დაქცეული მხარე არსად არ ყოფილა. თანაც კრიმინალთა უზომო ინტერესები მუშაობდა....

**- შაშიაშვილი სულ "ქურდებს" ებრძოდა.**

- ეს მხოლოდ გარეგნული ბრძოლა იყო.

**- საუბრობდნენ ჭიათურმანგანუმში თქვენს ბიზნესინტერესებზეც.**

- ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ ჩემი ინტერესები არანაირ ბიზნესში არ ყოფილა. თავის დროზე, კერძო იურიდიული ფირმა მქონდა და ამ საწარმოს ვუწევდით იურიდიულ მომსახურებას. ათობით ასეთ ფირმას ვემსახურებოდით და ეს თავიდანვე ღიად განვაცხადე. იმ დროისთვის კი ინტერესთა კონფლიქტი არ მქონდა. მთელი იმერეთის და განსაკუთრებით ქუთაისის ქონება კაპიკებად იყო გაჩუქებული, კრიმინალებს ჰქონდათ წაღებული.

იმერეთში ღირებულებებს დავუპირისპირდი და არა პერსონებს. წლობით ლაპარაკობდნენ გასაკეთებელ საქმეებზე და არაფერი კეთდებოდა - სასამართლოს შენობიდან მუზეუმის გაყვანა, ქუთაისის სანაგვე, განათება... კრიმინალების მოსპობის შესახებ წლობით საუბრობდნენ და რეალურად არაფერი კეთდებოდა. ჩემს დანიშვნასთან ერთად ღიად დაიწყო გავლენის სფეროების გაშიშვლება. პირველ რიგში, კრიმინალებთან შეკრულ ჩინოვნიკებს შევეხე. ქალაქის ხელმძღვანელებს მათთან ერთად სერიოზული ინტრესები ჰქონდათ ბიზნესში. ყველამ დატოვა თანამდებობა. მოპარული მანქანის დაბრუნებაში, ე.წ. "ვაზვრატში" პოლიციელები და პროკურატურის თანამშრომლები პირდაპირ იყვნენ ჩართულნი. დახლოებით, ექვს თვეში ეს აღარ იყო. არ ვამბობ, რომ ეს ჩემი დამსახურებაა. ეს იყო შექმნილი სიტუაციის დამსახურება.

**- და ყველა გამოცვალეთ?**

- აბსოლუტურად ყველამ დატოვა სამსახური. ხელოვნების წარმომადგენლები ხალხს ქეიფში, სუფრებზე ნიშნავდნენ თანამდებობებზე. ერთი იყო ცნობილი თამადა და საბაჟოზე ქვოტის უფლება ჰქონდა... ბევრი ასეთი ანომალია ხდებოდა. უამრავი ინტერესი დავარღვიე...

თუნდაც, მწვანილის სრულიად კრიმინალიზებული ბიზნესი... უპირველეს ყოვლისა, ჩემი აქტივობის შედეგად ეს ბიზნესი სრულიად ტრანსპარანტული გახდა და დღეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ამ ბიზნესში ფულის შოვნა. იმას არ ვამბობ, რომ კრიმინალები ამით ფულს ველარ შოულობენ. სამწუხაროდ, რუსეთში ძალიან ძლიერად აკონკროლებენ ამ ბიზნესს და აქაური კრიმინალების იქაურ მოქმედებებს ვერ ვაკონტროლებთ.

აქ იყო ღირებულებთა და არა პიროვნული ომი, ამიტომ არასერიოზული იყო ის არგუმენტი, რომ გუბერნატორი, ანუ მე, ქუთაისელი არ ვიყავი... პეტრე ცისკარიშვილს ვკითხე, როგორ მიგიღეს კახელებმა-მეთქი. მიპასუხა - ხალხი ამბობს, დაგვაფასეს და თბილისელი გამოუშვეს ჩვეთან გუბერნატორადო...

**- გუბერნატორობის შემდეგ სულ ორი თვე იმუშავეთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. ან რატომ დათანხმდით ამ თანამდებობას, ან რატომ დატოვეთ იგი?**

- ეს რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. ერთი და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მეორე ბავშვს ველოდებოდი. უფროსი შვილი 4 წლის არის და სამსახურის გამო იშვიათად მიწევდა მასთან ურთიერთობა. მეორე მიზეზი მეცნიერული მუშაობა იყო. 1989 წელს დავიცავი დისერტაცია თემაზე "მიზეზობრიობის პრობლემის ევოლუცია კრიმინოლოგიაში"....

**- შეგიძლიათ მოკლედ აგვიხსნათ, რა განაპირობებს დანაშაულს სახელმწიფო მოხელეებში?**

- ჩემს საყვარელ თემას შეეხეთ და მოკლედ ამაზე საუბარი გამიჭირდება. ამის შესახებ სხვადასხვა თეორიები არსებობს. კომუნისტების დროს გავრცელებული იყო მონისტური თეორია და ხან კაპიტალიზმს აბრალებდნენ და ხან - რას. დანაშაულს კი ფაქტორთა მთელი გამა განაპირობებს.

**- საუკეთესო ხუთეულს ხომ ვერ ჩამოგვითვლით?**

- კორუფცია ჩინოვნიკის ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიაში არ ზის. ეს არის მოუწყობელი სახელმწიფო მანქანა, მისი ეკონომიური მდგომარეობა, სახელმწიფო სამსახურის ფუნქციების განუსაზღვრელობა და სხვა მრავალი რამ. თუმცა, გრადაცია უფრო ეკონომიური მდგომარეობისკენ იხრება.

**- კიდევ რა მიზეზით წამოხვედით შს მინისტრის მოადგილის პოსტიდან?**

- ეს სამეცნიერო თეორიულ მუშაობასთან დაბრუნებაა. ჩემმა სამსახურებმა დიდი პრაქტიკული გამოცდილება შემძინა და ამ გამოცდილების გაღრმავების სურვილი მაქვს. თუ მეცნიერული კვლევები არ ჩატარდა, თუ დანაშაულის მიზეზები თეორიულად არ გამოვიკვლიეთ, მასთან ეფექტური ბრძოლა წარმოუდგენელია.

გარდა ამისა, სახელმწიფო სტრუქტურებში ძალიან ბევრი სამსახური გამოვიცვალე, საკმაოდ საინტერესო დროს და ადგილებზე ვმუშაობდი. ამ ეტაპზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად არასამთავრობო, არასახელისუფლებო სექტორის განვითარება მიმაჩნია. თუ ქვეყანაში ბიზნესი არ განვითარდა, თუ საზოგადოება, რომელიც მთავრობას დელეგირებას აძლევს, ჯანსაღი არ იქნა, თუ არ იარსებებს შეძლებული ფენა და ცხოვრების დალაგებული წესი, მაშინ ამ ხალხისთვის მთავრობა ზედმეტია. აბსოლუტურად შეგნებული გადაწყვეტილება მივიღე, ახლა ჩემი კერძო ბიზნესი მაქვს და ჩემს ემოციას, ენერგიას და შესაძლებლობებს აქ ვხარჯავ. ბიზნესი გაცილებით შემოქმედებითია, ვიდრე სახელმწიფო სამსახური...

**- ვიდრე ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის წერა?**

- ახლა კონსტიტუცია დასაწერი აღარ არის...

ლექციების კითხვა გუბერნატორობის დროსაც არ შემიწყვეტია, ეს საქმე ქუთაისის უნივერსიტეტში განვაგრძე. აუდიტორიის გარეთ ვტოვებდი გუბერნატორის მანტიას და ვლაპარაკობდი კრიმინოლოგიაზე. პირველივე საჯარო ლექციაზე, რომელიც როგორც გუბერნატორმა, 800 კაციან აუდიტორიაში ჩავატარე, ერთი ასეთი კითხვა დამისვეს - რა დამოკიდებულება გაქვთ ქურდებთანო... მათთან არანაირი დამოკიდებულება მე, როგორც გუბერნატორს, არ მაქვს-მეთქი, მათთან დამოკიდებულება სამართალდამცველებს ექნებათ. უფრო მეტად დამძიმებული არა იმათი ცხოვრებაა, ვინც იმ კანონებით ცხოვრობს, არამედ მათი, ვინც ამ ცხოვრების წესს უქმნის. ქურდი ხმამაღლა აღიარებს, რომ კრიმინალია და იმ წესებით ცხოვრობს. ის არ იტყუება, მაგრამ ამ აუდიტორიაში რამდენი ადამიანი ვართ ისეთი, ვინც სტუდენტებს ნიშნის დაწერაში 5 ლარს ვართმევთ და თან ვამტკიცებთ, რომ პატიოსანი ადამიანები ვართ-მეთქი?! ისინი ცდილობენ, ქურდები არ გაზარდონ, ჩვენ კი თავადვე ვქმნით ქურდებს... რომელთან ბრძოლა უფრო მიშვნელოვანია?

**- შემოსავლების მინისტრის მოადგილე იყავით მაშინ, როცა რიგითი საგადასახადო ინსპექტორიც კი ფულს აკეთებდა...**

- არ მინდა, თავი ანგელოზად მოგაჩვენოთ, მაგრამ შემოსავლების სამინისტრო ახალი შექმნილი იყო. მიშა მაჭავარიანმა შეძლო და სამინსიტრო ფულის კეთების სქემაში არ ჩაჯდა. ფული სამინისტროს ხელმძღვანელობის გვერდის ავლით მიდიოდა კანცელარიაში და ეს ყველამ კარგად იცის. შევერდნაძე დაინტერესებული იყო იმით, რომ როგორმე დავეჭირე და უშიშროების მეშვეობით პროვოკაციებს აწყობდა, რათა ქრთამი მიმეტანა. რაიმე რომ მქონოდა გაკეთებული, შევარდნაძე აუცილებლად დამიჭერდა. გარდა ამისა, სააკაშვილმა რომ კუდიანებზე ბრძოლა გამოაცხადა, აქაც ამოვარდებოდა ჩემი საქმეები... ასე რომ, შემოსვალების სამინიტროში რომ რაიმე უკანონობა, ან სასამართლო რეფორმების დროს მოსამართლეებთან გარიგება მქონოდა, ეს არ დაიმალებოდა.

**- ბიზნესის განვითარებაზე რა ფორმით ზრუნავთ?**

- უშიშროებაში მუშაობის დროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბების კანონპროექტის ერთ-ერთი თანაავტორი და ნათლიმამაც კი ვიყავი. დაცვებისადმი ჩემი ლტოლვა გაძლიერდა და უმუშევრობის დროს დაცვის კერძო სამსახური ჩამოვაყალიბე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიზნესი არ ჩანდა, ბევრი იყო ასეთი სამსახური და დაცვის სამსახურების ასოციაცია ჩამოვაყალიბე. აქ ათამდე ასეთი ფირმა და 5000 ადამიანია გაერთიანებული. საქართველოში სულ, დაახლოებით ასამდე დაცვის სამსახური არსებობს, სადაც 20 000-დან 30 000-მდე ადამიანია დასაქმებული. დიდი პრობლემაა ის, რომ ზუსტი რიცხვი არავინ იცის.

ძალიან კარგია ტენდენცია, როდესაც ბიზნესფირმები ასოციაციებში ერთიანდებიან და ლეგიტიმაციის ხარისხს იმატებენ. ეს კორპორატიული ინტერესია. ეს რომ კრიმინალური სფერო იყოს, ასოციაციაში არ გაერთიანდებოდნენ და იქნებოდნენ ლატენტურნი, მიმალულნი. თუმცაღა, ვერ ვიტყვი, რომ ყველა ასეთ ფირმაში კარგად არის საქმე. ამას წინათ ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელი დააკავეს (ჩვენი ასოციაციის წევრი არ იყო). როგორც ამბობენ, საუბარია მოპარულ მანქანებსა და ამ პერსონების კრიმინალურ წარსულზე. სამაგიეროდ, ასოციაციას მნიშვნელოვანი მისია აქვს - ამ ფირმებმა უნდა ჩამოაყალიბონ სამსახურში მიღებისა და ქცევის ერთიანი წესები. დღეს სუსტია მარკეტინგი, კლიენტურის მოზიდვის მეთოდიკები. ამ სფეროში დღეს პოლიციის ყოფილი თანამშრომლები არიან დასაქმებული.

**- შემცირებულნი და ოპტიმიზებულნი?**

- დიახ, იხდიან გადასახადებს და თანხა უკვე რამდენიმე მილიონს აღწევს. ფულის ბრუნვა კი უკვე ცდება ორნიშნა მილიონს. გარდა იმისა, რომ დაცვის სამსახური დაცული უნდა იყოს არასასურველი თანამშრომლებისგან, კლიენტიც გარანტირებული უნდა იყოს მინიმალური მომსახურებით.

გარდა ამისა, ვაყალიბებთ სასწავლო ცენტრს. არ შეიძლება დაცვის თანამშრომელს არ ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია. არ მინდა იმის თქმა, რომ ეს არის ელიტარული, მაგრამ განსხვავებული სახის ბიზნესი კი არის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან პირდაპირ კავშირშია. დაცვის მომეტებული ჯიხურები ერთგვარი მანიშნებელია იმისა, რომ საზოგადოება ნაკლებ დაცულია. შს მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან ჩემი წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. გახსოვთ, ალბათ, ჩემი სიდედრის სახლში დამაყაჩაღეს. ძალიან შეურაცხყოფილი ვიყავი - ეს ნახა ჩემი 4 წლის ბავშვმა და 7 თვის ორსულმა ცოლმა. მე ეს გადავიტანე, მაგრამ თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, ბევრს გადასატანი ექნება.

**- თქვენი ბიზნესი სახელმწიფო დაცვის კონკურენტად მოიაზრება? გამიჯნულია თქვენი უფლება-მოვალეობანი?**

- ჩვენ ბევრი მშვენიერი კანონმდებლობა გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ნაწილში პრობლემებია. ეს ანტიმონოპოლიურ კანონს ეწინააღმდეგება - შეიარაღებული ქვედანაყოფის მქონე სახელმწიფო დაწესებულება და კერძო ბიზნესფირმა ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, ეს არ შეიძლება. კანონმა უნდა განსაზღვროს, რა ობიექტები უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ, რა არის პრიორიტეტი. არსებობდა არასაუწყებო დაცვა და ახლაც არის დაცვის დეპარტამენტი, მაგრამ ეს ნახევრად ბიზნესია, ნახევრად - არა. ანაზღაურება სამეურნეო ანგარიშზეა, ისიც ეძებს კლიენტურას და ცდილობს, გააფართოვოს თავისი წრე ისე, როგორც კერძო ბიზნესი. ეს სახელმწიფო ინსტიტუტისთვის მიუღებელია. არ შეიძლება სახელმწიფო და კერძო დაცვა კლიენტთან შეხვდნენ ერთმანეთს და იქ გასწიონ კონკურენცია, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობის ხარვეზია და აუცილებლად უნდა გაირკვეს.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - სახელმწიფო სამსახურის ოპტიმიზაციის პროცესში ბევრმა ადამიანმა დატოვა სამსახური. ყველა ცივილიზებული ქვეყანა ასეთი ადამიანების რესოციალიზაციისთვის დიდ ფულს ხარჯავს. სახელმწიფო ვალდებულია, აქტიურად გადადგას ნაბიჯები. ჯანდაცვის სამინისტრო ასეთ პროექტებზე მუშაობს და ჩვენც მათთან ვთანამშრომლობთ.

ამის გარდა, ჩვენს ვალდებულებაში თანამშრომელთა საპენსიო უზრუნველყოფის და დაზღვევის საკითხებიც შედის. მართალია, "მინუსია" ის, რომ ჩვენ დღეს იარაღის ტარების უფლება არ გვაქვს, მაგრამ არსებობს უამრავი თანამედროვე ტექნოლოგია. მოწინავე ქვეყნებში იარაღიან დაცვაზე აღარავინ საუბრობს. სწორედ ამისკენ ვისწრაფით. ტექნოლოგიების ნაწილი უკვე გვაქვს და ნაწილსაც შემოვიტანთ.

მნიშვნელოვანია ასევე ჩვენი ბიუჯეტის ტრანსპარანტულობა, რომელსაც პერიოდულად ვაქვეყნებთ და ეს შთამბეჭდავი ციფრებია.

**- რა ტექნოლოგიებზე საუბრობთ?**

- კამერებით დაცვა, გადაღება, სიტუაციის კონტროლი...

**- თუ თქვენი კლიენტის სიცოცხლეს ქუჩაში შეექმნა საფრთხე, რა ტექნოლოგიას გამოიყენებთ?**

- როცა ბანკში, მომსახურების დარბაზში შეიარაღებული დაცვა დგას, ის უკვე საფრთხეს წარმოადგენს. იარაღი პანაცეა არ არის. წვრთნისა და სხვა სპეციალურ საშუალებების გარეშე, როდესაც სპეციალური კურსები არ აქვთ გავლილი, იარაღის ტარების უფლების მინიჭება, წარმოუდგენლად მიმაჩნია. შს სამინისტროს ჩვენს სასწავლო ცენტრში მონიტორინგის ჩატარებას ვთავაზობთ. შსს-ს ყველა დარღვევაზე ვაძლევთ ინფორმაციას, ჩვენ მათთანაც ვთანამშრომლობთ, პატრულთანაც. შსს-ს ხელშეკრულების დადება შევთავაზეთ, სადაც ვალდებულებას ვკისრულობთ, რომ ნებისმიერი კრიმინალის შემთხვევაში მათ დაუყოვნებლივ ვაცნობებთ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებში ჩვენი თანამშრომლობა აუცილებელია.

**- რა მოთხოვნებს გიყენებენ კლიენტები პირველ რიგში, რას თვლის აუცილებლად საქართველოში ჩამოსული უცხოელი ბიზნესმენი?**

- უცხოელების უპირველესი მოთხოვნა იარაღი არ არის, მათ იციან, რომ მთავარი ტექნოლოგიებია. ისინი მომზადების დონეს ითხოვენ.

**- კერძო დაცვის სამსახურებისთვის იარაღის ჩამორთმევამ კლიენტები დაგაკარგვინათ?**

სამწუხაროდ, ძალიან ცუდად იყო გაგებული იარაღის ტარების უფლება. კერძო დაცვის სამსახურებისთვის იარაღის ტარების უფლება კანონს არ მიუცია, ეს ყოველთვის აკრძალული იყო, მაგრამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, შსს საფანტის იარაღის ტარების უფლებას იძლეოდა. სწორედ ეს პუნქტი ამოიღეს და მთლიანად აკრძალეს. დღეს პარლამენტთან და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან უნდა ვიმუშაოთ და კანონმდებლობაში სათანადო ცლილებები შევიტანოთ.

არ მინდა გამომრჩეს ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი თემა - განნაღმვითი ოპერაციები. მოგეხსენებათ, სადაც რუსული ჯარი იდგა, იქ ნაღმებიც არის. დღე ან კვირა არ გავა, რომ თქვენი გაზეთის თუ ტელევიზიის საშუალებით ნაღმის აფეთქების შემთხვევები არ გადაიცეს. ეს განსაკუთრებით, თერჯოლის და საგარეჯოს ტერიტორიაზე ხდება. ჯვრის მონასტრის მიმდებარედ იყო სამხედრო ნაწილი. დღეს ამ ტერიტორიას სათანადოდ ვერ იყენებენ, რადგან ხან საქონელი ფეთქდება და ხან რა. ბომბები თუშეთშიც ჩამოყარეს, ტყის მცველები თიანეთშიც აფეთქდენ, ნაღმი იყო ფოთშიც. აჭარის ამბები ყველასთვის ცნობილია... ვარციხეში არსებულ უამრავ ბომბზე ჩემი გუბერნატორობის დროს გადაცემაც მომზადდა. ნატო, გაერო, პრინცესა დაიანას ფონდი, ბოსნიის მთავრობა და სხვა ორგანიზაციები განნაღმვითი ოპერაციებისთვის გრანტებს იძლევიან. ეს გრანტები ეძლევათ კერძო ფირმებს სახელმწიფოს მონიტორინგის პირობებში, რადგან ეს არის სპეციფიური თემა. ამისთვის აუცილებელია კანონმდებლობის შემუშავება, ე.წ. ოტავის ხელშეკრულებასთან მიერთება, ამ სფეროში საზოგადოების მომზადება და განნაღმვითი ოპერაციების ჩატარება. უშიშროების საბჭოში გამზადებულია დოკუმენტი, რომლითაც ამ საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნება და სადაც მეც მივიღებ მონაწილეობას.

ასოციაციის განვითარება საქართველოს განვითარების შემადგენელი ნაწილია. ევროპაში ინტეგრაცია ყველა დარგში უნდა მოხდეს. დიახაც, ევროპაში უნდა იცნობდნენ საქართველოს დაცვის სისტემას, ისე როგორც სასამართლო, ან განათლების სისტემებს. სწორედ ეს არის ინტეგრაცია. ამიტომაც არ ვამბობ, რომ სახელმწიფო სამსახურიდან წავედი.

**- მოდით, მშვიდობიან თემას დავუბრუნდეთ. როგორ მდგომარეობაში დატოვეთ ბაგრატის ტაძარი? როგორც მახსოვს, ტაძრის გადარჩენის სპეციალური ფონდიც არსებობდა...**

- ეს თემა გაიყინა. ფული შეჭმული დამხვდა, კრიმინალებმა შეჭამეს. გუბერნატორი წლის ბოლოს, დეკემბერში გავხდი და შემდეგი წლის ბიუჯეტიც კი შეჭმული დამხვდა. არ შეიძლება საქართველოს ერთიანობის იდეა ასე დანგრეული იდგეს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თუ ქვეყანაში ბიზნესი არ განვითარდა, თუ საზოგადოება, რომელიც მთავრობას დელეგირებას აძლევს, ჯანსაღი არ იქნა, თუ არ იარსებებს შეძლებული ფენა და ცხოვრების დალაგებული წესი, მაშინ ამ ხალხისთვის მთავრობა ზედმეტია.

**ევროპაში ინტეგრაცია ყველა დარგში უნდა მოხდეს. დიახაც, ევროპაში უნდა იცნობდნენ საქართველოს დაცვის სისტემას, ისე როგორც სასამართლო, ან განათლების სისტემებს. სწორედ ეს არის ინტეგრაცია. ამიტომაც არ ვამბობ, რომ სახელმწიფო სამსახურიდან წავედი.**



## აფიშა

### კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
საფესტივალო კონცერტების სერია: "ყანჩელი 70"
თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრი,
მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლევ მარკიზი
დმიტრი ფერშტმანი (ჩელო, ნიდერლანდები), მარიკე შნემანი (ალტ-ფლეიტა, ნიდერლანდები), მარტა ბოში (სოპრანო, ნიდერლანდები), ბარტ სუტერსი (ბას-გიტარა, ნიდერლანდები)
ფასი: 4-7 ლარი.
დას: 19:00 სთ.

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ლომისი - 10"
საიუბილეო კონცერტები
დას: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
შადიმან შამანაძე
"ღია შუშაბანდი"
რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ფედერიკო გარსია ლორკა
"ბერნარდა ალბას სახლი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
არტურ მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
ფასი: 3 ლარი
დას: 19:00 სთ.

### კინოთეატრები

**ამირანი**
"ჯვაროსნები"
დას: 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**საერთაშორისო ახალგაზრული კინოფესტივალი "სესილი"**
**კინოთეატრი "რუსთაველი"**
ანიმაციური და მოკლე მხატვრული ფილმების ჩვენება
დას: 13:30 სთ.
(დასწრება მოსაწვევებითა და აკრედიტაციებით)

**რუსთაველი**
"ვარსკვლავური ომები"
დას: 18:00; 20:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 13:30; 22:00 სთ.

**ახმეტელი**
"სამი იქსი - 2"
დას: 14:30 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 16:30 სთ.

"გოგონა მილიონ დოლარად"
დას: 19:00 სთ.

### გამოფენები

**ქარვასლა**
"რა განძი გვქონია"
(ფოტოექსპოზიციის მიზანია ფართო საზოგადოებას შეახსენოს საქართველოს მუზეუმებში დაცული ექსონატების ღირებულება და მნიშვნელობა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
საიუბილეო გამოფენა-აქცია

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გამოფენა "Made in Germany - არქიტექტურა + ეკოლოგია"
(გოეთეს ინსტიტუტისა და ბერლინის Gallery Aedes ერთობლივი პროექტი)

გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
"რჩეული ნამუშევრები"

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ფირმა "ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებებისა და 161-ე საშ. სკოლის ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
"წინა საუკუნის ქართველები"
(ნინო ფურცხვანიძე - ფოტო;
სოფო ტაბატაძე - ინსტალაცია)
გამოფენის დახურვა, დისკუსია

**სემინარი**
**გოეთეს ინსტიტუტი**
დოქ. ვოლფრამ ვალრაფის (პოლიტოლოგი და ქალაქის მკვლევარი, ბერლინის არქიტექტურული ბიურო Hunger) სემინარი
თემა: ქალაქის უბნები, რომლებიც განსაკუთრებულ განვითარებას მოითხოვენ

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# რეფორმის პირველი ნაბიჯები

## 18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა

თეონა ჯაფარიძე

*პოტენციურ ტურიზმის ქვეყანაში, ანუ ჩვენს სამშობლოში ყოველგვარი სერვისისა და ინფრასტრუქტურის გარეშე, ტურისტული სეზონი - ზაფხული დგება. ბუშის ვიზიტი ალბათ პროცენტულად გაზრდის, უხეშად რომ ვთქვათ, ვარდების რევოლუციის, ცეცხლოვანი ცეკვებისა და ხინკლის სამშობლოს ნახვის მსურველთა რიცხვს. ტურისტულ სააგენტოებში, საელჩოებში, საქართველოში აკრედიტებულ უცხოურ წარმომადგენლობებსა თუ ახლად გახსნილ კერძო სასტუმროებში მათ სერვისისათვის ერთი ჩვეულებრივი დეტალი, ჩვენთვის კი სიახლე - თბილისის მუზეუმების გზამკვლევიც დახვდებათ. ტურიზმიდან ლოგიკურია, რომ მუზეუმებს მივადგებოდით და ბარემ აქვე გეტყვით, რომ 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღე აღინიშნება. თბილისში ეს დღე სწორედ ამ გზამკვლევის პრეზენტაციით აღნიშნეს. პრეზენტაცია თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის (ქარვასლის) საგამოფენო დარბაზში შედგა, რომელსაც ქალბატონი ნინო ბურჯანაძეც დაესწრო.*

გზამკვლევის გამოცემა ერთი პატარა, მაგრამ აუცილებელი რგოლია სამუზეუმო მენეჯმენტის უზარმაზარ, ჩვენში ჯერ კიდევ აუთვისებელ ჯაჭვში. ეს მშვენივრად ესმით **კულტურის სამინისტროს მუზეუმებისა და კოლექციების სამმართველოს**, რომელიც **საქართველოს მუზეუმების ასოციაციასა** და **სამუზეუმო საქმის ექსპერტებთან** ერთად სწორედ სამუზეუმო რეფორმის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრის საკითხებზე და საქართველოს მუზეუმების მართვის ახალი მოდელის შექმნაზე მუშაობს.



*ნიკა ვაჩეიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ელდარ შენგელაია და ნინო ბურჯანაძე ქარვასლაში*

"ქარვასლას" საგამოფენო დარბაზში დღეს წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცულ ექსპონატთა ფოტომასალა და ეს გზამკვლევი პროექტის - "**საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაციისა და რეესტრის შექმნის**" პირველი ეტაპია. პროექტი **კულტურის სამინისტრომ** და ფონდმა "**ღია საზოგადოება საქართველომ**" დააფინანსა. პროექტი ითვალისწინებს სრული ინფორმაციის მოცემას ქვეყნის მუზეუმებზე, მათში არსებულ სიტუაციაზე და მოიცავს საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაციას, რეესტრის, მონაცემთა ბაზისა და ვებ-გვერდის შექმნას.

"თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით საზოგადოებისათვის მუზეუმების საცავებში გამეფებული რეალური სურათის შეხსენებას ვაპირებდით და შესაბამისი ფოტო-მასალის გამოფენა გვქონდა განზრახული, მაგრამ გავითვალისწინეთ, რომ 18 მაისია და განწყობილება აღარ გაგიფუჭეთ. მუზეუმების დანგრეული შენობებისა და დაობებული კედლების ფოტოებს შემოდგომისათვის გამოვფენთ" - მიხსნის გამოფენის ორგანიზატორი, ხელოვნებათმცოდნე ინგა ქარაია. ის ქალბატონ ირინა კოშორიძესთან ერთად პროექტის ავტორია.

18 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე კი თბილისს სამუზეუმო საქმის საკმაოდ ავტორიტეტული პერსონა, ნიუ იორკის მუზეუმების კონსულტანტი, "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნებისა კულტურის ფონდის" წარმომადგენელი, ქალბატონი ჯეინ სეიფერი სტუმრობდა. საქართველოში მისი მესამე ვიზიტი ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის იუბილეს დაუკავშირდა. როგორც ადრე, ასევე ახლანდელი ვიზიტის დროსაც ქალატონმა ჯეინმა საინტერესო სემინარი ჩაატარა მუზეუმების მართვისა და სტრატეგიის შემუშავების თაობაზე.

ქალბატონი ჯეინი ბევრს მესაუბრა მეტროპოლიტენისა თუ გუგენჰეიმის მოხერხებულ სერვისებზე, მუზეუმის შეღავათიან თუ ძვირიან ბილეთებზე, ანდა სულაც მეტროს, ავტობუსისა და მუზეუმის საერთო აბონიმენტზე, თინეიჯერებისა თუ სხვადსხვა კატეგორიის მომხმარებელზე გათვლილ სპეციალურ სამუზეუმო პროგრამებზე და სხვა ბევრ სიკეთეზე, რასაც ამერიკული თუ ევროპული გამოცდილება და სერვისი გვთავაზობს. როცა ჯერი ჩვენს მუზეუმებზე მიდგა, ქალბატონმა ჯეინმა მარტივად ამიხსნა:

"ჯერჯერობით, რაც თვალში მხვდება თქვენს მუზეუმებში - არამიმზიდველ შენობებში დაცული ძვირფასი კოლექციებია, რომლის შესახებაც ტურისტებს არანაირი ინფორმაცია არ მიეწოდებათ, სულ მარტივი მიზეზის გამო, ექსპონატებს უცხოელთათვის წარწერები არ აქვთ."

ასე რომ, დავუჯეროთ გამოცდილი ექსპერტის მარტივ რჩევას, ვიდრე ტურისტული სეზონი კარს მოგვდგომია, მით უმეტეს, საკმაოდ მოხერხებული და პრაქტიკული გზამკვლევი თბილისის რუკითა და მასზე წითელი რგოლებით აღნიშნული 60-მდე მუზეუმითა და შესაბამისი მისამართებით უკვე არსებობს. ეს პირველი ელემენტარული და აუცილებელი ნაბიჯებია იმისათვის, რომ სტუმარმა "არამიმზიდველ" შენობებში დაცული მიმზვიდველი კოლექციები მაინც ნახოს.

# უცბად გავლილი სამოცი წელი

## განახლებული სცენა ძველ მსახიობებს ელის

სოფო კილასონია

*კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ისევ რემონტშია. სექტემბრამდე ჩვენ მის სცენას ვერ ვიხილავთ. მიუხედავად ამისა, მისი ხელმძღვანელობა საინტერესო ღონისძიებების მოწყობის საშუალებას ხელიდან არ უშვებს და როგორც თავად ამბობენ, დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით ელიან განახლებული თეატრის გახსნას.*

გუშინ საღამოს რკინიგზის მუშაკთა ცენტრში მთელმა თუ არა, ნახევარმა თეატრალურმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ყურადღების ცენტრში კი მარჯანიშვილის თეატრი გახლდათ, სწორედ მისი და რკინიგზელთა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობათა ორგანიზებით, თეატრის დასმა და მისმა მეგობარმა თეატრებმა მსახიობ **ავთანდილ მიქაძეს** საიუბილეო თარიღი, 60 წელი მიულოცეს და თბილი და ლამაზი საღამოც აჩუქეს იუბილარს.



*იუბილარი და ჯემალ მონიავა*

კონცერტს ჯემალ მონიავა უძღვებოდა. მან წინასწარი ბოდიში დამსწრე საზოგადოებას იმისთვის მოუხადა, რომ იუბილარის შემოქმედებიდან ფრაგმენტებს ვერ ვიხილავდით. თუმცა, მაყურებელთა დარბაზში მსხდომთაგან უმრავლესობას ბატონი ავთოს როლების შეხსენება ნამდვილად არ ესაჭიროებოდა. ისედაც ყველას კარგად ახსოვს მის მიერ განსახიერებული სოსოია ("მე ვხედავ მზეს"), ავთანდილ ჯაყელი ("ნუ გეშინია დედა"), გოგი ("ჭრილობა"), და კიდევ მრავალი სხვა.

ბატონ ავთო მიქაძეს არაერთი კინოსახე შეუქმნია, თუმცა თუ ბატონ ჯემალ მონიავას დავესესხებით: იგი ცნობილი, ყველაზე მეტად პოპულარული საესტრადო მოღვაწეობით გახდა.

ავთანდილ მიქაძის სახელი დიდი ხანია, უკვე მარჯანიშვილის თეატრთან ასოცირდება, თუმცა სამსახიობო კარიერაში მისი პირველი ნაბიჯები აქედან არ დაწყებულა. მისი სამშობლო მაინც ხონი და ხონის სახალხო თეატრი ყოფილა, სწორედ ის თეატრი, საიდანაც აკადემიურ თეატრში მოვიდნენ ალექსანდრე წუწუნავა, გიორგი სალარაძე, ბუხუტი და სერგო ზაქარიაძე.

საიუბილეო კონცერტი კულტურისა და ხელოვნების ცეკვის ანსამბლის "როკვას" უკვე დიდი ხანია, ყველასთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი რაჭული ცეკვით დაიწყო და მას შემდეგ გახალისებულ მაყურებელს არ მოუწყენია. მართალია კონცერტი რეჟისურითა და გაფორმებით არ გამოირჩეოდა, იმპროვიზირებული დიალოგებისა და საინტერესო სტუმრებით საღამოს დინამიკა და იუმორის გრძნობა არ დაუკარგავს. ეს არც იყო მოულოდნელი, საუბარი ხომ სწორედ იმ მსახიობზეა, რომელიც მუდამ ჯანსაღ იუმორს და კომედიურ სახეებს ქმნიდა.

ქორეოგრაფიულ ნომერს, უამრავი თბილი სიტყვა და მილოცვა მოჰყვა. ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ საჩუქრის გარდა იუბილარს ისიც გაუმხილა, რომ იგი მისი საყვარელი მსახიობია და კიდევ მრავალი საინტერესო და სასურველი როლის შესრულება უსურვა. "ბევრი ეცადეს, მაგრამ ჩვენს შორის ვერ აამღვრიეს წყალი" - ამ სიტყვებით შეეგება ჯემალ მონიავა მეგობარ თეატრს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დასს, რომელსაც გუშინ სოსო ლაღიძე წარმოადგენდა. საჩუქარი იმხელაა, სცენაზე ვერ გამოვიტანთო - სიცილით გვახარა ბატონმა სოსომ, სამაგიეროდ სცენამდე ოპერისა და ბალეტის თეატრის საჩუქარმა - ტელევიზორმა მოაღწია, თუმცა ეს როდი იყო ყველაფერი. ბატონ ავთოს დავით საყვარელიძემ და ზაზა აზმაიფარაშვილმა ლამაზი მისალოცი წერილობითი გზავნილი უბოძეს და თავად ალექსანდრე ხომერიკის სიმღერაც უსახსოვრეს. უყურადღებობა არც მხატვართა კავშირსა და სამხატვრო აკადემიას გამოუხატავს. მათი სახელით მსახიობს ბატონმა გივი თოიძემ მიულოცა. თუმცა, ყველაზე თბილი და სასიამოვნო ბატონი ავთოსთვის, როგორც მივხვდით, მაინც მშობლიური თეატრის მილოცვა აღმოჩნდა.

მილოცვებსა და მოგონებებს მუსიკალური ნომრები ენაცვლებოდა. ქართული სიმღერის სილამაზე და მომხიბვლელობა ღირსეულად წარმოაჩინეს და-ძმა ბორის და სოფო ბედიებმა. სამოცი წლის შესრულება მსახიობს მსახიობებმა, გია ბურჯანაძემ და ჯემალ ჯაშმა ასევე სიმღერით მიულოცეს. მაყურებისთვის ყველაზე საინტერესო და აღსანიშნავი თავად იუბილარის რამდენიმე იუმორისტული მონოლოგი და თამუნა ამონაშვილის სიმღერის თანხლებით შესრულებული იმპროვიზირებული ცეკვა გახლდათ.

"გული არ მწყდება, ის როლები, რომლებიც მე მეკუთვნოდა თითქმის ყველა ვითამაშე, რა თქმა უნდა, ბევრი ისეთი როლია, რომელსაც სულით და გულით შევასრულებდი, მაგრამ არ მოხერხდა. რაღაც პატარა მიზეზის ბრალი იყო, ხან ჩემი, ხანაც ჩემი წარსული ცხოვრების. მე კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ საკუთარი თავით, ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ რაც შევძელი, იმით კმაყოფილი ვარ. მე დიდ მადლობას ვუხდი, ჩემს პედაგოგებს ქალბატონ მედეა კუჭუხიძეს, ასევე გურამ საღარაძეს, ლეილა კაპანაძეს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს, იმისთვის, რომ მე მომცეს სცენაზე თამაშის საშუალება. მაგრამ მე ისეთ ასაკში ვარ, მგონი, ჯერ კიდევ მაქვს დრო, რომ რაღაც შევძლო და გავაკეთო", - მითხრა კონცერტის შემდეგ იუბილარმა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის თითქმის მთელი დასი გუშინ საღამოს დარბაზში იჯდა და ყველა, როგორც ერთი, იმას იმედოვნებდა, რომ სულ მალე მათი თეატრის ფარდა ისევ აიწევა, გამოჩნდება მაყურებლით სავსე დარბაზი და ისინიც იმ როლებს შეასრულებენ, რომლებსაც აგერ უკვე რა ხანია, ელიან.

აკადემიური თეატრების რეპერტუარი მაყურებელსაც ძალიან მოგვენატრა. როგორც ამბობენ, სცენამაც იცის მონატრება. თუ ასეა, მაშინ ამ თეატრის განახლებული სცენა ძველ მსახიობებს სექტემბრამდე დაელოდება და ისინიც საკუთარ ოცნებებს ახლა მაინც აისრულებენ.

# მარო მაყაშვილის ხსოვნას

## "გაფითრებული თებერვლის ლანდი"

ლელა ბაბუნაშვილი

18 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოებამ და ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოებამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში წარმოადგინეს რეჟისორ გია ჭუბაბრიას ფილმი "გაფითრებული თებერვლის ლანდი". ფილმი ეძღვნება 1921 წელს კოჯორთან მომხდარ ბრძოლაში დაღუპულ მარო მაყაშვილის ცხოვრებას. 35-წუთიანი ფილმი საკმაოდ ლირიკული და პათეტიკური გამოვიდა.

მარო მაყაშვილი ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის კოტე მაყაშვილის შვილი იყო. 1921 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოს მე-11 არმიამ შემოუტია, თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს სამშობლოს დასაცავად მოუწოდა. მის მიმართვას არაერთი სტუდენტი გამოეხმაურა, მათ შორის იყო მარო მაყაშვილი.

17 თებერვალს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელი გოგონა საბრძოლველად კოჯრის ბატალიონში წავიდა. "იქ უნდა ვიდგე, სადაც ჩემი თანამემამულეთა ცრემლები და სისხლი იღვრება", - ასეთი სიტყვებით გაეშურა ბრძოლის ველზე. მესამე დღეს იგი ყუმბარის ნამსხვრევმა იმსხვერპლა. ამ დღიდან მარო მაყაშვილის სახელის ხსენება აიკრძალა. მის საფლავზე დედაც ვერ მიდიოდა.

**გია ჭუბაბრია:** "ამ ფილმის შექმნის იდეა ბავშვობიდან მქონდა. მაყაშვილების ოჯახთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა. თავადაც რეპრესირებული ოჯხიდან ვარ. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი სამშობლო და წმინდა საფლავებია. დღეს საზოგადოებაში მერყევი სული სუფევს, ის ხალხი კი მყარად იდგა საკუთარ პოზიციაზე. შინაგანად ამ ადამიანების ცხოვრებით ვცხოვრობ და მათი საზომით ვსაზღვრავ. ამ ფილმით საკუთარი გულისტკივილი გამოვხატე. ფილმი მარო მაყაშვილის ერთადერთი ფოტოსურათისა და მისი დღიურების მიხედვით ავაგე."

ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ მარო მაყაშვილის და, რომელსაც გარდაცვლილი დის სახელი ჰქვია, აგრეთვე ნანა ღვინეფაძე, რომელმაც მარო მაყაშვილის ხსოვნას წიგნი "შარავანდედი" მიუძღვნა. სტუმართა შორის იყვნენ ქართველ თავადაზნაურთა გამგეობის თავმჯდომარე ლევან ჩოლოყაშვილი და მარო მაყაშვილის როლის შემსრულებელი ეკა ტოგონიძე.

# "საქართველო მართლაც ლიდერია პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის"

## რაში დარწმუნდნენ ქართველი დელეგატები და რა გადაწყვიტეს აღმოსავლეთ ევროპელმა ინტელექტუალებმა

ვერა ნეფარიძე

*50-მდე ხელოვანი და ინტელექტუალი შეიკრიბა ვილნიუსში აღმოსავლეთ ევროპის საერთო, ასევე კონკრეტული ქვეყნებისა და ხალხების პრობლემებზე მსჯელობისთვის. ამ ქვეყნებმა თვითმყოფადობის შენარჩუნებითა და ერთმანეთთან კოორდინაციით უნდა გაიარონ ერთად სავალი გზა, - ეს იყო ძირითადი იდეა, რომლის გარშემოც გააერთიანა ლიტვის პრეზიდენტმა ინტელექტუალთა ორდღიან ფორუმზე მწერლები, პუბლიცისტები, სახელოვანი ანტისაბჭოელები - ყოფილი დისიდენტები, მხატვრები... "ევროპული კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მომავალი: სახელმწიფოები, ხალხი, საზოგადოება, ადამიანები", - ასე ერქვა 14-15 მაისს გამართულ ფორუმს, რომელსაც საქართველოდან სამი დელეგატი ესწრებოდა.*



*ბელარუსის დელეგაცია*



ავტორი: გია ბუღაძე

*ადამ მიხნიკი შენიშვნებს იძლევა*

მხატვარმა გია ბუღაძემ, მწერალმა დათო ტურაშვილმა და პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა ("მსოფლიო პოლიტიკური პროცესების კვლევის ლაბორატორიის" ხელმძღვანელი) მიწვევა ვილნიუსის ფორუმზე სხვადასხვა არხიდან მიიღეს; მონაწილეები ვიწრო პროფესიული ნიშნით არ შეურჩევიათ ფორუმის ორგანიზატორებსთვის; მათი მიზანი იყო, ვილნიუსში შეკრებილიყო ინტელექტუალთა გარკვეული საზოგადოება, რომელიც ღიად ისაუბრებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ხალხებისთვის ყველაზე მტკივნეულ და მძაფრ თემებზე. საკითხებს შორის შერჩეული იყო: ინტელექტუალების სოციალური და პოლიტიკური როლი აღმოსავლეთ ევროპაში; შესაძლებელია თუ არა გახდეს რუსული ენა "ლინგვა ფრანკად"? რეალურია თუ ხელოვნური აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნებისთვის დილემა რუსეთსა და დასავლეთ ევროპას შორის და ა.შ.

ფორუმი ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის პატრონაჟით გაიმართა და როგორც ქართველი დელეგატები ამბობენ, ამ ფორუმითაც გამოჩნდა, რომ ლიტვა თავის თავზე იღებს გარკვეულ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების კოორდინაციაში. ამ ფორუმს ორგანიზატორებისთვის უნდა ეჩვენებინა, როგორია ინტელექტუალთა შეხედულებებისა და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიურ-პროფესიული ორიენტაციები; ასევე, სამომავლოდ რა სახის კონტაქტებზე შეიძლება რეალურად ფიქრი. ვილნიუსის შეხვედრას ლიტვის რესპუბლიკის პირველ პირთან ერთად უკრაინის პრეზიდენტიც დაესწრო. ფორუმს ორი მოდერატორი ჰყავდა - ლეონიდას დონკისი (კაუნასში პოლიტიკური მეცნიერებისა და დიპლომატიის ინსტიტუტის დირექტორი) და ცნობილი პოლონელი ანტისოვეტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ადამ მიხნიკი (წლების განმავლობაში "იატაკქვეშ" მოღვაწეობდა; დღესდღეობით ერთ-ერთი ცნობილი სამართალდამცველია).

ფორუმის ქართველი მონაწილეები ვილნიუსის შეხვედრის მნიშვნელობას თბილისში დაბრუნებისას ამგვარად ადასტურებენ: უახლოეს დღეებში ისინი ვილნიუსის ფორუმის თბილისის ჯგუფის პრეზენტაციას გამართავენ (სხვათა შორის, ეს გადაწყვეტილება სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება ფორუმის ორგანიზატორთათვის, რომელთაც ქართველები წერილობით აცნობებენ).

გია ბუღაძეს ფორუმზე ყველაზე მნიშვნელოვნად ბელარუსიდან 22 კაციანი დელეგაციის მონაწილეობა მიაჩნია. ბელარუს დელეგატებს შორის იყო ლუკაშენკოს რეჟიმის შესახებ დაწერილი წიგნის (ლიტვაში გამოიცა) ავტორი, რომელიც ამბობდა, ამ წიგნის გამოცემის შემდეგ, იქნებ აღარც შემიშვან ჩემს ქვეყანაშიო... "ეს ადამიანები ფაქტობრივად, დევნილები არიან თავიანთ ქვეყანაში; ტყეებში იკრიბებიან და სიკვდილს უყურებენ თვალებში. თოთხმეტი მათგანი გამოვიდა სიტყვით ფორუმზე და რეალურად ვიგრძენით რა მდგომარეობაში არიან; პათოლოგიური რეჟიმის მსხვერპლია ყველა, იმდენად მძიმე სიტუაციაა. ამის შემდეგ, კიდევ უფრო დავაფასეთ ჩვენი მდგომარეობა ქართველმა დელეგატებმა, თუ რამდენად უკეთეს სიტუაციაში აღმოვჩნდით", - როგორც ბუღაძემ გვითხრა, ფორუმზე ნაამბობი იმდენად შთამბეჭდავი ყოფილა, თვით დათო ტურაშვილიც ხმამაღლა აღიარებდა, რამდენად ბედნიერები ვყოფილვართ ქართველებიო...

შთაბეჭდილებები დადებითიც იყო. მაგალითად, ფორუმის ქართველი მონაწილე ასახელებს რუს აკადემიკოს ანდრეი კამატკოვსკის, რომელსაც პრეზიდენტ პუტინისთვის წიგნიც აქვს მიძღვნილი. კამატკოვსკი წლების განმავლობაში იკვლევდა თურმე რუსული პოლიტიკის ლაბირინთებს; გია ბუღაძის თქმით, მსგავსი ანტიპუტინისტი მას მანამდე ნანახი არ ჰყავდა. თავად გია ბუღაძემ (რომელიც ერთადერთი მხატვარი იყო შეკრებაზე) საკუთარი გამოსვლა ბელარუსის თემას მიუძღვნა; მისი წინადადებით მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ღიად დაეჭირათ მხარი ბელარუსში დემოკრატიული მოძრაობისთვის (სხვათა შორის, ვილნიუსში ეს ვარშავას ქარტიამდე ერთი დღით ადრე მოხდა); და კიდევ: გია ბუღაძის გამოსვლა ერთადერთი იყო, რომელიც სტუმრად მისულმა ლიტვის პრეზიდენტმა თავიდან ბოლომდე მოისმინა (ბუღაძის თქმით "ისე დაემთხვა"). არაჩვეულებრივად და თბილად იგონებს ქართველი მხატვარი დათო ტურაშვილის სიტყვასაც, რომელსაც ლაიტმოტივად მიჰყვებოდა ფრაზა: გავიყვანოთ რუსული ბაზები საქართველოდან; რაც შეეხება ფორუმის კიდევ ერთ ქართველ მონაწილეს: სოსო ცისკარიშვილმა საკუთარ თავზე აიღო ფორუმის გახსნის საკმაოდ რთული მისია.

პოლიტიკურ საკითხებს მიძღვნილი ფორუმი არაპოლიტიკოსების მონაწილეობით, კრიტიკული პათოსით გამოირჩეოდა. "ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება, რაც ჩანდა პირად საუბრებშიც და ზოგადად, ჩვენდამი დამოკიდებულებაშიც", - აღნიშნავს გია ბუღაძე და ამბობს, რომ საქართველოსადმი განსაკუთრებულ ინტერესში მას ადამ მიხნიკი გამოუტყდა. ეს ადამიანი თურმე დიდი ინტერესით აკვირდება საქართველოში განვითარებულ მოვლენებს; დეტალურ ინფორმაციას ფლობს ჩვენს შესახებ. როგორც დისიდენტს, სერიოზული კონტაქტები ჰქონდა საქართველოს პირველ პრეზიდენტთან; საქართველოში კი 6 წლის წინათ იყო ჩამოსული. ამჟამად სურს საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტის, როგორც ახალი ტიპის მმართველის ფენომენი შეისწავლოს.

"ამ ფორუმზე გამოჩნდა, რომ ჩვენ ბევრად უფრო მყარი პოზიციები გვაქვს გარკვეულ სიტუაციებში სხვა ქვეყნებთან შედარებით; გამოიკვეთა, რომ საქართველო მართლაც ლიდერია პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის და ლიტვაც ამ მხრივ ჩვენთან განსაკუთრებულ ურთიერთობას ხაზს უსვამს", - ამბობს გია ბუღაძე და შთაბეჭდილებების დასასრულს ბალტიისპირეთში საქართველოს ელჩისა (დავით აფციაური) და კონსულის (გიორგი ქერდიყოშვილი) მხარდაჭერით აღფრთოვანებულია: "მსგავსი მხარდაჭერა არც ერთი ქვეყნის წარმომადგენელს არ ჰქონია".

დაბოლოს: მასალის ილუსტრაციად გთავაზობთ გია ბუღაძის ჩანახატებს, რომელიც მხატვარმა ფორუმის მსვლელობისას შეასრულა.

# ირანული ჩანახატები



*მოტოციკლეტი თეირანში გადაადგილების ყველაზე პოპულარული საშუალებაა*



*თეირანის ტიპური პეიზაჟი*

ნინო ჭანიშვილი

აპრილის ბოლოს თბილისიდან ირანისკენ პირველი ტურისტული ჯგუფი ავტობუსით გაეშურა. ჯგუფი ირანისტების, ისტორიკოსების, თინეიჯერების, ერთიც მამაოს და თქვენი მონა-მორჩილისგან შედგებოდა.

წითელი ხიდიდან ასტარამდე (აზერბაიჯან-ირანის საზღვარი) მამა-შვილ ალიევების პორტრეტებმა ღიმილით მიგვაცილეს. მშვიდობიანად გადავკვეთეთ საზღვარი, რომლის იქით ირანელი გიდები, ავტობუსი და ერთობ გადატვირთული ორკვირიანი ტური გველოდა.

როცა თბილისიდან ირანში მივემგზავრებოდი, ახლობლები ამ ფრაზებით მაცილებდნენ: "ეჰ, იცი, შაჰის დროს რა ქვეყანა იყო", "ევროპაზე უფრო ევროპული ქვეყანა იყო", "რა უქნა ჰომეინმა". მაგრამ ასე არ ფიქრობს ირანული ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც დადებითად აფასებს ისლამურ რევოლუციას. ისინი ამბობენ, რომ ახლა ირანი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ადრე კი ამერიკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თანაც, მონარქიას რესპუბლიკა სჯობს. თუმცა, სხვები ამბობენ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ნანობს ქვეყნიდან შაჰის განდევნას. ყველაფრის მიუხედავად, ბოლო 8-10 წელიწადია, ქვეყანა სწრაფი ტემპით ვითარდება.

ანტიამერიკული განწყობა ყველაზე მეტად თეირანში იგრძნობა. ყოფილი ამერიკის საელჩო, რომელსაც ახლა "ამერიკელი ჯაშუშების ბუდეს" ეძახიან, ანტიამერიკული წარწერებითა და ირანის უახლესი ისტორიის ამსახველი სცენებითაა მოხატული. ყოფილ საელჩოს სამხედროები იცავენ და ამ ფრესკების გადაღება აკრძალულია.

თეირანი ძალიან დიდი (12 მილიონი მცხოვრები), ცოცხალი და გამონაბოლქვისგან დაბინძურებული ქალაქია. ის მკვეთრად იყოფა ორად: მდიდრებისა (ჩრდილოეთ) და ღარიბების (სამხრეთ) ნაწილად. მთელი ქალაქი შაჰიდებისა და რელიგიურ ლიდერთა პორტრეტებითაა აჭრელებული. სანახავი ამ ქალაქში ბევრი რამ არის - მუზეუმები, ბაღები და სასახლეები. მათ შორის ნიავარანის სასახლე - ირანის უკანასკნელი შაჰის მოჰამედ რეზას რეზიდენცია.

ყველაზე თანამედროვედ ჩაცმული ახალგაზრდა ქალები სწორედ თეირანში ცხოვრობენ. მათ გრძელი შარვლები და მუხლებამდე პიჯაკები აცვიათ. ხმარობენ მაკიაჟს და თმას ძლივსლა უფარავთ თავსაფრები. სხვა ქალაქებში კი, თითქმის ყველგან, ტრადიციული სამოსი (ჰეჯაბი) აცვიათ. ამბობენ, რომ ირანში ჩაცმულობასთან დაკავშირებული ყველანაირი აკრძალვა რომ მოიხსნას კიდეც, ქალების 30-40 პროცენტი მაინც არ შეელევა ტრადიციულ სამოსს.

თეირანის გარდა, უსწრაფესი ტემპით მოვინახულეთ 20-მდე ქალაქი, აქამენიდების, სასანიდების, სეფიანთა თუ ყაჯართა ხელოვნების ნიმუშები, შიიტებისა და ზოროასტრების წმინდა ადგილები. ჩვენი ჯგუფის სასახელოდ მინდა ვთქვა, რომ გმირულად გაუძლო მოგზაურობას, რადგან 21 დღეზე გათვლილი პროგრამა 14 დღეში დაფარა. არანაკლებ გმირულად აიტანა ქართული ჯგუფის სტუმრობა ჩვენმა ირანელმა გიდმაც, რომელიც დარიოს დიდის მეომარს ჩამოჰგავდა. ირანელ გიდს ხან სიყვარულს ეფიცებოდნენ ქართველი ქალები, ხან კი შეუძლებელს სთხოვდნენ - ისედაც გადატვირთულ პროგრამაში ახალი ობიექტების ჩართვას ან ქალაქებში მარტო გასეირნების ნებას (რაც ძალიან სარისკოა.) ირანში თითქმის ყოველ უცხოელს ადგილობრივი გიდი დაჰყვება.

ირანი ის იშვიათი ქვეყანაა, სადაც შორტებიანი და კამერამომარჯვებული უცხოელი ტურისტები ჯოგებად არ გადაადგილდებიან. ეს იმიტომ, რომ შორტის ჩაცმა არ შეიძლება და თან უცხოელები ჯერ კიდევ თავს იკავებენ ამ ქვეყანაში მოგზაურობისგან. ამიტომ დღეს ირანში მოგზაურობისას პირველაღმომჩენის გრძნობა გეუფლება, თითქოს პირველი შენ დადგი ფეხი ამ მიწაზე. ისე კი ტურისტები უფრო მეტად ევროპიდან ჩადიან, უმეტესწილად ასაკოვანი ადამიანები. ქვეყანა, რომელშიც ალკოჰოლური სასმელი, ღამის კლუბები და დისკოთეკა აკრძალულია, ახალგაზრდებს ნაკლებად იზიდავს. მაგრამ ირანში არის ჩაიხანები. ჩაიხანაში ტახტზე გაგორება, ყალიონის გაბოლება და ირანული ჰანგების მოსმენა ბევრად უფრო დიდი ნეტარებაა, ვიდრე ნებისმიერ დასავლურ დისკოთეკაზე ძიგძიგი. საუკეთესო ჩაიხანები ვნახეთ შირაზში, საადისა და ჰაფეზის საფლავებთან. საერთოდ, ირანელ პოეტთა საფლავები ის ადგილებია, სადაც არა გვირგვინის დასადებად, არამედ სიამოვნების მისაღებად დადიან. მათი საფლავები ულამაზესი ბაღებით, აუზებითა და ჩაიხანებითაა გარშემორტყმული. საერთოდ, ირანელებს შეუძლიათ, უდაბნოც კი წალკოტად აქციონ. ერთი ღამით უდაბნოს ქალაქ ტაბასში გავჩერდით. ეს ქალაქი 27 წლის წინ მთლიანად დაუნგრევია მიწისძვრას. დღეს კი უკვე ოაზისად არის ქცეული, სადაც პალმები, ოლეანდრები და ბროწეულის ხეები ხარობენ.

ირანში მოგზაურობისას ფერეიდან შაჰრიც (ქალაქი) მოვინახულეთ. მეგზურობას ფერეიდნელი ქართველების თავკაცი მუხტარ ასლანი გვიწევდა. მან ბევრი საინტერესო რამ გვიამბო იქაური ქართველების შესახებ. თურმე 400 წლის მანძილზე ქართველს ქართველი არასდროს მოუკლავს. ირანში იციან, რომ გურჯი არასდროს იცრუებს. "როცა ბაზარში ფული დაგაკლდება, საქონელს ისე გამოგატანენ, საბუთსაც კი არ მოგთხოვენ. იციან, რომ ფულს აუცილებლად მიუტან", - მითხრა ბატონმა მუხტარმა. ფერეიდან შაჰრში და მის შემოგარენში ყველა მთას თუ გორას ქართული სახელწოდება აქვს (მთათაშვილის გორა, მეველეს გორა, მთამზია, ამაღლობის ქუა, პაპას ბაღი, კაკბის წყარო, ქარის ტიკი...)

ჩვენი მოგზაურობისას ირანის ორივე უდაბნო - დეშთე კავირი და დეშთე ლუტიც ვნახეთ. ეს, მგონი, ყველაზე დიდებული რამ არის, რაც ცხოვრებაში მინახავს, მაგრამ რასაც სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. იგივეს ვიტყოდი მთელ ირანზე თავისი პოეტური კულტურითა და ხალხით. ირანული პოეზიით რომ ყოველი ადამიანი ცხოვრობს, ამაში მე თვითონ დავრწმუნდი, როცა ჩვენი ავტობუსის მძღოლი წამღერებით ამბობდა ხოლმე ომარ ხაიამისა და ჰაფეზის რუბაიებს.

თუ ოდესმე ირანში მოგზაურობის შანსი მოგეცათ ხელიდან არ გაუშვათ.

პაულო კოელიოს სვეტი

# პიანისტი სავაჭრო ცენტრში



მეგობართან ერთად სავაჭრო ცენტრში დავსეირნობთ. ურსულა წარმოშობით უნგრელია. ის მევიოლინეა და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ორი ფილარმონიის ორკესტრში უკრავს.

უცებ მან მკლავზე წამავლო ხელი:

"მისმინე!"

ვუსმენ. თან სხვა ხმებიც მესმის: დიდები ლაპარაკობენ, ბავშვები ჟრიამულობენ, ტექნიკის მაღაზიებში ტელევიზორებია ჩართული, იატაკის პრიალა ფილებზე მაღალი ქუსლები მიპაკუნობენ, ამას ემატება მუსიკაც, სავაჭრო ცენტრებში მუდმივად რომ აქვთ ჩართული.

ურსულა კი მკლავზე მექაჩება და მეკითხება:

"აბა, მითხარი, არ არის ეხლა ეს საოცრება?"

ვპასუხობ, რომ გასაოცარს ვერც ვერაფერს ვხედავ და არც არაფერი მესმის.

ის კი აზრს მიღეჭავს:

"პიანინო. გესმის? ის პიანისტია საოცარი", - მეუბნება და ცოტა იმედგაცრუებული მიყურებს.

"ალბათ, ჩანაწერია".

"კარგი, რა, რას ლაპარაკობ!"

სმენას ვძაბავ და უკვე ვხვდები, რასაც გულისხმობს ურსულა. ვაყურადებ და აშკარად მესმის ცოცხლად შესრულებული მუსიკის ჰანგები. ახლა ვიღაც შოპენის სონატას უკრავს და საფორტეპიანო აკორდები უკვე სავაჭრო ცენტრის ყველა სხვა ხმაურს ფარავს. მივუყვებით გამვლელებით, მაღაზიებით, ფასდაკლებებით, ჭრელი ნივთებით სავსე კორიდორებს და კაფე-რესტორნებით სავსე პლაზას ვუახლოვდებით: აქ უკვე ადამიანების მოქმედებები მრავალფეროვნდება. ვიღაცეები სადილობენ, ვიღაცეები ჭორაობენ, კამათობენ, გაზეთებს კითხულობენ. იქვეა, ფორტეპიანოც და პიანისტიც - ხალხის გასართობად, გამვლელების თავშესაქცევად.

ის კიდევ შოპენის ორ სონატას უკრავს, შემდეგ შუბერტზე გადადის, ბოლოს - მოცარტზე. 30-იოდე წლის კაცი უნდა იყოს. პატარა შემაღლებულ სცენასთან გაკეთებულ წარწერაზე ნათქვამია: რომ ის სახელგანთქმული ქართველი პიანისტია საქართველოდან (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა). ალბათ, სამსახურს ეძებდა, ვერაფერი ნახა, ყველა კარი ცხვირწინ მიუხურეს და ახლა სავაჭრო ცენტრში უქმნის ფონს ჭამასა და ჭორაობაში გართულ ადამიანებს.

მაგრამ, მართალი გითხრათ, ზუსტად არც ვიცი, პიანისტი აქ არის თუ არა. ფიზიკურ ყოფნას არ ვგულისხმობ. ვაკვირდები და ვამჩნევ: თვალებით იმ ჯადოსნურ განზომილებაშია გადასული, რომელსაც მის მიერ შესრულებული მუსიკა ქმნის, მისი ხელები კი ყველას სიყვარულს, სულიერებას, ენთუზიაზმს უზიარებს, თავის საუკეთესო თვისებებზე, სწავლაში გატარებულ წლებზე, კონცენტრაციის უნარსა და დისციპლინაზე უყვება.

ერთადერთი, რასაც პიანისტი ვერ ხვდება, გახლავთ ყველაზე სევდიანი რამ: არავინ, აბსოლუტურად არავინ არ მოსულა ამ სავაჭრო ცენტრში მის მოსასმენად. აქ ყველანი სავაჭროდ, სასადილოდ, გასართობად, მეგობრებთან შესახვედრად, მაღაზიების ვიტრინების დასათვალიერებლად დადიან...

ჩვენ გვერდით წყვილი გაჩერდა, ხმამაღლა ლაპარაკობენ, შემდეგ გზას აგრძელებენ. პიანისტს მათი წამიერი შეჩერება არც დაუნახავს, არც მათი ხმები გაუგია - ის კვლავაც მოცარტის ანგელოზებს ებაასება.

ცხადია, ვერც ჩვენ გვამჩნევს და არც ის იცის, რომ ჩემი თანმხლები ქალი - ცნობილი მევიოლინე, მის კონცერტს თვალცრემლიანი უსმენს.

მეც იქვე ვდგავარ. ვუყურებ ქართველ პიანისტს და მახსენდება ერთი პატარა ეკლესია, რომლის კარიც რამდენიმე ხნის წინ სრულიად დაუგეგმავად შევაღე, იქ კი პატარა გოგონას გადავაწყდი, რომელიც ღმერთისთვის უკრავდა. მაგრამ ამ სცენაში გასაკვირი ბევრი მაინც არაფერი იყო. ბავშვი ხომ ეკლესიაში იყო - იქ კი ასეც იქცევიან. უბრალოდ, არავინ გისმენს, ალბათ, არც ღმერთი.

ტყუილია, როცა ამბობენ, ღმერთი გისმენსო. ღმერთი თვითონ არის ამ კაცის სულსა და ხელებში დავანებული. რადგან ის თავისი შინაგანი სამყაროს, თავისი ღირსებების ძირფესვიანად გამომზეურებას, გამოხატვას ახერხებს; ახერხებს ამ მინი-კონცერტში აღებული ჰონორარისა და აღიარების მიუხედავად. ის ისე იხარჯება და ისე უკრავს, თითქოს მილანში, ლა სკალაში იყოს, ანდა პარიზში, ოპერის თეატრში. ის უკრავს იმიტომ, რომ მუსიკა მისი ბედისწერაა, მისი სიხარულია, მისი არსებობის გამართლებაა.

ვუსმენ, ვფიქრობ და ერთიანად მეუფლება ღრმა პატივისცემის გრძნობა ამ საოცარი კაცის მიმართ, რომელიც ყველა დროის უმნიშვნელოვანეს გაკვეთილს გვახსენებს: ყოველმა ადამიანმა თავისი პირადი ლეგენდა უნდა შექმნას - მორჩა! ადამიანი ასე უნდა მოიქცეს იმის მიუხედავად, სხვები ამხნევებენ თუ არა, აკრიტიკებენ თუ არა, ყურადღებას აქცევენ თუ არა, ნებას რთავენ თუ არა. ასე უნდა მოიქცეს იმიტომ, რომ საკუთარი ლეგენდის დაწერა ადამიანის მისიაა დედამიწაზე მოვლენის შემდეგ; იმიტომ, რომ საკუთარი ლეგენდის დაწერა განუზომელი სიხარულის წყაროა.

ჩაფიქრებული ვდგავარ და ვუსმენ. პიანისტი კი მოცარტის აგერ უკვე მეორე ნაწარმოებს ასრულებს. უკრავს და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად გვამჩნევს. გვიღიმის, ზრდილობიანად გვესალმება, მოკრძალებით გვიკრავს თავს და ჩვენც ასეთივე ჟესტით ვპასუხობთ. ეს მისალმება წამიერად გრძელდება. შემდეგ ის კვლავაც ეთიშება ფიზიკურ რეალობას და თავის სამოთხეში ბრუნდება. ალბათ, უმჯობესია, მივცეთ საშუალება, იქვე დარჩეს. უმჯობესია, არც მქუხარე, თუმცა, დამსახურებული აპლოდისმენტებით გამოვაფხიზლოთ და ისევ ჩვენს სინამდვილეში დავაბრუნოთ.

ის უკრავს და თითოეულ ჩვენგანს მაგალითს აძლევს. როცა გვგონია, რომ არავის აინტერესებს, ჩვენი საქმიანობა, ჩვენი ბედი, გავიხსენოთ ეს პიანისტი, რომელიც სავაჭრო ცენტრის გაჩახჩახებულ და ხალხით სავსე დარბაზში იჯდა, უკრავდა, ღმერთს ესაუბრებოდა და სხვა ყველაფერი, მისი გარემოს ჩათვლით, მეორეხარისხოვანი იყო.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

### ახალგაზრდები კიევს "ორიანით" დაშორდნენ

საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკრაინის ღია ჩემპიონატში ასპარეზობა დაასრულა. დასრულდა თავად ჩემპიონატიც. მართალია, წარმატებებს ნაჩვევმა სოსო მაისურაძის ნაკრებმა ამჯერად ძველი მიღწევები ვერ გაიმეორა, მაგრამ არც თავი შეურცხვენია - მეორე ადგილი დაიკავა. მანამდე კი ხუთი მატჩი ჩაატარა და სამი მოიგო.

პირველი შეხვედრა ლვოვის "დინამოსთან" 7:8 წააგო, მერე კიევის "დინამოს" 10:8 მოუგო. შემდეგ ჩემპიონატის ლიდერთან, მარიუპოლის ძლიერ გუნდთან დამარცხდა - 6:12.

ამ მარცხის შემდეგ ჩვენებს აღარ გასჭირვებიათ და ჯერ ხარკოვის "დინამოს" სძლიეს - 12:7, შემდეგ კი მოლდავეთის ნაკრებს - 14:6.

საქართველოს ნაკრებს მოლდავეთთან აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, რომ მეორე ადგილზე გასულიყო. ეს მატჩი გუშინ გაიმართა.

ერთი სიტყვით, უკრაინის ღია ჩემპიონატი 26 ქულითა და მეორე ადგილით დავასრულეთ. პირველზე მარიუპოლის გუნდი გავიდა 32 ქულით, ხოლო მესამეზე - 25 ქულით ლვოვის "დინამო".

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კიევიდან გუშინ ღამით ჩამოფრინდა.

### გერმანია-2006 ტერორისტთა გამოვლენას იწყებს

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო აქედანვე შეუდგა უსაფრთხოების ზომების მიღებას, რომ 2006 წლის საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატი ტერორისტებისგან დაიცვას. "როიტერსის" ცნობით, გერმანიის პოლიციის ანტიტერორისტული ღონისძიებები იმ პირთა გამოაშკარავებას ისახავს მიზნად, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან "ალ ქაიდას" ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირში.

"ვაპირებთ შევამოწმოთ ის ადამიანები, რომლებიც, ჩვენი მონაცემებით, "ალ ქაიდას" ბანაკებში გადიოდნენ საწვრთნელ მომზადებას, - აცხადებს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი ოტო შილი, რომელიც მომავალ კვირას 16 ფედერალურ მინისტრთან შეხვედრას გეგმავს, რათა მსოფლიო ჩემპიონატის უსაფრთხოების საკითხი განიხილოს. - მართალია, გარკვეული ეჭვები გვაქვს, მაგრამ მათ დაპატიმრებას მაინც არ ვაპირებთ, რადგან მყარი მტკიცებულებები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია. თუმცა, გარწმუნებთ, რომ მათზე ინფორმაცია მალე გვექნება".

### "ფერარი" შუმახერის 30 მილიონით გამდიდრებას აპირებს

ფორმულა 1-ის ერთ-ერთი ძლიერი საჯინიბო "ფერარი" აპირებს, მიხაელ შუმახერს კონტრაქტი კიდევ ერთი სეზონით გაუხანგრძლივოს. "ფრანს პრესის" ცნობით, სკუდერია მზადაა, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს 2007 წელს 30 მილიონი ევრო გადაუხადოს.

დღევანდელი ხელშეკრულებით, მიხაელს "ფერარისთან" თანამშრომლობის ვადა 2006 წლის ბოლოს ეწურება.

რაც შეეხება თავად შუმახერს, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერს ამბობს. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ალენ პროსტი კი მიიჩნევს, რომ 2005 წლის ჩემპიონატის დასრულებისთანავე მიხაელი სამეფო რბოლებიდან წავა.

### ფერგიუსონი "მანიუს" გაყიდვის დროებით დავიწყებას ითხოვს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი გულშემატკივრებს თხოვნით მიმართავს, დროებით დაივიწყონ ამერიკელი მალკოლმ გლეიზერისთვის კლუბის მიყიდვის ფაქტი და, იმავდროულად, მოუწოდებს, ინგლისის თასის ფინალურ მატჩზე გაამახვილონ ყურადღება.

"ჩვენთვის ახლა ისაა მნიშვნელოვანი, რომ ინგლისის თასი მოვიგოთ, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გულშემატკივართათვის, - აცხადებს ფერგიუსონი. - ასე რომ, მოდი, გავერთიანდეთ და ერთიანი ძალისხმევით მივაღწიოთ გამარჯვებას".



# ბაღელები ცალკე მოდგმაა

## ბეკენბაუერის ბუცების ამბავი

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენი სტუმრების - ჟანრი ლოლაშვილის, ბონდო შოშიტაიშვილისა და თამაზ გოდერძიშვილის ვერის ბაღთან დაკავშირებული მოგონებები სიამოვნებით მოვისმინეთ; ვფიქრობთ, ჩვენი რესპონდენტების ნაამბობს მკითხველიც ხალისით წაიკითხავს...*

**ჟანრი ლოლაშვილი:** "მე ვერისბაღელებს იმ დროს შევუერთდი, როდესაც დროებით ოპერის ბაღში იყრიდნენ თავს (მაშინ ვერის ბაღში რაღაც მშენებლობა მიმდინარეობდა) - თეატრიდან გამოვდიოდი და შევუვლიდი ხოლმე ამ უცნაურ, უსაყვარლეს ხალხს. ჩვენს ქვეყანაში, ქვეყანაში კი არა, მთელ მსოფლიოში მომხდარი ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა ვერის ბაღში აუცილებლად განიხილებოდა - ახალი წიგნი იქნებოდა ეს, ახალი სპექტაკლი, პოლიტიკური მოვლენა თუ სხვა რამ; აი, ფეხბურთს რაც შეეხება, ეს საკითხი მართლაც მეცნიერების რანგში ჰქონდათ აყვანილი იქაურებს - სტრატეგები იყვნენ - ვერც კი წარმოიდგენთ, ფეხბურთის როგორ დეტალებს განიხილავდნენ, რა წვრილმანები იცოდნენ და აინტერესებდათ. ერთხელ, მახსოვს, არგენტინაში გასტროლებზე მივემგზავრებოდი და ჩემი მეგობრის მიშა ნანეიშვილის შვილმა რატიმ მთხოვა, - მარადონას პოსტერი ჩამომიტანეო. მარადონა ჩვენში ისეთი პოპულარული იყო, ვიცოდი, ბიჭი გაბედნიერდებოდა და მეც დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე რატის თხოვნას. მართლაც მთელი არგენტინა მოვიარე მარადონას პოსტერის ძებნაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერაფრით ვერ ვიშოვე; თურმე რა ხდება - სწორედ ის დრო იყო, როდესაც მარადონა "ნაპოლიში" გადავიდა სათამაშოდ და მთელი არგენტინა - მთელი ერი მასზე განაწყენებულია, იმდენად, რომ, პროტესტის ნიშნად, მის სურათებსაც კი არ აჭაჭანებენ არსად; გამიკვირდა, ისეთ ინტერესში ჩავვარდი, რიო დე პლატაზეც კი ვიყავი - სადაც იქაური გულშემატკივრები იკრიბებიან; ვისაც არ ვკითხე, ყველამ ხელი ჩაიქნია, - მარადონას დანახვა არ გვინდაო. ჩამოვედი და ეს ამბავი ვერისბაღელებს ვუამბე. უნდა გენახათ რეაქცია - ქართლოსი სიბრაზისგან ჯერ გაფითრდა, მერე ლევან ჭაჭიაშვილს გადახედა: რას იტყვი, მოგწონს, რასაც ჰყვებაო?! მერე მიხვდა, რომ მე არაფერ შუაში არ ვიყავი, უბრალოდ, იმას ვყვებოდი, რაც ვნახე და პირდაპირ არგენტინაზე (მთელ ქვეყანაზე) მიიტანა იერიში, - ეგენი ვინ ყოფილან, უმადურები; საერთოდ, ძალიან საეჭვო, შეთითხნილი ერია. მიკვირს, მარადონა მაგ ქვეყანაში რომ გაჩნდაო. მოკლედ, პირად შეურაცხყოფად მიიღეს. ეს გულშემატკივრები - აი, თუნდაც ესენი, აქ რომ სხედან - ბონდო და თამაზი, ცალკე მოდგმაა; სულ სხვაგვარი, უტრირებული აღქმა აქვთ. ძალიან მწყდება გული, ქართლოსმა, გურამ ქავთარაძემ, სხვებმაც, ვინც ცოცხალი აღარ არის, ზიდანი და რონალდინიო რომ ვერ ნახეს; წარმომიდგენია, რა ამბავი ატყდებოდა, რამდენს ილაპარაკებდნენ, იმსჯელებდნენ"...

**ბონდო შოშიტაიშვილი:** "ფეხბურთის გარდა, რამდენი მოვლენა მოხდა მას მერე - ჩვენ ხომ იქ მხოლოდ ფეხბურთზე არ ვსაუბრობდით. იმ პერიოდში თუ ვინმე თავის საქმეში წარმატებული ადამიანი იყო, ყველა ვერის ბაღში მოდიოდა და იყო ერთი მსჯელობა ყველაფერზე - თან ძალიან აზარტულად, საინტერესოდ; ფეხბურთი, რა თქმა უნდა, ყველას კრავდა და აერთიანებდა. მახსოვს, მოსკოვში ერევნის "არარატთან" უნდა გვეთამაშა თასზე. წინა დღეებში დათო ყიფიანმა მიიღო სერიოზული ტრავმა და ძალიან განვიცდიდით - არ ვიცოდით, შეძლებდა თუ არა თამაშს; ბაღში ყველანი ქართლოსის მოსვლას ვუცდიდით, რომ გაგვეგო, რა გადაწყდა. მოვიდა ქართლოსი და თქვა, - ნუ გეშინიათ, ითამაშებსო. თურმე, გულშემატკივრებს იმდენი მოუხერხებიათ, ყიფიანისთვის საიდანღაც ცნობილი ტიბეტური წამალი "მუმიო" ჩამოუტანიათ; მართლაც, საოცრად სწრაფად მოურჩა დათოს ის ტრავმა და, როგორც ითამაშა ის მატჩი, ყველას კარგად ახსოვს.

თქვენ წარმოიდგინეთ, იქ ადამიანები თავიანთ პირად, ოჯახურ პრობლემებსაც უზიარებდნენ ერთმანეთს - ზოგადად, გულშემატკივრობის ატმოსფერო სუფევდა. თუ ვინმეს რამე უჭირდა, შეძლებისდაგვარად, ერთმანეთს ვეხმარებოდით - ეს დიდი ძალა იყო"...

**თამაზ გოდერძიშვილი:** "მართლაც, საოცარი ბაღი იყო. მე იქვე ვცხოვრობდი და იმ ბაღში გავიზარდე; მერე ამ შეკრებილმა ხალხმა განსაკუთრებული ხიბლი შესძინა იქაურობას - გულშემატკივრობდნენ კალათბურთს, ფრენბურთს; ვერის ბაღის დარბაზშივე იმართებოდა ძალიან საინტერესო საკალათბურთო მატჩები პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდებს შორის. სხვათა შორის, საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლები იყო ხოლმე, მაგრამ არ მახსოვს, რაიმე ინციდენტი მომხდარიყო, იმიტომ, რომ იქ გულშემატკივრობის დიდი კულტურა არსებობდა - აი, ისეთი, მოწინააღმდეგის გუნდმა თუ დაიმსახურა, ტაშით რომ აცილებენ.

არ დამავიწყდება, ბაღში მოსული ჩოხელი შთაბეჭდილებებს რომ გვიზიარებდა, თუ როგორ აღაფრთოვანა ის ბრაზილიელი დიდის თამაშმა; ამბობდა, უკვე ხანში შესულია და ბევრს არ დარბის, მაგრამ თუ გაიხედა, მისი ფეხიდან ბურთი სწორედ იქ და სწორედ იმ მომენტში ხვდება, სადაც საჭიროაო; დიდის შესრულებულ "Сухой лист"-ზე, რომ ლაპარაკობდა, გივი აღფრთოვანებას ვერ მალავდა - ისე ასრულებს, წინაც და ორივე მხრიდანაც ოთხ-ოთხი ფეხბურთელი თუ არ დაუყენე, საშველი არ არის; არადა, ამდენი ფეხბურთელი სულ არ არის მოწინააღმდეგის გუნდშიო. მახსოვს, რა გაფაციცებით ვუსმენდით, თვითონ გივის კი თვალზე ცრემლი ადგებოდა, ამას რომ ჰყვებოდა, იმიტომ, რომ ყველამ კარგად ვიცოდით ნამდვილი ფეხბურთის ფასი"...

**ბონდო შოშიტაიშვილი:** "საერთოდ, ბაღში ასეთი წესი იყო - ვინმე ჩვენგანი უცხოეთიდან თუ ჩამოდიოდა და გვიანი იყო, აეროპორტიდან ჯერ ბაღში უნდა მოსულიყო და შინ მერე მიდიოდა. ერთხელ მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებული გოგი დემეტრაძე პირდაპირ აეროპორტიდან მოვიდა და თან დიდი სიურპრიზი ჩამოგვიტანა - ბეკენბაუერი გაუცვნია. თურმე, ქართულად იმდენი ეჩიჩინა... ის, რა თქმა უნდა. ვერაფერს მიხვდა, მაგრამ ავტობუსში ასულს ფანჯრიდან გოგისთვის თავისი ბუცები გადმოუყრია, - წაიღე, ოღონდ თავი დამანებეო. ატყდა ბაღში ცხარე კამათი - რომელი ქართველი ფეხბურთელი იმსახურებდა, რომ ბეკენბაუერის ბუცები გვეჩუქებინა; თან ზომაც - №44 - ხომ უნდა დამთხვეოდა. აღმოჩნდა, რომ ხურცილავას და რეხვიაშვილს მოერგებოდათ. საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, ბელადს ერგო და გადაწყდა - ბუცებს რეხვიაშვილს ვჩუქნიდით. მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: რეხვიაშვილი ახალგაზრდაა და სტიმული მას უფრო სჭირდება".

**თამაზ გოდერძიშვილი:** "ან როგორი განსხვავებული მაყურებლები ვიყავით - იმ ტრიბუნაზე, რომელზეც ჩვენ ვისხედით, ბუზის გაფრენას გაიგონებდი - რის გინება, რა გინება. ვინმე ულრისად თუ მოიქცეოდა, თავად მაყურებელი დასჯიდა. მაგრამ ქავთარა (გურამ ქავთარაძე) იყო გამონაკლისი; ემოციებს ვერ იკავებდა და ისეთ სასაცილო რამეებს ამბობდა, ზოგიერთები საგანგებოდ მის ახლოს ყიდულობდნენ ბილეთს... ეს კიდევ ცალკე სანახაობა იყო"...

**ჟანრი ლოლაშვილი:** "მთავარი მაინც ის იყო, რომ მოწინააღმდეგისთვის ტაშის პირველი დამკვრელები სწორედ ვერისბაღელები იყვნენ; სადღაა ახლა ეს კულტურა"...

**ბონდო შოშიტაიშვილი:** "საინტერესოა, რომ ამ ბაღის არსებობის ამბავი გავრილ კაჩალინის ყურამდეც მივიდა; უთქვამს, - დამანებოს მაგ ხალხმა თავი, ვინ არიან, რა უნდათ, მთელ გეგმებს მირევენ - весь чемпионат союза они перевернули верх дном" -ო.

**ჟანრი ლოლაშვილი:** "აბა, როგორ! იქ უბრალო ლაყბობა კი არ იყო; სტრატეგიაზე ფიქრობდნენ, ტაქტიკაზე, საქმეში აქტიურად ერეოდნენ და ხშირად - ძალიან სწორადაც; ბევრი მწვრთნელი ვერისბაღელების მოსაზრებებს ითვალისწინებდა ხოლმე".

**ბონდო შოშიტაიშვილი:** "არ დამავიწყდება, გოგი დემეტრაძემ რუსთავში პირველად რეხვიაშვილის თამაში რომ ნახა, რა გატაცებით უყვებოდა ბაღელებს მის მონაცემებზე. იმ დღეებში "დინამოს" ბაქოში უნდა ეთამაშა. უეცრად გოგიმ განგვიცხადა, - აი, ნახავთ, რეხვიაშვილი ბაქოში ითამაშებს და ორ გოლს გაიტანსო. გაგვიკვირდა, - ბაქოში როგორ ითამაშებს, რუსთავში თუ თამაშობსთქო; უკვე მივიყვანე "დინამოშიო", - დაგვაწყნარა გოგიმ. თურმე რეხვიაშვილი აბაზანაში ყოფილა, უცებ მიაკითხეს და ლამის საპნიანი წაიყვანეს "დინამოს" ბაზაზე; ბაქოში ნამდვილად ითამაშა და გოლიც გაიტანა. დანარჩენმა ბაღელებმა პირველად იმ მატჩში ვნახეთ და მართლაც ძალიან მოგვეწონა. აი, ასეთი გულშემატკივრები ვიყავით"...

ინფოთეკა

### კლიისტერსმა, შესაძლოა, "როლან გაროსი" გამოტოვოს

კარს მომდგარი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წინ "ასოშეიტედ პრესი" იუწყება, რომ, შესაძლოა, ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა "როლან გაროსის" თიხნარ კორტებზე არ იასპარეზოს. საქმე ისაა, რომ ბელგიელი ჩოგბურთელი ჯერაც იშუშებს მუხლზე მიღებულ ტრავმას. თუმცა, ბოლომდე გარკვეული ჯერ არაფერია. ახლა კლიისტერსი ინტენსიური თერაპიის კურსს გადის, რომლის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტს, გამოვა თუ არა ტურნირში.

"როგორც კი ტკივილს ვიგრძნობ, მაშინვე გავჩერდები. ხოლო თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მაშინ ვითამაშებ კიდეც, ოღონდ ძალიან არ გავრისკავ".

### ჩაკვეტაძეს ვინუს უილიამსთან დიდი ბრძოლა ელის

სტამბულში მიმდინარე WTA ტურნირის მეორე წრის შეხვედრაში, რომლის საპრიზო ფონდიც 200 ათას დოლარს შეადგენს, რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ჩაკვეტაძემ გუშინ თანაგუნდელი ტატიანა პანოვა სამ სეტში დაამარცხა - 5:7, 6:4, 6:1. მეორე წრის ბარიერის გადალახვის შემდეგ ჩაკვეტაძეს ამერიკელ ვინუს უილიამსთან მოუწევს ბრძოლა.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 19 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სან პაულუ" (ბრაზილია). პირველი მატჩი.
14:00 განვლილი კვირის ჰიტ-ალლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "ლაციო"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. "მილანი" - პსვ. პირველი მატჩი
17:55 განვლილი კვირის ჰიტ-ალლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "ფულჰემი" - "ნორვიჩი"
19:40 თავისუფალი დარტყმა
19:55 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:10 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:40 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სან პაულუ" (ბრაზილია). პირველი მატჩი
22:25 თავისუფალი დარტყმა
22:40 "2:1". ტოქშოუ
23:40 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
00:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 15:30, 19:15 პრესცენტრი
10:20, 19:30 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში
12:15 "სპორტისიმო"
13:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
14:00 "ვატერპოლე"
14:30 კარატე. ევროპის ჩემპიონატი ესპანეთში. გუნდური პირველობა კუმიტეში. ფინალები
15:45 "არტეფაქტი". ველოსიპედი
16:15 "2:1". ტოქშოუ
17:15 ბილიარდი. გუნდური მსოფლიო თასი პირამიდაში
19:35 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:30 ჩოგბურთი. "საფრანგეთის ღია ჩემპიონატის წინ"
22:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
23:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
23:30 როდეო. "Bull Riders"
00:15 ახალი ამბები
00:30 ჩოგბურთი. გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი დიუსელდორფში

**EUROSPORT**
10:30 სპიდვეი - პოლონეთის დიდი პრიზი
11:30 მულტისპორტი. VIP საშვი
11:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
15:30 ველორბოლა - იტალიის ტური
16:30 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
21:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
00:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა იტალიაში
01:45 ახალი ამბები
02:00 საბრძოლო ხელოვნება
03:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

# "დინამო" ჩემპიონობას უახლოვდება

საქართველოს ჩემპიონატის 34-ე ტურის შეხვედრებში მოულოდნელი, ფაქტობრივად, არაფერი მომხდარა. "ლოკომოტივმა" და "დინამომ" თბილისურ დერბიში ქულები გაიყვეს და თავ-თავიანთი მიზნებისკენ მეთოდურად მიიწევენ. რკინიგზელებს ქვეყნის თასის მოგება სურთ, რომელიც მათ უეფას თასზე თამაშიც უფლებას მიანიჭებს. "დინამო" კი ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის და, როგორც ჩანს, ტიტულსაც არავის დაუთმობს.

ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტური დარჩა. მართალია, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი უახლოეს მდევარს ქუთაისის "ტორპედოს" ორი ქულით უსწრებს, მაგრამ თბილისელებს ისეთი კალენდარი დარჩათ, ეჭვი არ არის, ორივე თამაშს მოიგებენ. ასეთ შემთხვევაში კი ჩემპიონებიც ისინი გახდებიან. ბოლოსწინა ტურში "დინამო" გორში "დილას" შეხვდება, რომელიც კარგა ხანია უმაღლეს ლიგას დაემშვიდობა, ბოლოს კი საკუთარ მინდორზე მასპინძლობს ბათუმელ თანაკლუბელებს. ასე რომ, კახა ცხადაძის გუნდს შეუძლია მორიგი ტიტული მოიგოს.




რაც შეეხება უეფას თასის საგზურის მაძიებლებს, აქ ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს მეორე ადგილისთვის. ერთმანეთს ექიშპებიან ქუთაისის "ტორპედო" და "თბილისი". ამ დროისთვის ქუთაისელებს ერთქულიანი უპირატესობა აქვთ. მათ პაექრობაში უმნიშვნელოვანესი იქნება ბოლოსწინა, 35-ე ტურის შეხვედრები, რომელშიც "თბილისი" "ლოკომოტივს" მასპინძლობს, ხოლო "ტორპედო" მცხეთაში შეხვდება "ვიტ ჯორჯიას".

მეორე ადგილისთვის ბრძოლის კულმინაცია იქნება ბოლო ტური, როცა ქუთაისში "ტორპედო" თავის უშუალო კონკურენტ "თბილისს" მიიღებს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარც კი ჰქონდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ "თბილისი" "ლოკომოტივთან" წააგებს, "ტორპედო" კი "ვიტ ჯორჯიას" დაამარცხებს.

რაც შეეხება ტურნირის აუტსაიდერებს, აქ გორის "დილას" საქმე დიდი ხნის გადაწყვეტილია. მეორე უაღბლოს ვინაობა კი ფოთის "კოლხეთის", ბოლნისის "სიონისა" და ბათუმის "დინამოს" პაექრობაში გაირკვევა. ამ გუნდების ბრძოლაში დარჩენილი ორი ტური უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება. 22 მაისს "კოლხეთი" ბათუმში ჩადის. 30 მაისს კი საკუთარ მინდორზე მასპინძლობს "სიონს". სწორედ ეს მატჩები გამოავლენენ მეორე უიღბლოს ვინაობას.

დღეისთვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: **დინამო - 69, ტორპედო - 67, თბილისი - 66, ლოკომოტივი - 62, ზესტაფონი - 53, ვიტ ჯორჯია - 45, ბათუმი - 36, სიონი - 34, კოლხეთი - 32, დილა - 9.**

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი - დინამო** | **0:0** |
| **კოლხეთი - დილა** | **6:2** |
| **ზესტაფონი - ბათუმი** | **2:0** |
| **ტორპედო - სიონი** | **2:0** |
| **თბილისი - ვიტ ჯორჯია** | **2:1** |

საფეხბურთო გალერეა

# რუსებმა უეფა მოიგეს

## სპორტინგი - ცსკა 1:3

ამასაც მოვესწარით! მოსკოვის ცსკა-მ რუსულ ფეხბურთს არნახული გამარჯვება მიუძღვნა - უეფას თასი მოიგო და ამით სალაპარაკო მისცა თავის უამრავ ფანსა და რუს ჟურნალისტებს, რომ მათი ფეხბურთის ისტორიაში გამოჩნდა გუნდი, რომელმაც ევროპული ჯილდო მოიგო და თუ სადმე საფეხბურთო ქვეყანა მოიხსენიება, ამიერიდან რუსეთიც მათ გვერდით დაიდებს ბინას.

თუმცა, პარადოქსი ის არის, ჩვენს რუს კოლეგებს არ სურთ აღიარონ, რომ უეფას თასი რუსეთის გუნდმა მოიპოვა. მათი განცხადებით უნიკალური მოვლენა მოხდა არა მხოლოდ რუსეთის ფეხბურთის ისტორიაში არამედ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაშიც, "რადგან ცსკა-მდე არცერთ საბჭოთა გუნდს არ ღირსებია უეფას თასის ფინალში გასვლა" - რატომღაც ამბობდნენ რუსი ჟურნალისტები და ის კი ავიწყდებოდათ, რომ საბჭოთა კავშირი ლამის 15 წელია, რაც აღარ არსებობს.

პრობლემაა, რომ რუსები, ქვეცნობიერად დღემდე საბჭოური მენტალიტეტით აზროვნებენ, ჩვენ კი მათ თავიანთი სამხედრო ბაზების ცივილურად გაყვანას ვთხოვთ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ვალერი გაზაევის არმიელებმა აჯობეს უეფას თასის ფინალის მასპინძლებს და ამით დიდი ზიანი მიაყენეს ტოტალიზატორის თბილისელ მოთამაშეებს. მთელი ქალაქი "სპორტინგის" მოგებას ვარაუდობდა, მაგრამ პირიქით კი მოხდა.

არადა, მატჩის დებიუტი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადდა. გაზაევის ფეხბურთელები საკუთარ კარს მიეჯაჭვნენ და ძირითადად თავდაცვის უსაფრთხოებაზე ფიქრობდნენ. ანუ "სპორტინგი" ცდილობდა ფეხბურთი ეთამაშა, ცსკა კი მას ხელს უშლიდა. ასეთი მდგომარეობა პირველ გოლამდე გაგრძელდა. როჟერიომ დაახლოებით 20 მეტრიდან შესანიშნავი მოჭრილი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0. ამის შემდეგ რუსებმა მეტოქის ნახევარზე გადასვლაც გაბედეს და ტაიმის მიწურულს მოსკოველთა ბრაზილიელმა ფორვარდმა ვაგნერ ლავმა უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან. მან კარის წინ, 7-8 მეტრში მდგომმა ვერ შესძლო კარში ზუსტად დარტყმა.

მეორე ტაიმში მდგომარეობა 57-ე წუთიდან მკვეთრად შეიცვალა. ბერეზუცკიმ თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. კიდევ ცხრა წუთში ჟირკოვმა წინ გაიყვანა სტუმრები - 2:1. ამას მოჰყვა მატჩის კულმინაცია. კარის ძელთან მდგომმა პორტუგალიელებმა ვერ გადაგზავნეს ბურთი კარში. მოსკოველთა მეკარე აკინფეევმა ბურთი სწრაფად შეიყვანა თამაშში და ვაგნერ ლავმა ისარგებლა რა მეკარის შეცდომით მესამედ აიღო რიკარდუს კარი - 3:1. აქ კი ნათელი გახდა, რომ რუსები თავისი არსებობის ისტორიაში პირველ ევროპულ ჟილდოს მოიგებდნენ. "სპორტინგი" აშკარად არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელიც 15 წუთში ორჯერ აიღებდა მეტოქის კარს და თამაშს გადაარჩენდა. საბოლოოდ - 3:1 და მოსკოვის ცსკა უეფას თასის მფლობელია.



მოსკოვის ცსკა უეფას თასით ხელში

კრივი

# დაბრუნდა?!

## ჯეიმს ტონი გაასამართლეს, ჯონ რუისი კი აღადგინეს




გიგა გურასაშვილი

*"ნიუ იორკის შტატის ათლეტთა კომისიის გადაწყვეტილების თანახმად და ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, რამაც ჩვენს გადაწყვეტილებაზე იქონია გავლენა, კრივის მსოფლიოს ასოციაცია (WBA) იძულებულია ჩამოგართვათ ჩემპიონობა და იგი ჯონ რუის დავუბრუნოთ". ასე ჟღერს ჯონ რუისის მძლეველ ჯეიმს ტონისადმი გაგზავნილი წერილი, რომლის თანახმად ასოციაციის საჩემპიონო ქამარი მის ძველ მფლობელს რუისს დაუბრუნდა.*

WBA ოფიციალურად აცხადებს ჯეიმს ტონისთვის ტიტულის ჩამორთმევას. ჯონ რუისისთვის ქამრის დაბრუნების მიზეზი მატჩის შემდეგ ტონის ორგანიზმში აღმოჩენილი დოპინგია (ანაბოლიკური სტეროიდი ნანდროლონი). მას შემდეგ, რაც ანალიზის პასუხები გახდა ცნობილი, ნიუ იორკის ათლეტთა კომისიამ ტონის გამარჯვება გააუქმა და რუის-ტონის ჩხუბიც არშემდგარად გამოაცხადა. აქედან გამომდინარე, 30 აპრილის დაპირისპირების თაოსანი კრივის მსოფლიო ასოციაცია, დაეყრდნო რა ათლეტთა კომისიის შესაბამის გადაწყვეტილებას, რუისი კვლავაც ჩემპიონად გამოაცხადა.

აკრძალულ პრეპარატზე გამოჭერილი ტონი 90 დღით დისკვალიფიცირებულია. ამასთან, 10-ათასდოლარიანი ჯარიმაც აჰკიდეს. ეს არის ის, რაც პირველადი გადაწყვეტილებით იყო ცნობილი. ესეც არ აკმარეს და ტიტულჩამორთმეულს შეატყობინეს, WBA-ს ტიტულისთვის ბრძოლის უფლება უახლოეს ორ წელიწადში არ გექნებაო.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ტონის ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ერთხელ დაიწუწუნა: თუ ანალიზებში აკრძალულ პრეპარატს მიაგენით, გარწმუნებთ, დოპინგისთვის შეგნებულად არ მიმიმართავსო. მოგვიანებით ტელეკომპანია ESPN2-თან ინტერვიუში განაცხადა კიდეც: ტესტირების შედეგები, ალბათ, იმის ბრალია, რომ ექიმის მიერ გამოწერილ წამლებს ვიღებდი, რაც ტრავმის შემდგომი პროფილაქტიკისთვის იყო გამიზნულიო. მიუხედავად ამისა, მაინც იმედი ჰქონდა, რომ ასოციაციის მამებს გული მოულბებოდათ და ტიტულს არ ჩამოართმევდნენ.

"იმედი მქონდა, WBA სწორად მოიქცეოდა და ჩემპიონის სარტყელს დამიტოვებდა... იმ წამლებს ვიღებდი, რომელიც ექიმმა ტრავმირებული ხელის სამკურნალოდ დამინიშნა. მე არ მიყალთაბანდია.

ბრძოლა გეგმის მიხედვით ივლისში რომ ჩატარებულიყო, ახლა ამაზე ლაპარაკი არ მოგვიწევდა. წამალი იანვარში მივიღე, მაშინ, როდესაც თაბაშირი მომხსნეს. ასე რომ, ივლისისთვის ორგანიზმი მთლიანად უნდა გაწმენდილიყო ნივთიერებისგან. მე კი ყველას დიდი სამსახური გავუწიე, როდესაც ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლაზე დავთანხმდი სულ რაღაც ოთხკვირიანი მომზადებით, არცთუ სასურველი ფორმითა და ჯერაც მტკივანი ხელით. მიუხედავად ამისა, ის ტომარა ცალი ხელით მივბეგვე. ახლა კი მეუბნებიან, ტიტულს გართმევთო", - ნანდროლონის აღმოჩენის შემდეგ ამბობდა ჯეიმს ტონი.

შეგახსენებთ, რომ აწ უკვე ტიტულდაკარგულმა ტონიმ ჯონ რუისზე სამივე მსაჯის დათვლით - 116:111, 116:11, 115:112 გაიმარჯვა. ისიც საინტერესოა, რომ 30 აპრილის გამარჯვებით გახდა კრივის სამყაროს მესამე საშუალოწონოსანი მოჩხუბარი, რომელმაც მძიმეწონოსანთა შორისაც მოიპოვა ტიტული. იმავე ბრძოლის გათვალისწინებით, რუისი იმით შევიდა ისტორიაში, რომ მძიმეწონოსანმა ორჯერვე ყოფილ საშუალოწონოსნებთან დათმო ტიტულები. დღეს კი კვლავაც ჩემპიონად იწოდება ჯონ რუისი, რომლის იურიდიულმა წარმომადგენელმა ტონი კარდინალემ ასოციაციის გადაწყვეტილება სამართლიანად მიიჩნია, ხოლო მას შემდეგ, რაც რუისის ბანაკმა თავისი მიიღო, კარდინალემ გადაწყვიტა, მენეჯერ ნორმან სტოუნთან ერთად პროფესიულ კრივში აკრძალულ პრეპარატებზე პერიოდული ტესტირებების შემოღების კამპანია დაიწყოს.

ამასობაში ჯონ რუისმა ასოციაციის გადაწყვეტილების შეტყობისთანავე დაიძახა: "მე დავბრუნდი!"

და, მაინც, რა არის ეს ნანდროლონი, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა? ნახევარ საუკუნეზე მეტია, ტონის ორგანიზმში აღმოჩენილი პრეპარატი ფართოდ გამოიყენება მედიცინაში. ის შედის იმ წამლების ნუსხაში, რომლებსაც ოპერაციის შემდგომ პერიოდში, მძიმე ტრავმების, ქრონიკული ინფექციური დაავადებებისა და ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის სამკურნალოდ იყენებენ. სპორტსმენები კი მას ძლიერი ოპერაციებისა და წონის დაკლებისას კუნთოვანი მასის შესანარჩუნებლად იყენებენ.

საფეხბურთო გალერეა

# რაული: "ყველაზე შთამბეჭდავი ბოლო მონაკვეთი იყო"

წლის შედეგები შეაჯამა მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ფორვარდმა რაულ გონსალესმა. ვფიქრობთ, მისი ინტერვიუ უინტერესო არ იქნება.

**- "ბარსელონა" ღირსეული ჩემპიონია?**

- ჩვენ ვულოცავთ მას, რადგან ისინი უფრო ძლიერები იყვნენ. საუკეთესო გუნდი გახდა და მისი წევრები საუკეთესო ფეხბურთს თამაშობდნენ. მათ დაიმსახურეს ჩემპიონობა, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს ეს აღარ გამეორდება.

**- ეტო`ოს სიტყვებმა ზეიმი მართლა გააუფერულა?**

- ამ დღეებში ეტო`ოზე ბევრი ილაპარაკეს. მან მართლაც დაუშვა შეცდომა, მაგრამ დანაშაულს მიხვდა და ბოდიში მოიხადა. ერთადერთი, რაც ახლა უნდა გავაკეთოთ, ის არის, რომ ამ თემაზე ნაკლები ვილაპარაკოთ. მან თავისი ახსნა-განმარტება უკვე წარმოადგინა. ასეთ დროს შეიძლება ზედმეტი ილაპარაკო, რაც ფეხბურთს ნამდვილად არ წაადგება, რადგან ადამიანების გარკვეულ ჯგუფს შეურაცხყოფს. შეცდომა ყველას მოგვდის და მან ეს დაადასტურა, მაგრამ ბოდიშიც მოიხადა.

**- ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ის "რეალს" შეურაცხყოფს...**

- ეს ჩემი განსასჯელი არ არის. მიხარია, რომ მან შეცდომა აღიარა და მოიბოდიშა. შეიძლება მას აქვს მიზეზი, განაწყენებული იყოს კლუბზე ან კონკრეტულად მის რომელიმე წევრზე, მაგრამ ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ.

**- როგორ შეიძლება შეფასდეს "რეალის" მიერ ჩატარებული სეზონი?**

- როცა ვერაფერს ვერ იგებ, გული გიტყდება, რადგან "რეალი" ისეთი კლუბია, ყოველთვის მაღალი ჯილდოებისთვის უნდა იბრძოდეს. წლეულს კი მიღწევებისგან ცოტა შორს ვიყავით. სეზონის საუკეთესო შთაბეჭდილება კი ალბათ ბოლო მონაკვეთი იყო. მათ კარგი გრძნობა დაგვიტოვეს. ჩვენ ხასიათი გამოვავლინეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ. გვინდა, ბოლო ორი მატჩი მოვიგოთ, შემდეგ კი დავისვენოთ და მომავალი სეზონისთვის მოვემზადოთ.

**- როგორ ფიქრობ, ვანდერლეი ლუშემბურგო თქვენთვის სასურველი მწვრთნელია?**

- მან შესანიშნავი სამუშაო ჩაატარა. ამას ადასტურებს გუნდის მიერ ნაჩვენები შედეგები და თამაშის ხარისხი, რომელიც ბოლო დროს გამოსწორდა. თუმცა, მისი სამუშაო საბოლოოდ კლუბმა უნდა შეაფასოს. თუ ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის სასურველი მწვრთნელია, ჩვენ მასთან დავრჩებით. კლუბისთვის მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელი სტაბილურად ჰყავდეს. მიმაჩნია, რომ მან სამუშაოს გაგრძელება დაიმსახურა.

**- მოახლოვდა დერბი "რეალი" - "ატლეტიკო", მაგრამ გუნდებს არავითარი ამოცანა გადასაჭრელი არ დარჩათ...**

- მადრიდული დერბი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ რაკი ეს მატჩი ამოცანის გადაჭრას არ ემსახურება, ის როგორღაც უფერული იქნება. წარმოგიდგენიათ ყავა კოფეინის გარეშე? ამის მიუხედავად, ჩვენ ვიბრძოლებთ, რადგან ჩვენს ქალაქში მთავარ მეტოქეს ვხვდებით. სეზონის განმავლობაში ორივე გუნდი სირთულეებს განიცდიდა და ორივეს უნდა, საკუთარი გულშემატკივარი გაახაროს. ვფიქრობ, თამაში საინტერესო იქნება, ორივე გუნდი გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

**- ბოლო მატჩებში ლუშემბურგომ პოზიცია შეგიცვალა. ახალ პოზიციაზე თავს კომფორტულად გრძნობ?**

- დიახ, ისევე როგორც იმ პოზიციებზე, სადაც თამაში შემიძლია, მაგრამ მთავარი მაინც გუნდური თამაშია. გუნდი კი უკეთ თამაშობს. ჩვენ შედეგებს ვაღწევთ და ამიტომ კმაყოფილნი ვართ. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ეს სერია გვიან დავიწყეთ და "ბარსელონა" უფრო ძლიერ მარწუხებში ვერ მოვაქციეთ.

**- შეუძლია თუ არა "ბარსელონას" გამარჯვებათა ისეთივე ციკლი დაიწყოს, როგორიც თქვენ ბოლო წლებში გქონდათ?**

- მათ მუდამ მაღალი ადგილებისთვის უნდა იბრძოლონ. საქმე ის არის, რომ დიდი ხანია არაფერი მოუგიათ. ახლა კი შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდება. "ბარსა" ძალიან ძლიერი გუნდი იქნება როგორც ესპანეთის მასშტაბით, ისე ევროპულ სარბიელზე, კერძოდ, ჩემპიონთა ლიგაში. ისინი ყოველთვის სერიოზული მეტოქეები იყვნენ, ახლა კი უფრო სერიოზულნი გახდებიან, რადგან ჩემპიონის ტიტულის მოპოვება მათზე უაღრესად პოზიტიურად იმოქმედებს.

**- გულგატეხილნი ხომ არ ხართ იმის გამო, რომ შთამბეჭდავმა წარმატებულმა სერიამ საბოლოო ჯამში შედეგი ვერ მოგიტანათ?**

- ჩვენ იმედი გვქონდა, რომ "ბარსელონა" ტემპს მოუკლებდა, მაგრამ მათ ბოლომდე გამოავლინეს მებრძოლი ხასიათი და ეს უნდა მივულოცოთ. სეზონი მხოლოდ ბოლო თვეები არ არის, ის სექტემბერში იწყება. ჩვენ კი ის არასტაბილურად დავიწყეთ და "ბარსელონას" წინ გასვლის საშუალება მივეცით. სწორედ ამიტომ სეზონის ბოლოს სპურტმა შედეგი არ გამოიღო.

**- არასტაბილურობის ერთ-ერთი მიზეზი მწვრთნელთა ხშირი შეცვლა ხომ არ იყო?**

- როცა მწვრთნელი იცვლება, ესე იგი, საქმე არც ისე კარგადაა. არადა, ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, მინდორზე ბოლომდე დავხარჯულიყავით. დეკემბერში უაღრესად რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. შემდეგ კიდევ ერთ ორმოში ჩავვარდით, რაც ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნაში გამოიხატა. ამას დაემატა "ხეტაფესთან" მარცხი. თუმცა, ამის შემდეგ სათანადო რეაგირება მოვახდინეთ. ჩვენ ყველამ პროგრესი უნდა განვიცადოთ და გადაწყვეტილება მოვძებნოთ, რომ მადრიდელები უკვე ივლისში გავახაროთ.

**- ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომ "ბარსელონას" მსაჯები სწყალობდნენ?**

- ეს სწორედ თქვენ ეწევით ამ თემის სპეკულაციას ტურიდან ტურამდე. არადა, გაიხსენეთ, რომ თამაშის განმავლობაში "ბარსა" ძალიან ხშირად უახლოვდება მეტოქის კარს და ლოგიკურია, რომ ერთხელაც მსაჯი შეცდომას დაუშვებს. შეიძლება კონკრეტული შემთხვევებიც არსებობს, მაგრამ ისინი ჩემპიონები მაინც გახდებოდნენ.

**- მას შემდეგ, რაც ლუიშ ფიგუ მადრიდის "რეალში" გადმოვიდა, არასოდეს ყოფილა ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ახლაა. შენ მას ყოველდღე ხედავ. ეს სიტუაცია მასზე ძალიან მოქმედებს?**

- მოთამაშისთვის, რომელიც თავის კლუბს ყოველთვის ყველაფერს სწირავდა, ეს სიტუაცია რთულია. ჩვენ ბევრნი ვართ გუნდში, მაგრამ მისი სიტუაცია არანორმალურია. თუმცა, ის იძულებულია, ამას შეეგუოს. გუნდში არის ბევრი ფეხბურთელი და ერთი მწვრთნელი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს. რა თქმა უნდა, ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ფიგუსთვის სასიამოვნო არაფერი ხდება, მაგრამ ის აგრძელებს მუშაობას და გუნდს ეხმარება. ყოველთვის ამას აკეთებდა და საყვედურს ვერავინ ეტყვის.

**- ლუშემბურგომ თამაშის ისეთი სტილი დანერგა, რომელიც შეიძლება "ბერნაბეუს" არ მოეწონოს...**

- არა მგონია, რადგან ბოლო მატჩებში გულშემატკივრებმა სიამოვნება მიიღეს. გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩა "ვილიარეალთან", "ბარსელონასთან" და "რასინგთან" შეხვედრების შემდეგ. მადრიდის "რეალი" დაცვიდან კი არ თამაშობდა, არამედ, უბრალოდ, გოლის გატანას ცდილობდა. სტუმრად თამაშის დროს დიდ სირთულეებს ვაწყდებოდით. ჩვენ ოუენისა და რონალდოს ძლიერი მხარეები უნდა გამოგვეყენებინა. ეს სისწრაფეა. ამიტომ კონტრშეტევაზე თამაშმა, როცა სივრცე გვიჩნდებოდა, ბევრი გამარჯვება მოგვიტანა.

**- ზედიზედ მეორე სეზონია, რაც არაფერი მოგიგიათ. მომავალ წელს ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდება?**

- აქ ყოველთვის დიდ ზეწოლას განიცდი. თამაშობ თუ, უბრალოდ, კომენტარს აკეთებ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ შევეცდებით, სეზონი ორი გამარჯვებით დავასრულოთ და მას ღირსეულად დავემშვიდობოთ. გვინდა, წლეულს დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ. გვინდა, ყველაფერი ნულიდან დავიწყოთ. შევეცდებით, ტურნირი თავიდანვე ძლიერად დავიწყოთ, სათავეში მოვექცეთ სატურნირო ცხრილს და, შესაბამისად, ჩემპიონატის მოგების კარგი შანსი შევიქმნათ, რადგან წლეულს ჯილდოს მოგების მცირე შანსიც კი არ გვქონდა.







# ახალი "მაზდა MX-5 მიატა"

როდსტერი MX-5 ყველაზე პოპულარული და მასობრივი ავტომობილია იაპონურ კომპანია "მაზდას" სამოდელო გამაში, თუმცა დროდადრო საუკეთესოებსაც სჭირდება გადახალისება და ბუნებრივია, ეს ამ კომპანიის მესვეურებმაც გაითვალისწინეს, რომლებმაც გაზაფხულის დასაწყისშივე, ჟენევის ავტოსალონზე ჩაატარეს მესამე თაობის MX-5-ის, იგივე "მიატას" პრეზენტაცია, მის გაყიდვებს კი წლის ბოლოს დაიწყებენ.

"მაზდამ" თავისი ახალი როდსტერის შენიღბული ვარიანტის ფოტოები პრემიერამდე კარგა ხნით ადრე გამოაქვეყნა, თუმცა მაშინ ძნელი იყო იმის თქმა, თუ როგორი იქნებოდა მესამე თაობის MX-5. კამუფლაჟის ქვეშ შეინიშნებოდა მისი მსგავსება მეორე თაობის MX-5-თანაც და კონცეპტუალურ როდსტერ "იბუკისთანაც", რომელიც კომპანიამ ორი წლის წინ წარადგინა ტოკიოს ავტოსალონზე.

უნდა ითქვას, რომ ვარაუდი ნაწილობრივ გამართლდა - ახალი ავტომობილი რაღაცით წინამორბედსაც მოგვაგონებს და "იბუკისაც", რომელიც, სხვათა შორის, საკმაოდ ავანგარდული დიზაინით გამოირჩეოდა და იმთავითვე აშკარა იყო, რომ მისი დიზაინის ბევრი ელემენტი წარმოებამდე ვერ მიაღწევდა.





ავტომობილის დანახვისას, ადამიანს ეჭვიც არ შეეპარება იმაში, რომ ეს MX-5-ის ოჯახის წევრია. თუმცა, წინამორბედებთან შედარებით, მესამე თაობის როდსტერი ზომებში საგრძნობლად გაზრდილია. კერძოდ, მისმა სიგრძემ და სიგანემ 40 მილიმეტრით მოიმატა და შესაბამისად, 3.99 და 1.72 მეტრი შეადგინა. 64 მილიმეტრით გაიზარდა ბორბლებს შორის ბაზა, რომელმაც 2.33 მეტრს მიაღწია. ყველაზე ნაკლებად ავტომობილის სიმაღლე გაიზარდა, რომელმაც მხოლოდ 10 მილიმეტრით მოიმატა და 1.25 მეტრი გახდა. გარდა ამისა, ახალ MX-5-ს ბორბლების გაცილებით განიერი კვალიც გააჩნია - წინ მისი სიგანე 75 მილიმეტრით, უკან კი 55 მილიმეტრით გაიზარდა.

მთლიანობაში, ავტომობილმა უფრო აგრესიული და სპორტული იერი მიიღო. მას ველარავინ დაარქმევს ქალების როდსტერს. ახალი MX-5-ის სპორტულობას ხაზს უსვამს მისი კაპოტი, რომელსაც წინა მხრიდან მომრგვალებული ფორმა გააჩნია. წინა ბამპერი წინა ფრთებთანაა გაერთიანებული, მის ქვეშ განლაგებული რადიატორის ჰაერამღებმა კი საგრძნობლად მოიმატა გაბარიტებში. ყურადღებას იქცევს უსაფრთხოების ვერცხლისფერი რკალები, რომლებსაც გარდა იმისა, რომ ავარიის შემთხვევაში მძღოლსა და მგზავრს ტრავმებისგან იცავს, ძარის სიხისტეს კი ზრდის, იმავდროულად, დეკორატიული ელემენტის მოვალეობაც "აკისრია".

ახალ MX-5-ს კვლავ რბილი სახურავი აქვს, რომელიც ძველებურად ხელით მაგრდება, მაგრამ სამაგიეროდ, ამიერიდან უკანა შუშას გამათბობელიც ექნება. მათ, ვინც ამ ავტომობილით სარგებლობას მთელი წლის განმავლობაში აპირებს, მწარმოებელი ხისტ სახურავს სთავაზობს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, ავტომობილის ნომინალურ ღირებულებას გარკვეული თანხა დაემატება.

მცირე ცვლილება შეეხო ინტერიერს. მის გასაწყობად ახლა უფრო ძვირად ღირებული მასალები გამოიყენება. მთავარი კი ისაა, რომ მასში ყველაფერი მარტივი და ფუნქციონალურია, როგორც სპორტულ ავტომობილს შეეფერება. გაიზარდა სალონის მოცულობაც, რაც ავტომობილის გაბარიტების ზრდის შედეგია. კვლავ მცირე ზომისაა საბარგული, რომლის მოცულობა უცვლელი დარჩა და ისევ 140 ლიტრია.

კომპანიის კონსტრუქტორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ავტომობილის წონის შემცირებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მესამე თაობის MX-5-ის გაბარიტები წინამორბედთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა, წონაში მომატებული ათი კილოგრამი სათვალავში მისაღები საერთოდ არ იქნება. გამოყენებულ იქნა ბევრი ის კონსტრუქციული გადაწყვეტა, რომლებმაც პოპულარობა მოუხვეჭეს "მაზდას" კუპე RX-8-ს.

რა თქმა უნდა, ღია ავტომობილებისთვის მთავარი ძარის სიხისტის გაზრდაა, რადგან მას არ გააჩნია საყრდენები, რომლებიც სწორედ სიხისტეს აუმჯობესებს. ჰოდა, "მაზდას" ინჟინრებმა ახალი როდსტერისთვის უფრო მტკიცე ფოლადის გამოყენება გადაწყვიტეს. ეს ავტომობილს აძვირებს, მაგრამ სამაგიეროდ, ძარაში გამოყენებული ნაკლები ლითონის კვალობაზე, მის სიმტკიცეს ზრდის. იმავდროულად, კაპოტისა და სხვა, არასაპასუხისმგებლო ელემენტების დასამზადებლად გამოყენებულია ალუმინი, რაც ისევ მასის შემცირებისთვის გაკეთდა.

მესამე თაობის როდსტერის აღსაჭურვად სულ ორი ძრავის გამოყენებაა გათვალისწინებული. საბაზო ვერსიისთვის განკუთვნილია 1.8-ლიტრიანი ძრავი, რომლის სიმძლავრე 126 ცხენის ძალაა. უფრო ძვირადღირებულ ვერსიაზე კი დგას 2-ლიტრიანი აგრეგატი, რომელიც 160 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. ამასთან, უფრო სუსტ მოტორთან შეწყვილდება 5-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, ორლიტრიანთან კი - 6-საფეხურიანი. ორივე კოლოფი მექანიკურია (ხელით გადართვის რეჟიმი), მაგრამ სურვილის შემთხვევაში, მყიდველს შესაძლებლობა ექნება, შეუკვეთოს ავტომატური კოლოფი, რაც მას უფრო ძვირი დაუჯდება.

ყველაფერთან ერთად, ახალი როდსტერი წინა მოდელთან შედარებით, დამატებითი მოწყობილობებით აღჭურვის უფრო მაღალი დონითაც გამოირჩევა. თუმცა, ამის მიუხედავად, მათ ფასებს შორის სხვაობა არც ისე დიდი იქნება. ავტომობილის ღირებულება ჯერჯერობით უცნობია და ის გაყიდვების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდება.

"მაზდა" ახლავე აცხადებს, რომ შიგადაშიგ, მყიდველს შესთავაზებს ახალი MX-5-ის ლიმიტირებულ ვერსიებს. გაყიდვების დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ კი ბაზარზე გამოჩნდება როდსტერის "ექსტრემალური" ვარიანტი, რომელიც აღიჭურვება ან 2.3-ლიტრიანი ძრავით, ან ტურბოკომპრესორით გაძლიერებული ორლიტრიანით.

"მაზდას" მარკეტოლოგები იმედოვნებენ, რომ ახალი "მიატაც" ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც პირველი ორი მოდელი, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ბაზრის ამ სეგმენტში თანდათან იზრდება კონკურენცია, რაც აუცილებლად იმოქმედებს ამ ავტომობილის გაყიდვებზე.

# "მორგან აერომაქსი" - ექსკლუზიური ავტომობილი პრინცისთვის

ინგლისური კომპანია "მორგანი" საავტომობილო სამყაროში ცნობილია, როგორც ძველებური (და არა რეტრო) სტილის ავტომობილების მწარმოებელი. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ეს კომპანია ერთსადაიმავე მოდელს, კუპე "მორგან აერო 8-ს" უშვებს და ამდენი ხანია, მყიდველი არ გამოლევია.

კაცი ვერც იმას იტყვის, რომ მისი ავტომობილები ექსკლუზიური და ძალიან ძვირია. პირიქით, ნებისმიერ ადამიანს, ვისაც საშუალო კლასის ავტომობილის ყიდვა შეუძლია, აქვს იმის საშუალება, რომ წინასწარ განათავსოს შეკვეთა და გარკვეული დროის შემდეგ მიიღოს სანუკვარი ავტომობილი, როგორებსაც ქუჩაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ველარ შეხვდებით.

"მორგანის" ავტომობილები ყოველთვის გამოირჩეოდა სპარტანული ინტერიერით, ერთობ მოძველებული აგრეგატებით და რა თქმა უნდა, ძველებური გარეგნობით, რაც თითქოს, კომპანიის ფინანსური კრახის გარანტია უნდა ყოფილიყო. მაგრამ პირიქით, ამ ავტომობილებს ყოველთვის ჰყავს მყიდველი და როგორც ამბობენ, კომპანიის ქარხანაში, მზა ავტომობილების სადგომზე არასოდესაა სიმჭიდროვე...





თურმე, ნუ იტყვით და, არიან ადამიანები, რომლებიც "მორგანის" ავტომობილების კოლექციასაც აგროვებენ. ისინი ყოველ ახალ მოდიფიკაციას ყიდულობენ და ამით დიდადაც ამაყობენ. მათ შორისაა შვეიცარიელი პრინცი ერიკ სტურძა, რომელიც იმავდროულად, ერთ-ერთი შვეიცარიული ბანკის, "ბენკ ბერინგ ბრაზერს სუისის" პრეზიდენტიცაა. ჰოდა, მან სპეციალურად შეუკვეთა კომპანიას ისეთი ავტომობილი, რომელსაც ანალოგი არ ეყოლებოდა მსოფლიოში.

მისი აღწერის მიხედვით, დიზაინერმა ეტიუ ჰამფრიზმა შეიმუშავა ესკიზები და შეკვეთის ავტორს შეუთანხმა, რის შემდეგაც ქოვენთრის საავტომობილო დიზაინის სკოლაში დაამზადა 1:4 მასშტაბის მოდელი და სკოლის გამოსაშვები ნამუშევრების გამოფენაზე გამოიტანა. სხვათა შორის, მან კუპესძარიანი ავტომობილის მაკეტი დაამზადა, ასეთი ძარით კი "მორგანს" უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ავტომობილები არ უწარმოებია. ჩვეულებრივ, თუ ამ მარკით დამზადებულ ავტომობილებს სახურავი აქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მოსახსნელია.

ახალი, ექსკლუზიური ავტომობილის საფუძვლად კონსტრუქტორებმა აირჩიეს "მორგან აერო რვის" შასი, რომელიც ხისგან დამზადებულ პლატფორმას ემყარება. შასის ბევრი ელემენტი ალუმინისგანაა დამზადებული. ოღონდ, კონსტრუქტორებს მოუხდათ ამ უნივერსალური პლატფორმის ძირეული გადაკეთება - კუპეს ტიპის ძარას საყრდენები სჭირდება და როცა მზიდი ელემენტი ხისგან მზადდება, მისი აწყობა განსაკუთრებულ გარჯას მოითხოვს.

საყრდენების გარდა, კონსტრუქტორებმა მთლიანად გადააკეთეს ავტომობილის უკანა ნაწილი. მათი გარჯის შედეგი მეტად უჩვეულო და იმავდროულად, ელეგანტური გამოვიდა. როგორც შემკვეთმა მოითხოვა, "აერომაქსს" აქვს დიდი ზომის საბარგული, რომელსაც ზემოდან გამჭვირვალე, ორად გაყოფილი შუშა ჰყოფს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი იქცევს უკანა ფრთები, რომლებიც უკანაა დაწეული, მათ კი თითქმის ვერტიკალურად, ვიწრო ზოლად დაუყვება უკანა მაშუქები, რომლებიც რაღაცით "ლანჩა თეზისის" ანალოგიურ მაშუქებს მოგვაგონებს.

"მორგანის" კონსტრუქტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ესკიზების შექმნიდან 4 თვეში მოასწრეს ტესტებისთვის გამოსადეგი მოდელის დამზადება. ყველაფერთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ წინიდან "აერომაქსი" თითქმის იმეორებს "აერო 8-ის" დიზაინს.

რა თქმა უნდა, ძარის დამზადების მთელი პროცესი მისი შემქმნელებისგან დიდ მოთმინებასა და სიზუსტეს მოითხოვდა. მათ აიღეს "აერო 8-ის" ალუმინის ძირი, მის უკანა ნაწილში ხისგან სრულიად ახალი ჩონჩხი დაამზადეს და ამ ჩონჩხს გარედან ალუმინის ფურცლები შემოაკრეს, რომლებიც წინასწარ ზუსტად ჰქონდათ დაჭრილი სპეციალურად შექმნილი ლეკალოებისა და თარგების მიხედვით. სხვათა შორის, თარგების დამზადებაში კონსტრუქტორებს დიდი სამსახური გაუწია კომპიუტერულმა მოდელირებამ, რითაც დიდი დრო დაიზოგა.

ალბათ ძნელია, უპოვნო ავტომობილს გამოკვეთილი ნაკლი. გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ "აერომაქსი" რომ ელეგანტური ავტომობილია, ამაზე დავა არ ღირს. მისმა შემკვეთმა სწორედ ის მიიღო, რაც მის ამბიციებს შეესაბამებოდა. რა თქმა უნდა, ავტომობილს შესაბამისი დონის ტექნიკური აღჭურვილობაც გააჩნია.

კაპოტის ქვეშ განთავსებულია "ბეემვეს" წარმოების, 4.4-ლიტრიანი V8, რომლის სიმძლავრე ზუსტად 333 ცხენის ძალაა. ძრავთან აგრეგატირებულია 6-საფეხურიანი, მექანიკური გადაცემათა კოლოფი, საიდანაც გაზრდილი ხახუნის მქონე დიფერენციალის გავლით, მაბრუნი მომენტი (მაქსიმუმ 350 ნ.მ) უზარმაზარ, 20-დუიმიან ბორბლებს მიეწოდება, რომლებზეც ჩაცმულია კომპანია "გუდრიჩის" წარმოების 245/30 ზომის საბურავები. გარდა ამისა, ავტომობილის აღჭურვილობაში შედის (ესენიც შემკვეთის მოთხოვნების შესაბამისად) მძლავრი სამუხრუჭე სისტემა, ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა, კონდიციონერი, კრუიზ-კონტროლი, საბურავებში წნევის მუდმივად მაკონტროლებელი გადამწოდები და სხვა.

ტესტების დროს ავტომობილს შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლები აღმოაჩნდა. მისი მაქსიმალური სიჩქარე 260 კმ/სთ-ია, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად კი "აერომაქსს" 4.5 წამიც ჰყოფნის.

შეიძლება მკითხველი დაინტერესდეს - თუ "აერომაქსი" ექსკლუზიური მოდელია და მის მსგავსს სხვა მყიდველი ველარ მიიღებს, მაშინ რაში სჭირდებოდა "მორგანს" მისი ჟენევაში გამოფენა? საქმე ისაა, რომ კუპესძარიანი ავტომობილი (მორგან პლუს 4 პლუს) კომპანიამ დიდი ხნის წინ დაამზადა, მაგრამ ის მოდელი პოპულარობით არ სარგებლობდა (სულ 26 ცალი გაიყიდა) და მას შემდეგ, ამ მარკით კუპე მხოლოდ ლე მანის რბოლებისთვის თუ მზადდებოდა. ჰოდა, თუ ჟენევაში "აერომაქსი" დიდ ყურადღებას მიიქცევდა, მაშინ "მორგანის" შეფმა ჩარლზ მორგანმა შეიძლება გაბედოს დიდი ხნის წინ მოძულებული კუპეს კვლავ წარმოება. ოღონდ, იმ ავტომობილს არაფერი ექნება საერთო პრინც სტურძას შეკვეთით დამზადებულ "აერომაქსთან"...

# "მიცუბიშის" წყალბადზე მომუშავე მაჩო

მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის და აღარც გერმანულ-ამერიკულ კორპორაცია "დაიმლერკრაისლერის" პარტნიორია, იაპონური კომპანია "მიცუბიში" მაინც აქტიურობს საერთაშორისო ბაზარზე და სამომავლო პროექტებზეც მუშაობს. ამის ნათელი დასტური იყო ისიც, რომ ჟენევის ავტოსალონზე კომპანიამ რამდენიმე სიახლე წარადგინა, რომელთა შორისაც უთუოდ გამორჩეული იყო კონცეპტუალური მოდელი "ნესი".

ამ ავტომობილის მომზადებისას "მიცუბიშის" პარტნიორობას უწევდა იტალიური დიზაინ-ატელიე "იტალდიზაინ-ჯუჯარო" და გერმანული კომპანია "ლინდე", რომელმაც კონცეპტკარი წყალბადზე მომუშავე ფიჭური ძალური დანადგარით აღჭურვა.

როცა "ნესიზე" მუშაობდნენ, "მიცუბიშის" კონსტრუქტორთა მიზანი იყო უგზოობის ისეთი ავტომობილის შექმნა, რომელსაც წარმომადგენლობითი ავტომობილის შესაბამისი კომფორტულობა ექნებოდა და არც გამონაბოლქვი აირებით დააბინძურებდა გარემოს. სწორედ ამიტომ იქნა არჩეული წყალბადის ფიჭური ელემენტების გამოყენება. ავტომობილს



*მიცუბიში კოლტ კაბრიო*



*იტალდიზაინ მიცუბიში ნესი*

აქვს ჰიბრიდული ძალური დანადგარი, რომელშიც წყალბადის ელემენტების გარდა, ჩვეულებრივი შიდაწვის ძრავიც "მონაწილეობს".

"ჯუჯარომ" იზრუნა იმაზე, რომ "ნესი" გარეგნობით დამსგავსებოდა იაპონური კომპანიის იმ ავტომობილებს, რომლებიც ბოლო წლებში პარიზი-დაკარის რალი-მარათონებში დომინირებენ. ჰოდა, კონცეპტუალური ავტომობილის საფუძვლად გამოყენებულია საჰარის უდაბნოს მეფედ აღიარებულ მოდელ "პაჯეროს" მოდერნიზებული პლატფორმა, რომელზეც დამაგრებულია ორიგინალური ფორმის მქონე, ორკარიანი ძარა.

იმის ხაზგასასმელად, რომ ეს არის უგზოობის ავტომობილი, "ნესი" აღჭურვილია უზარმაზარი ბორბლებით, ძრავის დამცავი ფარით და ალუმინისგან დამზადებული ზღურბლით. საერთო ჯამში, ავტომობილი საკმაოდ აგრესიული გარეგნობით გამოირჩევა. ძარის ზედა ნაწილი მეტწილად შუშისაა. უფრო მეტიც, შუშის პანელი ჩაკერებულია კარშიც, რასაც მხოლოდ დეკორატიული, საჩვენებელი მისია აკისრია და არავითარ შემთხვევაში არ გადავა კონვეიერზე.

"მიცუბიში ნესის" ყველა ბორბალი წამყვანი აქვს. მათ მაბრუნი მომენტით უზრუნველყოფს V8 კონფიგურაციის შიდაწვის ძრავა (დიზელის, ან ბენზინისა) და წყალბადის ფიჭური ელემენტები, რომლებით გამომუშავებული ელექტროენერგიითაც ელექტროძრავები მარაგდება. შიდაწვის ძრავთან შეწყვილებულია ავტომატური გადაცემათა მატური კოლოფი, მთელი ამ სისტემის გამართულ მუშაობას კი უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემა, რომელსაც ელექტროენერგიით ასევე ფიჭური ელემენტები უზრუნველყოფს.

რა თქმა უნდა, ამ სახით "ნესის" სერიულ წარმოებაზე ლაპარაკი დღეს ზედმეტია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ "მიცუბიში" აქტიურად ეძებს ჰიბრიდული და წყალბადზე მომუშავე ავტომობილების წარმოების გზებს და ჟენევაში წარდგენილი კონეპცია ამ ძიების ერთ-ერთი შედეგია.

კონცეპტუალური "ნესის" გარდა, ჟენევის "პალექსპოს" საგამოფენო კომპლექსში "მიცუბიშის" სტენდს ასევე ამშვენებდა კომპაქტურ ჰეჩბეკ "კოლტის" კუპე-კაბრიოლეტის ძარიანი ვერსია, რომლითაც კომპანია ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ისეთ კონკურენტებთან აპირებს გაჯიბრებას, როგორებიცაა ანალოგიური ძარის მქონე "პეჟო 206" და "ოპელ ტიგრა ტვინ ტოპი".

აღსანიშნავია, რომ სიახლის შექმნისას იაპონურ კომპანიას პარტნიორობას უწევდა ისეთი ავტორიტეტული დიზაინ-სტუდია, როგორიცაა "პინინფარინა". კუპე-კაბრიოლეტ "კოლტის" ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მას აქვს ხისტი, დასაკეცი სახურავი (ეს ერთგვარი მოდაც კია). სამაგიეროდ, მის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა ადგილი უკანა მგზავრებისთვის - დასაკეცი მექანიზმის კომპაქტურად განლაგებამ მოითხოვა უკანა სავარძლების ოდნავ წინ წაწევა. ასე რომ, კომფორტულობის მხრივ, ეს ავტომობილი შესამჩნევად ჩამორჩება ჰეჩბეკისძარიან "კოლტს". ფაქტობრივად, მისი ჩასაჯდომი ფორმულაა 2+2, რაც იმას ნიშნავს, რომ უკანა სავარძლებზე მომცრო ტანის ადამიანები ან ბავშვები თუ ჩასხდებიან.

რაც შეეხება კუპე-კაბრიოლეტ "კოლტის" ტექნიკურ აღჭურვილობას, ის თითქმის იგივეა, რაც ჰეჩბეკებში. ავტომობილი აღიჭურვება ან 1.5-ლიტრიანი ატმოსფერული, ან იმავე მოცულობის მქონე, ტურბოკომპრესორიანი მოტორით. ამ უკანასკნელის სიმძლავრე 150 ცხენის ძალას აღწევს.

"მიცუბიში" აცხადებს, რომ ამ ავტომობილის გაყიდვებს 2006 წლის დასაწყისში შეუდგება. სწორედ იმ დროისთვის გამოცხადდება კუპე-კაბრიოლეტ "კოლტის" ტექნიკურ-დინამიკური მონაცემები და ფასი.

სახელი ______

გვარი ______

ასაკი ______

სიმაღლე ______

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ______ თარიღი ______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით
ბლანკი უფასოა

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

[illegible] "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible] 45, 0177 [illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ [illegible] ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, [illegible]. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი [illegible] ორი წლის განმავლობაში.

TV პროგრამა



წინა სკანვორდის პასუხები:
ოქტავიანე; ვაკანსია; პაციენტი; იონი; რაისა; ოკა; მარტენი; ნავრატილოვა; კოშიცე; პენსნე; ფერსმანი; ალოგოტე; შელი; შპრეე; ეიგევამი; ტრიპტიქი; ფიროსმანი; ფუტურიზმი; დეპორტივო; დიკენსი; ლაქი; კონვერსია; რევალანი; ნუმიზმატიკა; ნამაზი; დეზი; მანდატური; ამნისტია; ინსტრუმენტი; ლიმა.

TV პროგრამა

19 მაისი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ხალხის პირისპირ **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ზებერი ყაჩაღები" **15.25** ფეხბურთი. უეფას თასი. "სპორტინგი" -"ცსკა" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** ფორტი-ბოიარდი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** სერიალი "მატრიოშკები" **00.00** მხ. ფილმი "კუბი" (18) (ნიკოლ დე ბური) **02.10** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "მასიური მკვლელობები" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები"- მ. გიბსონი, პ. ჰილტონი. **16.30** დოკ. ფილმი "ველური ინდონეზია" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შედევრის ბედი" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ჩვენი ეზო" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაში" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "მეზობლები", "ფანჯარა", "ასეთი ნოველები" **00.00** მხ. ფილმი "მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში" (გ)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "მხატვრები და პროვანსი" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** კინოსეანსი "პარმის სავანე" მე-2ს.

**იმედი**

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **12.40, 16.25, 02.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მოუხელთებელი შურისმაძიებლები" (გ) **15.00, 16.45, 18.00, 19.00, 22.00, 02.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10, 03.55** იმედის მელოდიები **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.55** "ათასიდან ერთი შანსი" **23.25** მხ. ფილმი "მაფიის პატარძალი" (15) **03.15** ნუცას სკოლა (გამ.)

**აჭარა**

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.30** დოკ. ფილმი "ბანკები" **11.45** მხ.ფილმი "მედოლე" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.05** თრილერი "ფანატი" **18.10** მულტფილმი **18.30** ნოვოსტი **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** კომედია "გაანალიზე ის" **22.35** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "პარიზი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

**ОРТ**

**06.00** Доброе утро **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Многосерийный фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Ричард Дрейфус в комедии **"ЗАСАДА". 14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **19.50** Многосерийный фильм **"МОЯ ГРАНИЦА". 21.00** Время. **22.30** Бойкие русские старушки. **23.00** Конкурс песни "Евровидение-2005". Полуфинал. Прямая трансляция из Киева. **01.10** Рутгер Хауэр в фильме **"САЛЮТ ГЕРОЯМ!".** Постапокалиптический мир. Никто не помнит, когда "джаггеры" начали впервые играть в эту жестокую Игру, напоминающую футбол, и почему у них вместо мяча - собачий череп. Но теперь команда, возглавляемая Сэллоу, лучшая из лучших. И она собирается доказать свое лидерство в чемпионате лиги. Среди амбициозных и бесстрашных бойцов - миниатюрная Кидда, ученица Сэллоу, мечтающая получить титул чемпионки. **03.30** Марлон Брандо в фильме **"В ПОРТУ".** Фильм рассказывает о коррупции и жестокости, процветающих в доках Нью-Йорка и Нью-Джерси. В центре сюжета судьба простого докера - Терри Мэллоу, терзающегося сомнениями и решающего встать на путь восстановления справедливости, после того как выясняется, что он работает на настоящего гангстера - коррумпированного босса портовых докеров Джонни Фрэндли.

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА-2".** 1-я серия. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00** "Сегодня" **10.15** Тайны разведки. **10.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Сериал **"РИЭЛТОР". 13.35** Ким Ин Хо в боевике **"МАСТЕР ВОСТОКА".** В Москве живут два брата - корейца. Старший Ким - тренер по каратэ. Один из его учеников, Андрей, предлагает младшему брату Кима немного подработать. Он приглашает мальчика на переговоры, где того убивают. Андрей связан с преступной группировкой, которой необходим хороший тренер для подготовки рэкетиров. Андрей намекает Киму, что если тот будет сотрудничать с бандитами, то у него будет и хороший спортзал и деньги. Киму удается узнать, что его брата убил бандит по кличке "Слон". Он выходит на хозяина, который оказывается депутатом, и соглашается на сотрудничество в обмен на жизнь "Слона". Узнав, что хозяин согласился на сделку, "Слон" убивает хозяина... **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ПОБЕГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ЛУЧШИЙ ДРУГ ЧЕЛОВЕКА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.20** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ". 02.30** Бильярд. **03.05** Тери Поло в мелодраме **"ВОСПОМИНАНИЯ". 1**-я серия. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

# ნაძალადეველი ბავშვები წიგნების ფასმა დააფრთხო

ირმა კახურაშვილი

გუშინ თბილისის მე-11 საშუალო სკოლაში, რომელსაც წელს 70 წელი უსრულდება, "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" მიერ ორგანიზებული "წიგნის დღეების" ე.წ. ტრადიციული ორდღეური წარუმატებლად დასრულდა. ნაძალადეველი ბავშვებისა და მათი მშობლების განცხადებით, ინტერესი გამოფენილი პროდუქციის ფასებმა გაანელა - ორ დღეში ათამდე წიგნიც კი ვერ გაიყიდა.

სკოლის ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველი მეოთხეკლასელი ანა დავითაშვილი ლამაზ ყდიანი და საინტერესო წიგნების დათვალიერებით შემოიფარგლა. "რაღაცა შევარჩიე კიდეც, მაგრამ არ ვიცი, მშობლები მიყიდიან თუ არა", - გვითხრა ანამ.

სკოლის ბიბლიოთეკარი ეთერ თაყნიაშვილი პატარა მკითხველების სიმცირეს არ უჩივის. პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ 90-იანი წლების დასაწყისამდე სკოლა რუსულენოვანი იყო და, შესაბამისად, ბიბლიოთეკაც რუსული ლიტერატურით მარაგდებოდა. დღეს აქ მხოლოდ 660 ქართული წიგნია. ისინი სკოლას პედაგოგებმა და ბავშვებმა შესწირეს. როდის განახლდა ბიბლიოთეკის ფონდი კაპიტალურად, არავის ახსოვს. თუმცა, შარშან, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი პროექტით, ბიბლიოთეკამ საბავშვო ლიტერატურის რამდენიმე თხელყდიანი წიგნის შეძენა მოახერხა. სკოლისთვის გამოყოფილი თანხა ძირითადად თვალსაჩინოების შესაძენად დაიხარჯა.



*ბავშვები ინტერესით ათვალიერებენ წიგნებს*

"შემჩნეული მაქვს, რომ ბავშვებს წიგნები მეხუთე-მეექვსე კლასამდე აინტერესებთ. ის ლიტერატურა, რომელიც უფროსკლასელებს სურთ, ბიბლიოთეკას არ მოეპოვება. ილია ჭავჭავაძეზე რომ მოზარდს უარს ეტყვი, შეიძლება, მეორედ არც მოვიდეს..." - ამბობს სკოლის ბიბლიოთეკარი.

ბაკურ სულაკაურის პოპულარულმა გამომცემლობამ ბავშვებს პოლიგრაფიულად მაღალხარისხიანი წიგნები მცირედი ფასდაკლებით კი შესთავაზა, მაგრამ მშობლების უმეტესობამ საკუთარი შვილი ნაკლებად დამაჯერებელი ბანალური რეპლიკით დააშოშმინა: "მერე გიყიდი, შვილო, როცა ფული მექნება".

"წიგნების წარმატებული გასაღება იმაზეცაა დამოკიდებული, როგორ მოახერხებს სკოლის ადმინისტრაცია ამის ორგანიზებას," - შემოგვჩივლა გამომცემლობის წარმომადგენელმა ნინო ხარატიშვილმა. თუმცა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას სკოლამ ყველაზე "პრესტიჟული" ადგილი - სააქტო დარბაზი დაუთმო.

ბავშვებს წიგნები ნამდვილად აინტერესებდათ და ამას დარბაზშივე დადგმული ვარდისფერი მუყაოს ყუთიც მოწმობდა. მასში მოსწავლეებმა ყველაზე საინტერესო წიგნის სახელწოდებები ჩაყარეს. გამომცემლობის წარმომადგენელთა თქმით, ბავშვების მიერ შერჩეული ორი წიგნი სკოლას საჩუქრად გადაეცემა. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ამითაც კმაყოფილი არიან, რამდენად გაამდიდრებს ეს გაღარიბებული ბიბლიოთეკის ფონდს, არც ისეთი ძნელი დასადგენია.

# IN A GALAXY FAR AWAY

"რუსთაველში" ქართული "ვარსკვლავეთის ომები" იწყება




*დღეს თბილისში მსოფლიო პრემიერაა*

ია ვეკუა

დაახლოებით ერთი თვის წინათ ნიუ იორკის ცენტრალურ ქუჩებში ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის უცნაური მუტანტები გამოჩნდნენ: ჯედაები, სითჰები და დროიდები, რომლებსაც სხვადასხვა ფერის ლაზერის ხმლები უპყრიათ ხელთ და დროდარდო ერთმანეთში დაუნდობელ ორთაბრძოლებს მართავენ. ისინი "ვარსკვლავური ომების" მხურვალე თაყვანისმცემლები არიან და მოუთმენლად ელიან დღევანდელ საღამოს - 19 მაისი მთელ მსოფლიოში ჯორჯ ლუკასის კოსმოსური ოდისეის ბოლო ფილმის პრემიერის დღეა.

"ვარსკვლავური ომები III: სითჰების შურისძიების" პირველად ნახვის ბედნიერება ქართველ მაყურებელსაც ექნება. კინოთეატრი "რუსთაველი" ორი კვირის განმავლობაში წარმოადგენს ფილმს, რომელიც ფართო ეკრანებზე გამოსვლამდეც მიიჩნეოდა წლის ყველაზე შემოსავლიან კინოპროექტად, თუმცა, "ბეჭდების მბრძანებლისგან" განსხვავებით, მას "ოსკარების" წვიმას არავინ უწინასწარმეტყველებს. "ვარსკვლავეთის ომები" მისი თაყვანისმცემლებისთვის იმდენად განსაკუთრებული მოვლენაა, რომ მსგავსი აღიარება არც სჭირდებათ.

კინოთეატრი "რუსთაველი" მაყურებელს ხშირად სთავაზობს ქართულად "ამეტყველებულ" უცხოურ კინოპროდუქციას. ლუკასის ფილმის გმირებიც ჩვენს მშობლიურ ენაზე იბრძოლებენ იმპერიის წინააღმდეგ, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ გახმოვანება სერიოზული, ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული და "არაზვიოური" იქნება.

"სითჰების შურისძიება" ლუკასის ცხოვრების ფილმის მეექვსე, დასკვნითი ნაწილია, თუმცა, რეალურად, ნამდვილი ისტორია ამ სერიაში იწყება. სწორედ დღეიდან გავიგებთ, რამ აიძულა ანაკინ სკაიუოკერი დარტ ვეიდერი გამხდარიყო და ბნელ ძალებს შეერთებოდა.

სამწლიანი გაუთავებელი ომების შემდეგ გალაქტიკა დაუძლურებულია. ანაკინ სკაიუოკერი და ობი ვან კინობი უკვე ლეგენდარული გმირები არიან და იმპერიული ძალების წინააღმდეგ იბრძვიან. აქვე ანაკინისა და მისი პრინცესა ცოლის - პადმე ამიდალას სასიყვარულო ურთიერთობის კულმინაციის მოწმენიც გავხდებით. გარემოებათა გამო, ისინი რამდენიმე თვით ერთმანეთს დასცილდებიან. სკაიუოკერისთვის ცნობილი ხდება, რომ პადმე ორსულადაა. პრინცესამ სწორედ ის ლუკ სკაიუოკერი და პრინცესა ლეა უნდა გააჩინოს, რომლებიც ფილმის IV, V და VI ეპიზოდების მთავარი გმირები არიან.

როგორც ჯორჯ ლუკასის გასაიდუმლოებული კინოლაბორატორიიდან გამოსული ხმები მოწმობენ, ანაკენ სკაიუოკერის დარტ ვეიდერობა შვილების გაჩენასთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, ბნელი ძალები, ანაკენის ერთგულების სანაცვლოდ, მშობიარე პადმეს მშვიდობით მოლოგინებაში ეხმარებიან, მაგრამ იმას კი ვერ ითვალისწინებენ, რომ წლების შემდეგ ეს ორი ბავშვი მათ იმპერიას დიდ პრობლემებს შეუქმნის.

ეს ინფორმაცია ფილმის ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე მხოლოდ გუშინ გამოჩნდა (საიტიც ფილმის პრემიერამდე ერთი დღით ადრე გააქტიურდა). მანამდე "ლუკასფილმის" ყველა თანამშრომელს კონტრაქტის საფუძველზე ეკრძალებოდა ფილმის შესახებ მცირედი დეტალის გამჟღავნებაც. თუმცა, პატარა ნაპრალები ლუკასის ძლევამოსილ იმპერიასაც ჰქონია: უკვე ჭორაობენ იმის შესახებ, რომ რეჟისორი მომავალში კიდევ ერთი სერიის გადაღებას გეგმავს. არადა, მან ოფიციალურად დააფიქსირა, რომ "სითჰების შურისძიება" ისტორიის ბოლო ფილმი იქნებოდა. "ვარსკვლავეთის ომების" ყველაზე მგზნებარე თაყვანისმცემლების უსაზღვრო ფანტაზიაც ვერ წარმოიდგენს, რა შეიძლება გახდეს კიდევ ერთი ახალი სერიის სიუჟეტი, ამიტომ ამ ინფორმაციას ყველა უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

დაახლოებით ასევე ფიქრობდნენ ისინი 1983 წელსაც, როდესაც ლუკასმა "ჯედაის დაბრუნება" დაასრულა. იმპერია მოისპო, ბოროტი პერსონაჟები დაიხოცნენ, სიყვარულმა გაიმარჯვა - მეტი რა იყო საჭირო ფინალისთვის. თუმცა, ახალი ტექნოლოგიებით შექმნილი სანახაობით დაბრმავებულმა მაყურებელმა ყურადღება არ მიაქცია ერთ მინიშნებას: "ჯედაის დაბრუნება" VI ეპიზოდია, "იმპერიის საპასუხო დარტყმა" - V, ხოლო პირველი ფილმი IV ეპიზოდის სახელით გამოვიდა. ეს კი იმთავითვე ნიშნავდა, რომ ლუკასი ოდესმე ტრილოგიის გაგრძელებას (უფრო კი დასაწყისს) აუცილებლად გადაიღებდა.

მოკლედ, ვისაც აინტერესებს (ასეთი კი მსოფლიოში ათასობითაა), ბოლოს და ბოლოს, რა ხდებოდა a long time ago, In a galaxy far away (დიდი ხნის წინათ შორეულ გალაქტიკაში), დღეიდან ამის რეალური შესაძლებლობა ექნება. ნახეთ ფილმი; "ვარსკვლავეთის ომების" ბოლო ფილმი ყოველდღე არ გამოდის...

## IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამა გასცემს მცირე გრანტებს საქართველოს რეგიონული გაზეთებისთვის

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული მედია ინოვაციების პროგრამის ფარგლებში საქართველოში IREX-ს აქვს შეზღუდული სახსრები მცირე გრანტის გასაცემად იმ გაზეთებზე, რომლებიც საქართველოს რეგიონებში გამოიცემა..

**პროგრამის მიზანი**

გრანტები ხელს შეუწყობს გაზეთებს, გააფართოონ და განავითარონ თავიანთი ბიზნეს საქმიანობა, კერძოდ: ა) გააუმჯობესონ გაზეთის გავრცელება ადგილობრივ; ბ) გაზარდონ გაზეთის ტირაჟი და მასზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით რაიონული ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში; გ) გააძლიერონ გაზეთის ორგანიზაციული პოტენციალი.

**კონკურსში მონაწილეობის პირობები**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს გაზეთს, რომელიც: ა) გამოიცემა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, კონკურსის გამოცხადების თარიღამდე სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში; ბ) რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად; გ) გამოდის მინიმუმ კვირაში ერთხელ განაცხადის შემოტანის მომენტში. საინიციატივო ჯგუფებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ.

**გრანტის მოცულობა**

გრანტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 000 აშშ დოლარს.

**განაცხადის შემოტანის ბოლო ვადა**

საგრანტო განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადაა 6 ივნისი, 2005 17:00სთ-მდე. განაცხადის სრული პაკეტის მიღება შეგიძლიათ IREX-ის ოფისში. მისი ელექტრონული ფორმა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ IREX-ის ვებ გვერდიდან: www.irex.ge

**საკონტაქტო ინფორმაცია**

საგრანტო განაცხადის ჩასაბარებლად და გრანტთან დაკავშირებული შეკითხვებით მიმართეთ IREX-ის გრანტების პროგრამის ხელმძღვანელს, ეკა სანებლიძეს: esaneblidze@irexonline.ge ან ტელ: 29 19 05/25 34 69. ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ აგრეთვე ეწვიოთ IREX-ის ვებ გვერდს: www.irex.ge

***შენიშვნა:*** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მობრძანდნენ "ღია კარის" დღეზე, რომელიც გაიმართება სამშაბათს, 24 მაისს, 15:00 საათზე, IREX-ის ოფისში.







## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

